

გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის
IV ანგარიში

მონიტორინგის პერიოდი: 2015 წლის ივნისი - 2017 წლის მარტი

2017

ანგარიში მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით.
ავტორების მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს Sida-ს პოზიციას და ის არ არის
პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე



სარჩევი

ძირითადი მიგნებები.....	3
გიგი (გიორგი) უგულავა, ვანო (ივანე) მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი	5
გიგი (გიორგი) უგულავა და დავით კეზერაშვილი	17
გიგი (გიორგი) უგულავა, ალექსანდრე გოგობია.....	22
გიგი (გიორგი) უგულავა, ალექსი თაბუაშვილი და სხვები (თბილისის განვითარების ფონდის საქმე)	28
მიხეილ სააკაშვილი (ვალერი გელაშვილის ცემის საქმე)	32
ივანე მერაბიშვილი, ერეკლე კოდუა, გაი სირაძე (ვალერი გელაშვილის ცემის საქმე)	36
გიორგი ონიანი	40
ნიკანორ მელია, ზურაბ ადეიშვილი და სხვები (ბანკი ქართუს გაკოტრების საქმე).....	47
„კაბელების საქმე“	53
მიხეილ სააკაშვილი (სახელმწიფო კუთვნილი ქონების გაფლანგვის საქმე).....	65
<i>მიხეილ სააკაშვილი (გირგვლიანის საქმე).....</i>	<i>73</i>
ზურაბ ადეიშვილი (კობა დავითაშვილის ცემის საქმე).....	77
<i>ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმე.....</i>	<i>79</i>

ძირითადი მიგნებები

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ, რამაც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ გარკვეული ექვები გააჩინა პროცესის პოლიტიზირების შესახებ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ 2013 წლის თებერვლიდან გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს ახორციელებს. ამ პერიოდში გამოქვეყნდა სამი ანგარიში. პირველი 2013 წლის თებერვლიდან ივლისამდე პერიოდს მოიცავს, მეორე - 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის აპრილამდე პერიოდის, ხოლო მე-3 კი 2014 წლის მაისიდან 2015 წლის ივნისამდე პერიოდის დაკვირვებებს ეხება. ორგანიზაციის დამკვრევლები ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს და აღწერდნენ პროცესს შემდგომი შეფასების მიზნით. ანგარიშის მიზანია, ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის და მხარეთა პოზიციების შესახებ, გამოვლინდეს პროცესუალური დარღვევები და გახმაურებულ საქმეებთან არსებული ტენდენციები. წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2015 წლის ივნისიდან - 2017 წლის აპრილამდე პერიოდს. დაკვირვება ხდებოდა 12 სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ბრალდებულები იყვნენ წინა ხელისუფლების ყოფილი თანამდებობის პირები: მიხეილ სააკაშვილი, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადვიშვილი, ნიკანორ მელია და სხვები.

დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები და ფაქტები:

- თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეზე (ე.წ. “კაბელების საქმე”) განვითარებული რიგი მოვლენების და გარემოებების გამო არასრულფასოვანი მართლმსაჯულების განხორციელებისა და პროცესის პოლიტიზირების საფუძველიანი ექვი გაჩნდა საზოგადოებაში;
- პრობლემური იყო “კაბელების საქმისთვის” გრიფით საიდუმლოს სტატუსის მინიჭება, რის შედეგადაც დაცვის მხარეს სისხლის სამართლის მასალებზე დაშვება გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეფერხებული ჰქონდა. შესაბამისად, ამ პერიოდში დაცვის მხარეს არ ჰქონდა კანონმდებლობით გარანტირებული დაცვის უფლების სრულად რეალიზაციის შესაძლებლობა;
- მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გიორგი უგულავას სარჩელის დაკმაყოფილების შემდგომ აღმოიფხვრა აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების არაკონსტიტუციური პრაქტიკა. განსაკუთრებით პრობლემური იყო გიგი უგულავას მიმართ რამოდენიმე პატიმრობის გამოყენების საკითხი. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში საექვოდ ემთხვეოდა ერთი ბრალდებულის მიმართ არსებული სხვა აღკვეთი ღონისძიების ვადის გასვლას. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პროკურატურის მთავარ მიზანს იმ მომენტისთვის პირის პატიმრობაში დატოვება წარმოადგენდა;

- რიგ შემთხვევაში, პროცესის მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს შორის დაპირისპირებას, რაც აზიანებს სასამართლოს ავტორიტეტს და მისადმი მხარეების პატივისცემას. ასევე მოსამართლის მხრიდან მხარის მიმართ არაეთიკურ დამოუკიდებულებას, რაც ასევე არ შეესაბამება სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს;
- პრობლემა გამოიკვეთა მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიების ყადაღის გამოყენებისას. დარჩა შთაბეჭდილება რომ ბრალდებულთან დაკავშირებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების ფაქტობრივი (მტკიცებულებები) საფუძვლები არ იყო საკმარისი მათ ქონებაზე ყადაღის დასადებად, ამასთან კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ყადაღის პერიოდულად გადახედვის შესაძლებლობას, რაც პრობლემურია;
- კვლავაც ბოლომდე ვერ მოწესრიგდა მოწმეთა განცალკევების საკითხი. როგორც წესი, საქმის განხილვისას ვერ ხერხდებოდა მოწმეთა ერთმანეთთან კომუნიკაციის სათანადოდ თავიდან აცილება, ამასთან რიგ შემთხვევაში, მოწმეები ესწრებოდნენ სასამართლო განხილვებს სანამ დაიკითხებოდნენ;
- საქმეთა განხილვისას მედია საშუალებებს არ შექმნიათ პრობლემა სხდომის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის გაკეთებისას, ისინი შეუფერხებლად ახორციელებდნენ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებას;
- კვლავაც დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ყველა დაინტერესებულ პირს არ მიეცა შესაძლებლობა დასწრებოდა სხდომას. მიზეზი ზოგიერთ შემთხვევაში სხდომის დარბაზის სივიწროვე, ზოგ შემთხვევაში კი დამსწრეთა დიდი რაოდენობა იყო. იყო შემთხვევები, როდესაც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხდომა არ ჩატარებულა დიდ დარბაზში, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის დარბაზი თავისუფალი იყო;
- პროცესის დაკვირვებისას, ხშირად იყო ტექნიკური ხარვეზები მიკროფონებთან დაკავშირებით, რაც ართულებდა დამსწრეებისთვის მოწმეთა ჩვენებების სრულყოფილად გაგებას.
- რიგ საქმეებში პროცესი იდებოდა და ხელოვნური ჭიანჭურდებოდა;
- გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ სათანადოდ ვერ უზრუნველყო დარბაზში წესრიგის დაცვა. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პრობლემა სისტემატიურ ხასიათის არ იყო. ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლემ დამრღვევი პირების მიმართ ჯარიმისა და სხდომის დარბაზიდან გამევეების ღონისძიებაც გამოიყენა;
- ასევე ზოგად პრობლემად რჩება თანამდებობის პირების კომენტარები, რომლებიც მიმდინარე გახმაურებულ პროცესებსა და მათში მონაწილე ბრალდებულებს ეხებოდა. ამგვარმა კომენტარებმა, შესაძლოა, სასამართლოზე ნეგატიური გავლენა მოახდინონ.

გიგი (გიორგი) უგულავა, ვანო (ივანე) მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი

- I. ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და ჩამორთმევის ეპიზოდი
- II. მთაწმინდის პარკის ჩამორთმევის ეპიზოდი
- III. რუსთავის მეტალურგიული ქარხანის ჩამორთმევის ეპიზოდი
- IV. 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის ეპიზოდი

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიგი (გიორგი) უგულავა (თბილისის ყოფილი მერი) - სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება, დახმარება გაფლანგვაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით (მთაწმინდის პარკის ქონების გაფლანგვის ეპიზოდი) და დახმარება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში, ჩადენილი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, რასაც ახლდა განსაკუთრებით დიდი შემოსავლის მიღება (ტელეკომპანია „იმედის“ ეპიზოდი).

ივანე მერაბიშვილი (შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი) - სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (ტელეკომპანია „იმედის“, 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის ეპიზოდი და მთაწმინდის პარკში შეჭრის ეპიზოდები).

დავით კეზერაშვილი (თავდაცვის ყოფილი მინისტრი) - სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება (2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის ეპიზოდი, ტელეკომპანია „იმედისა“ და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ეპიზოდები), უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, ჩადენილი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემოსავლების მიღება (ტელეკომპანია „იმედის“ ეპიზოდი).

ზურაბ ადეიშვილი (ყოფილი მთავარი პროკურორი, შემდგომ იუსტიციის მინისტრი) - სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (ტელეკომპანია „იმედის“, 2007 წლის ნოემბრის ეპიზოდები).

მიხეილ სააკაშვილი (საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი) - სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი

ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის ეპიზოდი, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდება).

2. რით გამოიხატა ქმედება

ტელეკომპანია იმედის, მთაწმინდის პარკისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევის ეპიზოდები

ბრალდების თანახმად, 2006-2007 წლებში ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით ხშირად გადაიცემოდა ხელისუფლების კრიტიკის შემცველი სიუჟეტები, რაც ნეგატიურად მოქმედებდა იმდროინდელი მმართველი გუნდის რეიტინგზე, ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, დაგეგმეს ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდება. მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო არკადი პატარკაციშვილისა და მისი ოჯახის დევნა და შევიწროება. საბოლოოდ, ზეწოლისა და დაშინების გზით პატარკაციშვილების ოჯახს ჩამოართვეს ტელეკომპანია "იმედი". ხელისუფლებამ პატარკაციშვილების ოჯახს ჩამოართვეს მთაწმინდის პარკიც. კერძოდ, 2007 წლის 7 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე მომიტინგეთა დაშლის პარალელურად, შს მინისტრის დავალებით მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიჭრნენ შსს - ს შეიარაღებული სპეცრაზმელები და ტერიტორიიდან უკანონოდ გამოაძევეს პარკის თანამშრომლები. იმავე დღეს, თბილისის მერიაში ჩატარდა პრესკონფერენცია, რომ თითქოსდა შპს „ლინქსი“ არ იხდიდა მთაწმინდის პარკის იჯარის თანხას, რის გამოც თბილისის მთავრობამ შპს „ლინქსთან“ სრულიად უკანონოდ, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება მაშინ, როდესაც პატარკაციშვილის კუთვნილი კომპანია (შპს „ლინქსი“) პირნათლად ასრულებდა ყველა აღებულ ვალდებულებას და იმ მომენტისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. პროკურატურა ბრალდებულებს პატარკაციშვილების ოჯახისთვის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევასაც ედავება. ბრალდების თანახმად, ზეწოლისა და დაშინების შემდეგ, ფიქტიურად, გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად, პატარკაციშვილების კუთვნილი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ქონება დავით კეზერაშვილის ოფშორული კომპანიის საკუთრებაში მოექცა. კერძოდ, დოკუმენტები ისე გაფორმდა, თითქოს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მესაკუთრე კომპანიას დავით კეზერაშვილის ოფშორული კომპანიის ვალი ჰქონდა, შემდეგ კი, აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სასამართლოს ჩარევით, ვალის გაქვითვის საფუძველით, ქარხნის ქონება დავით კეზერაშვილის ოფშორული კომპანიის საკუთრებაში გადავიდა.

2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის ეპიზოდი

ბრალდების თანახმად, 2007 წლის 4 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილის დავალებით, შსს-ს შენობაში, ივანე მერაბიშვილის კაბინეტში გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელსაც თავად ივანე მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა. თათბირს ესწრებოდნენ იმჟამინდელი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია, თბილისის მერი გიგი უგულავა და გუბერნატორები. ივანე მერაბიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარე თათბირზე გადაწყდა, რომ შეედგინათ საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა სია, რომელთა მიმართ უნდა განხორციელებულიყო დაშინება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა და ცემა. სხვადასხვა გზით, მათ შორის, ნარკოტიკების ჩადებით, საპროტესტო აქციებში მონაწილეთა დაპატიმრებაც უნდა მომხდარიყო. ბრალდების თანახმად, შეხვედრაზე გადაწყდა ისიც, რომ ოპოზიციის მხარდამჭერი ბიზნესმენებისთვის უნდა „მიეხედა“ ფინანსური პოლიციის ყოფილ უფროსს და იმჟამად თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს. პროკურატურის თანახმად, თათბირზე ივანე მერაბიშვილის მიერ გაცემული დავალება - ადამიანების დაშინების, ცემისა და დაპატიმრების შესახებ - სისრულეში მოყვანილ იქნა 2007 წლის 7 ნოემბერს. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ აქციის დარბევის შესახებ გაცემული დანაშაულებრივი ბრძანების საფუძველზე, რუსთაველის გამზირზე და რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცავებმა მომიტინგეები დაარბიეს.

ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის ეპიზოდი

ბრალდების თანახმად, ამავე დღეს (2007 წლის 7 ნოემბერს), დასახული გეგმის შესაბამისად, ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სრულიად უკანონოდ, შეიჭრა შსს-ს სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელმაც დააზიანა ტექნიკა, გამორთო ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობა და ტელეკომპანიის თანამშრომლები ცემით გამოაძევა შენობიდან. ტელეკომპანია "იმედის" დარბევის შედეგად ტექნიკური საშუალებების დაზიანების, დაკარგვის და მიუღებელი შემოსავლის სახით ტელევიზიის ზიანმა 3 158 307 ლარი შეადგინა.

3. გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის წინა ანგარიშებში ასახული ძირითადი შეფასებები საქმესთან დაკავშირებით.

საქმის განმხილველმა მოსამართლემ საქმის სირთულიდან გამომდინარე (ბრალი ედებოდათ უმადლესი თანამდებობის პირებს და ასევე საქმე იყო მოცულობით დიდი და რეზონანსული) მიიღო გადაწყვეტილება, საქმე განეხილა მოსამართლეთა კოლეგიურ შემადგენლობას, კერძოდ სამ მოსამართლეს. აღნიშნულ საქმეზე საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსა და ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს ბრალდება დაუზუსტდათ, დავით კეზერაშვილს, ზურაბ ადეიშვილსა და გიგი უგულავას - დაუმძიმდათ. ბრალის დამძიმებამ კი გიორგი უგულავას მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნის

სამუალეზა მისცა პროკურატურას. ამ პერიოდში, გიგი უგულავა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის საქმეზე უკვე იმყოფებოდა პატიმრობაში. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მოთხოვნით, აღნიშნული საქმიდან ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის საქმე გამოიყო. მოგვიანებით კი, კვლავ ბრალდების შუამდგომლობით, საქმეები ისევ გაერთიანდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით გიგი უგულავასთვის პატიმრობის შეფარდების საკითხი სასამართლომ კვირა დღეს განიხილა. დაცვის მხარის მტკიცებით, ყოველივე ეს განპირობებული იყო პროკურატურის სურვილით საქმე პროკურატურისთვის სასურველ მოსამართლეს განეხილა.

ტელეკომპანია იმედის“ საქმეზე გიგი უგულავას ბრალი სხვადასხვა დროს სამჯერ წარედგინა. საყურადღებოა, რომ 2014 და 2015 წლების დადგენილებებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები ძირითადად მეორდება და, ნაწილობრივ, ასევე მოიცავს 2013 წლის 22 თებერვლის დადგენილებაში მითითებულ ფაქტებს. მართალია, პროკურატურას სრული უფლება აქვს, დააზუსტოს ფაქტობრივი გარემოებები და/ან შეცვალოს დანაშაულის კვალიფიკაცია, თუმცა საქმეში არსებული გარემოებები გამოძიების ხელოვნურ გაჭიანურებაზე მიანიშნებს და აჩენს საფუძვლიან ეჭვებს, რომ პროკურატურამ შინაარსობრივად ერთი საქმე ხელოვნურად დაყო სამ სხვადასხვა ეტაპად, რათა მისთვის სასურველ დროს უგულავასთვის პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველი ჰქონოდა. საქართველოს კონსტიტუცია ადგენს, რომ პირის წინასწარი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ერთი პირის მიმართ რამდენიმე ბრალდების არსებობის შემთხვევაში, საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების ვადის, თითოეული საქმისათვის დამოუკიდებლად განსაზღვრით ხდებოდა წინასწარი პატიმრობისთვის დაწესებული 9 თვიანი ვადის ხელოვნურად გაგრძელება. კანონის ამგვარი გამოყენება პატიმრობის პრაქტიკულად შეუზღუდავი ვადით თვითნებური გაგრძელების შესაძლებლობას ქმნიდა, ეს კი აჩენდა რეალურ საფრთხეს, რომ ბრალდებული უსასრულოდ ყოფილიყო პატიმრობაში ისე, რომ მის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი არ დამდგარიყო. სწორედ მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი გიგი უგულავასთან მიმართებით. მას 2014 წლის 28 ივლისს წარდგენილი (7 ნოემბრის ეპიზოდი) ბრალდება, რომელიც საჯარო მოხელის მიერ უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობდა - დაუმძიმდა. კერძოდ, არსებულ ბრალს გაფლანგვაში დახმარება (ე.წ. „მთაწმინდის პარკის ქონების გაფლანგვის ეპიზოდი“) და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ე.წ. „ტელეკომპანია „იმედის“ ეპიზოდი“) დაემატა. ამ პერიოდში გიგი უგულავა სხვა საქმეზე (ე.წ. ფულის გათეთრება და „მარნეულის“ ეპიზოდი) უკვე იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, რომლის ვადაც 2015 წლის 2 აპრილს იწურება. საეჭვო არის ის გარემოება, რომ სწორედ 2015 წლის 2 აპრილის მოახლოებას დაემთხვა ბრალის დამძიმება და საქართველოს პროკურატურის ახალი შუამდგომლობა გიგი უგულავასთვის მეორე საპატიმრო აღკვეთი ღონისძიების მოთხოვნის შესახებ. პროკურატურის მიერ განხორციელებული ქმედებების ქრონოლოგია აჩენდა განცდას, რომ პროკურატურის თვითმიზანს გიგი უგულავას პატიმრობაში ყოფნა წარმოადგენდა. მსგავს პრობლემაზე მიუთითებდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ გახმაურებული სისხლის

სამართლის საქმეების მონიტორინგის მეორე ანგარიშში ბრალდებულ ბაჩანა ახალაიასთან მიმართებითაც.

პროცესებზე დაკვირვებისას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იყო გამოკვეთილი, რომელიც აღკვეთი ღონისძიების შეცვლის განხილვისას მტკიცების ტვირთს ეხება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად დადგენილი იყო, რომ შუამდგომლობაში (აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ) უნდა აღინიშნოს, რა ახალი გარემოებები გამოვლინდა, რომლებიც აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას მხარისათვის არ იყო ცნობილი და უნდა დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონი ბრალდებულს/დაცვის მხარეს ავალდებულებდა ემტკიცებინა, რომ სახეზე არ/აღარ იყო საპატიმრო აღკვეთი ღონისძიების გამოყენების საფუძველი. აღნიშნული ნორმა და მის საფუძველზე წარმოებული პრაქტიკა ჩვენი შეფასებით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტს (უდანაშაულობის პრეზუმფცია) რადგან ბრალდებულზე ახდენდა მტკიცების ტვირთის გადაკისრებას. მნიშვნელოვანია, რომ ეს პრობლემა საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ აღმოიფხვრა. კერძოდ, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, მოსამართლე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ასევე, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს ეკისრება.

გიგი უგულავას და სხვა მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მიმდინარე საქმეში რამდენჯერმე მოხდა დაცვის მხარის მიერ საქმეთა განაწილების პრობლემის წამოჭრა, რაც არაერთხელ გამხდარა სამოქალაქო სექტორის მხრიდან კრიტიკის საგანი. არაგანჭვრეტადი და მკაცრად ეფუძნებოდეს შემთხვევითი შერჩევის პრინციპს.

4. საანგარიშო პერიოდში საქმეზე წარმართული პროცესის მიმოხილვა

4.1 გიორგი უგულავას წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების სხდომა

2015 წლის 15 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა გიორგი უგულავას სარჩელი. მოსარჩელეს არაკონსტიტუციურად მიაჩნდა ის გარემოება, რომ პარალელურად რამდენიმე ბრალდების შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ვადა, შესაძლოა, განისაზღვროს თითოეული საქმისთვის დამოუკიდებლად და ჯამში აღემატებოდეს კონსტიტუციით განსაზღვრულ 9 თვეს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის დაპატიმრება თანაბრად უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას თითოეულ ბრალდებასთან მიმართებით. შესაბამისად, თითოეული სისხლის სამართლის საქმეზე პატიმრობის 9 თვიანი ზღვრული ვადის გამოთვლისას ამ ვადაში უნდა ჩაითვალოს ის პერიოდი, რომელიც პირმა ბრალდების შემდეგ პატიმრობაში გაატარა მის მიმართ წარმოებული სხვა საქმის ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (*Sebalj v. Croatia*, განცხადების ნომერი - 4429/09, 2011 წლის 28 ივნისი), რომლითაც მსგავსი საკანონმდებლო ნორმის საფუძველზე ბრალდებულისთვის კანონით განსაზღვრული პატიმრობის ვადის გაგრძელება კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ სადავო ნორმა იმაზე მეტი ვადით უშვებს პირის პატიმრობაში ყოფნას ვიდრე ეს კონსტიტუციით არის ნებადართული, რაც ხელყოფს მისი, როგორც ბრალდებულის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მეექვსე პუნქტებით დაცულ უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით გამოსწორდა ის მანკიერი პრაქტიკა, რომელიც წინასწარი პატიმრობის პრაქტიკულად შეუზღუდავი ვადით თვითნებური გაგრძელების შესაძლებლობას ქმნიდა, და რომელიც არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული ჩვენს წინა ანგარიშებში.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 18 სექტემბერს გიორგი უგულავა წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა, თუმცა 19 სექტემბერს იგი სასამართლომ დამნაშავედ ცნო “განვითარების ფონდის” საქმეზე და მას 4 წლით და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემდგომ, 2015 წლის 18 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართული პროცესის მიმართ მაღალი დაინტერესება იყო. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს პირველი დარბაზი, რომელიც მოცულობით დიდია და სხდომის იქ ჩატარების შემთხვევაში მეტ ადამიანს მიეცემოდა სხდომაზე დასწრების საშუალება, თავისუფალი იყო, სხდომა იქ არ გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ სხდომა გვიან დაიწყო, რადგან პროკურორები სხდომაზე 50 წუთის დაგვიანებით გამოცხადნენ.

პროცესზე ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა კოლეგიის ახლად შერჩეული მოსამართლის აცილების თაობაზე. პროკურორების განცხადებით, საქმის განმხილველი ერთ-ერთი მოსამართლე სტრასბურგში იმყოფება, ხოლო სათადარიგო მოსამართლე სხდომებს არ ესწრებოდა, საქმეში ჩართული არ იყო და ამიტომ, უფლებამოსილი არ იყო ემსჯელა წინასწარი პატიმრობის შეცვლის შუამდგომლობაზე.

დაცვის მხარის განცხადებით, პროკურატურა მოსამართლის აცილებას საქმის გაჭიანურების გამო ითხოვდა. საბოლოოდ ბრალდების ეს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. ამის შემდგომ ბრალდების მხარემ მთელი კოლეგიის აცილება მოითხოვა თუმცა, არც ეს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. მას შემდეგ რაც დაცვის მხარემ წაიკითხა თავისი შუამდგომლობა, გიორგი უგულავას გათავისუფლების შესახებ, ბრალდების მხარემ ამ შუამდგომლობაზე საპასუხოდ და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაცნობად გონივრული ვადა მოითხოვა, რომელიც რამდენიმე დღეს მაინც გულისხმობდა. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და მათ დამატებით 2 საათი მისცა.

პროცესის განახლების შემდგომ ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ აბსოლუტურად არაგონივრული იყო სასამართლოს მიერ მათთვის მიცემული დრო. მათი აზრით, ამით მხარეებს შორის თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი დაირღვა. ბრალდების მხარეს ასევე მიაჩნდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არაფერი ეწერა უშუალოდ საქმის ფაქტობრივ და ფორმალურ საფუძვლებზე, რაც მნიშვნელოვანი იყო ამ საქმისთვის.

სასამართლომ განმარტა, რომ ამ გადაწყვეტილებაში მთავარი იყო სარეზოლუციო ნაწილი და მათთვის მიცემული 2 საათი საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ძირითადი დასკვნა გამოეტანათ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ამის შემდგომ, სასამართლო კოლეგია სათათბიროდ გავიდა და დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა გიორგი უგულავა წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ.

4.2 საქმიდან მოსამართლე ლილი მსხილამის აცილების შუამდგომლობის განხილვა

2015 წლის 6 ოქტომბერს ჩატარებულ სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა სხდომის თავმჯდომარის, ლილი მსხილამის აცილების თაობაზე, ადვოკატებს საკუთარი შუამდგომლობა პრეზენტაციის სახით ჰქონდათ მომზადებული და სურდათ აუდიო და ვიდეო ფაილების დემონსტრირება.

თავად ლილი მსხილამემ, რომელიც სხდომის თავმჯდომარე იყო განაცხადა, რომ იგი არ მისცემდა პრეზენტაციის გაკეთების უფლებას დაცვის მხარეს, რადგან ამას კანონი არ ითვალისწინებს. ამასთან მოსამართლემ ადვოკატებს შემდეგნაირად მიმართა: „მე მინდა, როგორც იურისტებს განვიმარტოთ, რომ თქვენი იურიდიული აზროვნება, რაღაც ძალიან

შემაშფოთებელია, მარტივად რომ ვთქვათ. არაკომპეტენტურობაზე აღარ ვლაპარაკობ არაფერს“. ამის საპასუხოდ დაცვის მხარემ განაცხადა, რომ მათ უნდა მისცემოდათ შესაძლებლობა წარმოედგინათ შუამდგომლობა იმ ფორმით, რა ფორმითაც თვითონ აირჩევდნენ, ამასთან, ადვოკატების განმარტებით, რადგანაც საკითხი სდომის თავჯდომარის აცილებას ეხებოდა, კოლეგიის სხვა ორ მოსამართლეს უნდა მიეღო გადაწყვეტილება პრეზენტაციის გაკეთებასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ კოლეგიის ორმა მოსამართლემ ადგილზე თათბირით დაცვის მხარეს მისცა შესაძლებლობა შუამდგომლობა დაეყენებინა პრეზენტაციის სახით. ლილი მსხილაძე სხდომაზევე არ დაეთანხმა თავისი კოლეგების გადაწყვეტილებას და განაცხადა, რომ მას აშფოთებს ის პრეცედენტი, რაც კოლეგიის ორმა მოსამართლემ შექმნა. მისი აზრით, ეს არის ძალიან ცუდი პრეცედენტი და კოლეგებმა, მიიღეს აბსოლუტურად არასწორი გადაწყვეტილება ამ პრეცედენტის შექმნასთან დაკავშირებით.¹ ამის საპასუხოდ კოლეგიის მოსამართლე ლიანა ორკოდაშვილმა განაცხადა, რომ კოლეგიაში შექმნილი აზრთა სხვადასხვაობის და კოლეგიის თავჯდომარის მიერ გაკეთებული შენიშვნების გამო იგი აყენებდა თვითაცილების შუამდგომლობას, თუმცა შემდეგ კოლეგიამ გადაწყვიტა, რომ ჯერ მხარის შუამდგომლობას მოისმენდნენ.

პროცესზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა კოლეგიის თავჯდომარის ლილი მსხილაძის აცილების შესახებ. ადვოკატების განმარტებით, ბრალდების მხარის ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებას სახალხო დამცველის ანგარიში წარმოადგენს, ამ ანგარიშების შექმნის დროს კი მოსამართლე ლილი მსხილაძე სახალხო დამცველის აპარატში მუშაობდა, მაშინდელი სახალხო დამცველის სოზარ სუბარის მრჩეველად. ამ პერიოდში მოსამართლეს ჰქონდა დასკვნები მომზადებული არკადი პატარკაციშვილის და ვალერიან გელბახიანის საქმეებზე, ამასთან, იგი კარგად იცნობს სოზარ სუბარსა და ვალერი გელბახიანს, რომლებიც ამ საქმეში ბრალდების მთავარი მოწმეები არიან. დაცვის მხარის განმარტებით, დაუშვებელია, მოსამართლემ მიიღოს იმ საქმის განხილვაში მონაწილეობა, რომლის მტკიცებულების შექმნაში იღებდა მონაწილეობას.

ადვოკატებმა ასევე წარმოადგინეს გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „მოსამართლე მიხეილ სააკაშვილს ამხელს“. მხარის განმარტებით ეს მოსამართლე სწორედ ლილი მსხილაძე იყო, რომელიც მეუღლის დაკავებასთან დაკავშირებით მტკიცებულების ფალსიფიკაციაზე საუბრობდა სტატიაში. შესაბამისად, მხარის აზრით, მოსამართლე წინა ხელისუფლების მიმართ ნეგატიურად არის განწყობილი, ამიტომაც იგი ვერ იქნება ობიექტური და მიუკერძოებელი ამ საქმის განხილვისას. მხარის მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა ლილი

¹ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით ამ განცხადებების გამო, მოსამართლე ლილი მსხილაძეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – საყვედური.

მსხილამის სხვადასხვა სატელევიზიო გამოსვლები და ასევე სოციალურ ქსელ “ფეისბუქზე” გამოთქმული მოსაზრებები.

შუამდგომლობის საპასუხოდ მოსამართლე ლილი მსხილამემ განაცხადა, რომ დღეს დაცვის მხარის მიერ გათამაშდა ერთგვარი შოუ, რომელიც სასამართლოს შეურაცხყოფისაკენ იყო მიმართული, რაზეც იგი შესაბამის ორგანოებს მიმართავდა რეაგირებისთვის.

კოლეგიის დარჩენილმა ორმა მოსამართლემ განმარტა, რომ მათ არ ეპარებათ ეჭვი ლილი მსხილამის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში, თუმცა საზოგადოებაში გარკვეული ეჭვები რომ არ გაჩნდეს, მხარის მოთხოვნა მოსამართლის აცილების თაობაზე, უნდა დაკმაყოფილდეს.

4.3 მხარეთა მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

დაცვის მხარემ სასამართლოზე დააყენა შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 სექტემბერის განაჩენის დართვასთან დაკავშირებით. მხარის განმარტებით ისინი სრულად არ იზიარებენ განაჩენის დასაბუთებას, თუმცა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ ტელე იმედის ეპიზოდთან დაკავშირებით გიორგი უგულავასა და დავით კუბერაშვილის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი. მხარის განმარტებით, ეს განაჩენი არის რელევანტური და უნდა დაერთოს საქმეს, იგი წარმოადგენს ბრალდებულების გამამართლებელ მკიცებულებებს და ასევე მას კავშირი აქვს ერთიდაიმავე საქმეზე ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის პრინციპთანაც, რადგანაც რიგი ფაქტობრივი გარემოებები და ასევე ზოგიერთი მოწმე იდენტურია განსახილველი საქმის.

შუამდგომლობას არ დაეთანხმა ბრალდების მხარე. მათი აზრით, აღნიშნული განაჩენის ფაქტობრივ გარემოებებს მოცემულ საქმესთან მიმართებით არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან განსახილველ საქმეზე ბრალი განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით არის წარდგენილი.

სასამართლომ ერთხმად დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა განაჩენის დართვასთან დაკავშირებით. სასამართლოს განმარტებით, სხვა საქმეზე განაჩენი კონკრეტული პირის მიმართ უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, თუნდაც პიროვნული მახასიათებლების შეფასების გამო, შემდგომში კი თვითონ სასამართლო გადაწყვეტს თუ რა გარემოებებს გაითვალისწინებს ამ განაჩენიდან, როცა საქმეზე გადაწყვეტილებას მიიღებს.

დაცვის მხარემ ასევე დააყენა შუამდგომლობა ევროსაბჭოს რეზოლუციის მტკიცებულებად დართვასთან დაკავშირებით. მხარის განმარტებით, რეზოლუციაში განხილულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების, ანუ ოპოზიციონერების დისკრედიტაციის შემთხვევები,

წინასწარი პატიმრობის ვადების დარღვევის პრობლემები, გიორგი უგულავას და ბაჩანა ახალაიას საქმეები.

ბრალდების მხარე არ დაეთანხმა ამ დოკუმენტის მტკიცებულებად დართვას, რადგანაც მათი აზრით, მას აქვს მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვა. ბრალდების მხარის განმარტებით, სასამართლომ საქმეზე არსებული მტკიცებულებები უნდა შეისწავლოს, პოლიტიკური შეფასებები კი სასამართლოსთვის რელევანტური არ უნდა იყოს.

სასამართლომ დაცვის მხარის ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგანაც იგი არ ეხებოდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

პროცესზე ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა განსახილველ საქმესთან სხვა საქმის გაერთიანების შესახებ. ეს საქმე შეეხებოდა მიხეილ სააკაშვილისთვის წაყენებულ ბრალდებას სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირების შეწყალების გამო. პროკურატურის განმარტებით აღნიშნულ საქმეებზე ერთი და იგივე იყო ბრალდებული და ასევე დასაკითხი მოწმეები: ზურაბ ნოღაიდელი, ნინო ბურჯანაძე, სოზარ სუბარი. შესაბამისად დროის დაზოგვისა და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, იშუამდგომლა საქმეების გაერთიანებაზე.

დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას, რადგან იგი გააჭიანურებდა საქმის განხილვას. სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის ეს არგუმენტი და ბრალდების მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

2015 წლის 6 ოქტომბრის სხდომაზე სასამართლომ განხილა მიხეილ სააკაშვილისთვის და დავით კეზერაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი. დაცვის მხარე ახლად აღმოჩენილ გარემოებად ინტერპოლის გადაწყვეტილებას უთითებდა, რომლის მიხედვითაც, მიხეილ სააკაშვილის და დავით კეზერაშვილის მიმართ ინტერპოლით ძებნის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგანაც მათი საქმეები პოლიტიკური ნიშნების შემცველი იყო. დაცვის მხარე ახალ გარემოებად ასევე სხვა საქმესთან დაკავშირებით დავით კეზერაშვილის მიმართ დამდგარ გამამართლებელ განაჩენს უთითებდა .

სასამართლომ ადგილზე თათბირით მიიღო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების უცვლელად დატოვების შესახებ. სასამართლოს განმარტებით, ინტერპოლის გადაწყვეტილება არ არის სავალდებულო ქართული მართლმსაჯულებისთვის, ხოლო სხვა საქმეზე დამდგარი გამამართლებელი განაჩენი ვერ იქნებოდა რელევანტური ამ საქმეში წინასწარი პატიმრობის შესაცვლელად. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ბრალდებულები თავს არიდებენ გამოძიებას და არ ცხადდებიან სასამართლო პროცესებზე შესაბამისად წინასწარი პატიმრობის გამოყენების საჭიროება კვლავაც არსებობს.

4.4 საქმეზე დაკითხული მოწმეები

ტელეკომპანია „იმედის“ შეჭრის საქმეზე დაკითხა „იმედის“ რამდენიმე ყოფილი ჟურნალისტი.

ბრალდების მხარის მოწმის სახით დაკითხვის დროს ჟურნალისტმა დიანა ტრაპაიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ დღეს ტელეკომპანიის ტექნიკის ნაწილი გაფუჭდა, ჟურნალისტებიც ბევრი დაშავდა. იგი საეთეროში იყო, როცა სპეცრაზმი შევიდა ტელევიზიაში. როგორც ჟურნალისტი იხსენებს, 20-25 სპეცრაზმელი შევარდა ტელევიზიაში, ნაწილი ნიღბით, ნაწილი ნიღბის გარეშე და ამტვრევდნენ ტექნიკას. ასევე ადგილი ჰქონდა ფიზიკურ შეურაცხყოფასაც. მოწმემ ასევე მიუთითა, რომ მას ტელევიზიიდან გაქცევის დროს ფეხებში მოხვდა ტყვია.

პროცესზე ასევე დაკითხა ჟურნალისტი გიორგი თარგამაძე. როგორც მოწმე იხსენებს, მან სპეცრაზმის შემოსვლის დროს მოახერხა სატელევიზიო სტუდიაში შესვლა, საიდანაც ხალხს გააგებინა, თუ რა ხდებოდა ტელეკომპანია „იმედში“. შემდგომ სპეცრაზმმა სტუდიის კარი ჩაამტვრია, დალეწეს კამერები და გათიშეს ეთერი. მოწმემ აღწერა, რომ სპეცრაზმმა ჯერ სათვალთვალო კამერები დააზიანა, შემდეგ ნიუს რუმის კომპიუტერები, არქივის კადრები, საერთო სამართავი პულტი, მონიტორები, განადგურებული იყო ასევე ყველაფერი მის კაბინეტშიც და წაღებული იყო კომპიუტერის პროცესორი.

პროცესზე ასევე დაკითხნენ ჟურნალისტები ლევან ჯავახიშვილი და თეა სიჭინავა, რომლებმაც ასევე აღწერს 7 ნოემბერს ტელევიზიაში განვითარებული მოვლენები და სასამართლოს განუმარტეს ის დეტალები, რაც წინ უძღოდა სპეცრაზმის ტელევიზიაში შეჭრას.

სასამართლოში ასევე დაკითხნენ ბრალდების მოწმეები, რომლებმაც აღწერეს 7 ნოემბერს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნულ კომისიაში განვითარებული მოვლენები. პროცესზე დაკითხა კომისიის ყოფილი წევრი ზურაბ ნონიკაშვილი, რომელიც მისი თქმით ამჟამად კომისიის თავმჯდომარის მრჩეველია.

ზურაბ ნონიკაშვილის თქმით, მას 7 ნოემბერს დაურეკა შსს-ს ტექნიკურ - ოპერატიული სამმართველოს უფროსმა და თხოვა რომ მოდულის შენობაში მისულიყო შესახვედრად. ერთ-ერთ კაბინეტში მას დახვდა რამდენიმე პიროვნება მათ შორის: ივანე მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი. მისი თქმით ადეიშვილმა დაავალა, რომ დაბრუნებულიყო ისევ სამსახურში, სადაც ასევე მოვიდოდა მურთაზ ზოდელავა ტელეკომპანია „იმედის“ საკითხთან დაკავშირებით. მურთაზ ზოდელავამ მას უთხრა, რომ „იმედის“ მაუწყებლობა უნდა შეწყვეტილიყო და წარმოადგინა გარკვეული პროექტი. მოწმის განმარტებით, მან სამართლებრივი კუთხით დაიწუნა წარმოდგენილი პროექტი. ამის შემდგომ კომისიის შენობაში მოვიდა კონტრაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილე, რომელმაც განმარტა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოება

საშიშროების წინაშე იდგა და კომისიის შენობა უნდა დაეკავებინათ. მოწმის განმარტებით, კომისიის შენობაში შეიარაღებული ხალხი დადიოდა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ეწინააღმდეგებოდნენ მისთვის წარდგენილი გეგმის დამტკიცებას, რადგან არანაირი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა მაუწყებლობის შესაწყვეტად. თუმცა, საბოლოო ჯამში, მაინც იქნა გადაწყვეტილება მიღებული ტელეკომპანია „იმედია“ დაჯარიმების და მისთვის სამაუწყებლო ლიცენზიის გაუქმების შესახებ. მოწმის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილებები მათზე განხორციელებული ზეწოლის შედეგი იყო და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ შეესაბამებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონს.

პროცესზე ასევე დაიკითხნენ მარეგულირებელი კომისიის თანამშრომლები გიორგი რატიშვილი, დავით პატარაია, გიორგი ფრუიძე და კახი ყურაშვილი, რომლებმაც ასევე მიუთითებდნენ ზეამოღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას მათზე განხორციელებულ ზეწოლაზე.

მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. საქმეზე განაჩენი არ დამდგარა.

5. ჩვენი დაკვირვება

მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გიორგი უგულავას სარჩელის დაკმაყოფილებით გამოსწორდა ის მანკიერი პრაქტიკა, რომელიც წინასწარი პატიმრობის პრაქტიკულად შეუზღუდავი ვადით თვითნებური გაგრძელების შესაძლებლობას იძლეოდა, და რომელიც არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული ჩვენს წინა ანგარიშებში. მედია საშუალებებს პროცესის მიმდინარეობის გადაღებაში ხელი არ შეშლიათ. თუმცა აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ საქმის მიმართ არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, სასამართლო არ ზრუნავდა სხდომების დიდ დარბაზში ჩატარებაზე.

რიგ შემთხვევაში, პროცესის მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა მოსამართლეებს შორის დაპირისპირებას, რაც აზიანებს სასამართლოს ავტორიტეტს და მისადმი მხარეების პატივისცემას. ასევე ადგილი ჰქონდა მოსამართლის მხრიდან მხარის მიმართ არაეთიკურ დამოკიდებულებას, რაც ასევე არ შეესაბამება სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს.

ასევე დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მოწმეები სასამართლო განხილვას ესწრებოდნენ, მანამ სანამ დაიკითხებოდნენ, რაც კანონით შეზღუდულია.

სხვა მხრივ საქმის განხილვისას პროცესებზე რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობას ხელყოფდა, არ გამოვლენილა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა ეძლეოდათ, წარმოედგინათ არგუმენტები და

მტკიცებულებები, განეხორციელებინათ საპროცესო მოქმედებები და დაეცვათ საკუთარი ინტერესები.

გიგი (გიორგი) უგულავა და დავით კეზერაშვილი

I ეპიზოდი - ე.წ რიყის ეპიზოდი

II ეპიზოდი - შპს თბილსერვის ჯგუფში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების დასაქმების (თბილსერვისის) ეპიზოდი

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიგი (გიორგი) უგულავა (თბილისის ყოფილი მერი) – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა, როდესაც ეს ნივთი იმყოფებოდა გამფლანგველის მართლზომიერ გამგებლობაში (ე.წ. რიყისა და თბილსერვისის ეპიზოდები).

დავით კეზერაშვილი (თავდაცვის ყოფილი მინისტრი) – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში წაქეზება, როდესაც ეს ნივთი იმყოფებოდა გამფლანგველის მართლზომიერ გამგებლობაში. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების დამალვა, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (ე.წ რიყის ეპიზოდი).

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, 2008 წლის ბოლოს, საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით კეზერაშვილს გააჩნდა რა გარკვეული ფინანსური ვალდებულებები ბიზნესმენ ჯოზეფ კეის წინაშე, განიზრახა ხსენებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით გადახდა, რის გამოც დაუკავშირდა იმჟამინდელ ქ.თბილისის მერს - გიორგი უგულავას და შესთავაზა დედაქალაქის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა, რომლის წარმოშობის წყაროს დაფარვისა და კანონიერი სახის მიცემის გზით მოახდენდა შემდგომ ჯოზეფ კეის მიმართ ვალდებულების შესრულებას. აღნიშნულ შეთავაზებას გიორგი უგულავა დათანხმდა და შედეგად მოხდა შპს „ახალ რიყეზე“ 7 000 000 აშშ დოლარად გასხვისებული, ქ.თბილისში, რიყის ტერიტორიაზე მდებარე 43 350 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით მაღალ 17 000 000 აშშ დოლარად, საიდანაც 10 000 000 აშშ დოლარი წარმოადგენდა დავით კეზერაშვილის მიერ ჯოზეფ

კეისათვის გადასაცემ თანხას, რითაც ბრალდებულებმა მოახდინეს სახელმწიფოს კუთვნილი 10 000 000 აშშ დოლარის თანხის გაფლანგვა. აღნიშნული თანხა რეალურად უნდა მოხმარებოდა ძველი თბილისის ტერიტორიაზე ინვესტიციების განხორციელების წახალისებას, მის განაშენიანებას, რესტავრაციასა და რეკონსტრუქციას. ბრალდების თანახმად, დავით კეზერაშვილი თანხისათვის უკანონო წარმოშობის დაფარვისა და მისი წარმოშობის წყაროს შენიღბვის მიზნით, დაუკავშირდა ჯოზეფ კეის და შეუთანხმდა მის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებას შპს „ახალი რიყის“ ანგარიშზე განთავსებული ფულადი თანხებიდან. ამ მიზნით, დავით კეზერაშვილის მითითებით, 2009 წლის იანვარში დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებულ ჯოზეფ კეის კუთვნილ კომპანია „LAKEBROW LIMITED“-სა და შპს „ახალი რიყის“ შორის გაფორმდა 2008 წლის 05 აპრილით დათარიღებული ფიქტიური ხელშეკრულება მმართველობითი და ოპერაციული მომსახურების გაწევის თაობაზე. ხსენებული ხელშეკრულებაში, რომელიც წარმოადგენდა რა გიორგი უგულავას მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაფლანგული 10 000 000 აშშ დოლარისათვის კანონიერი სახის მიცემის სამართლებრივ საფუძველს, ხელოვნურად ჩაიდო პირობა შპს „ახალი რიყის“ მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს სახით 10 000 000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე. მოგვიანებით კი ვითომდა ხელშეკრულების დარღვევის გამო, დავით კეზერაშვილის მითითებით შპს „ახალი რიყის“ მიერ 10 000 000 აშშ დოლარიდან შესაბამისი გადასახადის გადახდის შედეგად დარჩენილი 8 811 189 აშშ დოლარი გადაირიცხა ჯოზეფ კეის კუთვნილი კომპანიის ანგარიშზე, რითაც დაიფარა ჯოზეფ კეის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებები.

ბრალდების მეორე ეპიზოდი შპს „თბილსერვის ჯგუფში“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 764 აქტივისტის, ე.წ. პარტიული კოორდინატორის, დასაქმებას შეეხება. საგამომიებო სამსახურის თანახმად, დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ, ხელფასის სახით, 4 130 728 ლარი დაერიცხათ. კერძოდ, გიგი უგულავას დავალებით 2009 წლის 31 დეკემბერს შპს „თბილსერვის ჯგუფში“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებისათვის ფულის დარიგების მიზნით სპეციალურად შეიქმნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება“, სადაც ფიქტიურად გაფორმდა 712 აქტივისტი - ე.წ. პარტიული კოორდინატორი. ბრალდების მიხედვით, უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია და ეწეოდა პარტიულ საქმიანობას, თუმცა დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ ხელფასის სახით ჯამში 4 130 728 ლარი დაერიცხათ.

3. გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის წინა ანგარიშებში ასახული ძირითადი შეფასებები საქმესთან დაკავშირებით.

პროცესების მიმდინარეობისას დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოწმეებს დარბაზში დამსწრე პირებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი ქმედებისათვის მოსამართლე წესრიგის დამრღვევ პირებს აჯარიმებდა ან სასამართლო

დარბაზიდან ამევებდა. ასევე, ხშირი იყო დამაბული ვითარება სხდომათა დარბაზის გარეთ. პროცესებზე დაკვირვებისას დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოწმეები დარბაზის გარეთ, დერეფანში ერთად იდგნენ და ელოდებოდნენ პროცესზე მათ გამოსვლას. ამ დროის მანძილზე მათ თავისუფლად ჰქონდათ კომუნიკაციის შესაძლებლობა. სასამართლოს შესაბამის სამსახურებს არავითარი ზომა არ მიუღიათ მოწმეთა განცალკევების უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთ სხდომაზე ბრალდებულმა გიგი უგულავამ მოსამართლეს სთხოვა, ბადრაგირების სამსახურს მისთვის უფლება მიეცა და ხელი არ შეეშალა ადვოკატებთან კომუნიკაციაში - იგი ფურცელზე დაწერილი სახით აწვდიდა მათ კითხვებს. მოსამართლემ მოუწოდა ბადრაგირების სამსახურს, არ დაერღვიათ ბრალდებულის უფლება და თავის დამცველებთან კომუნიკაციის კონფიდენციალურად განეხორციელების საშუალება მისცემოდა. დაცვის მხარე და ბრალდებული ხშირად პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდნენ. მოსამართლემ რამდენჯერმე მოუწოდა მათ ამგვარი განცხადებებისგან თავი შეეკავებინათ. მოსამართლემ დაცვის მხარის მიერ გარკვეული ქმედებები საქმის გაჭიანურებად შეაფასა და საპროცესო კანონმდებლობის დაცვისაკენ მოუწოდა. მოსამართლის შეფასება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დაცვა დიდი ხნის განმავლობაში კითხავდა ერთ მოწმეს. დაცვის მხარემ აღნიშნა, რომ თითქმის ორი წელი მიმდინარეობდა ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა, ამიტომ არ უნდა ხდებოდეს დაცვის მხარისთვის მოწმეთა სწრაფად დაკითხვისკენ მოწოდება და დადანაშაულება პროცესის გაჭიანურებაში.

2014 წლის 27 თებერვალს, საფრანგეთის ექს - ან - პროვანსის სააპელაციო სასამართლომ დავით კუხერაშვილის ექსტრადაციაზე ქართულ მხარეს უარი განუცხადა. ბრალდებულის ექსტრადაციაზე უარი განპირობებული იყო დავით კუხერაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიკური დევნის საშიშროებით. სხდომებზე ვიდეო გადაღებას შეფერხების გარეშე სხვადასხვა ტელევიზია აწარმოებდა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში მედია საშუალებას არ მიეცა ვიდეო გადაღების საშუალება, რადგან მათ მოსამართლისგან ნებართვა არ ჰქონდათ წინასწარ მიღებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანების მიხედვით კი ამგვარი შუამდგომლობით სასამართლოს მედია საშუალებებმა უნდა მიმართონ პროცესის დაწყებამდე ერთი საათით ადრე. შუამდგომლობა პროცესის დაწყების შემდეგ იქნა დაყენებული, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

4. საანგარიშო პერიოდში საქმეზე წარმართული პროცესის მიმოხილვა

პროცესის მიმდინარეობისას გიორგი უგულავა პროტესტის ნიშნად უარს აცხადებდა სასამართლოში გამოცხადებაზე.

საანგარიშო პერიოდში 2015 წლის 3 სექტემბრიდან 18 სექტემბრამდე რამდენჯერმე გადაიდო სხდომა დაცვის მხარის მოთხოვნით. ადვოკატების მიერ დასახელებული მიზეზი იყო სხვა სისხლის სამართლის საქმეების განხილვაში მონაწილეობა და ასევე მათი ყოფილი დაცვის ქვეშ მყოფი პირის პანაშვიდზე წასვლა.

მოსამართლემ 9 სექტემბერს გამართულ პროცესზე განაცხადა, რომ ეს იყო უპასუხისმგებლო და არასერიოზული მიზეზები. მოსამართლის შეფასებით, გაუგებარია, თუ პირის დაკრძალვა არის 10 სექტემბერს, რატომ ვერ ცხადდება ადვოკატი სასამართლოში 9 სექტემბერს. სასამართლოს შეფასებით ეს იყო პროცესის შეგნებული გაჭიანურება, რის გამოც ადვოკატი დაჯარიმდა 500 ლარის ოდენობით.

მოსამართლემ ასევე მიიღო გადაწყვეტილება ბრალდებულ გიორგი უგულავასთვის სახაზინო ადვოკატის დანიშვნასთან დაკავშირებით.

მას შემდეგ რაც 2015 წლის 15 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა გიორგი უგულავას სარჩელი წინასწარი პატიმრობის ვადებთან დაკავშირებით, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა გიორგი უგულავას დაუყოვნებლივ გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მხარის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეზე არ არის გიგი უგულავას მიმართ აღკვეთი ღონისძიება გამოყენებული, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ნებისმიერ მოსამართლეს შეუძლია იმსჯელოს გიორგი უგულავას წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ.

სასამართლომ განმარტა, რომ სამართლებრივად იგი მოკლებულია უფლებამოსილებას, განიხილოს ეს შუამდგომლობა და ამ საკითხზე გადაწყვეტილებას მიიღებს ის მოსამართლე, რომელსაც დაეწერება შუამდგომლობის განხილვა.

ამის შემდგომ ადვოკატებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ შუამდგომლობა გადაეცა სხვა კოლეგიას, მოსამართლე ლილი მსხილამის თავმჯდომარეობით და რომ იმავე დღეს ჩაინიშნა სხდომა. შესაბამისად, ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა პროცესის გადადების თაობაზე, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა და პროცესი გადაიდო ერთი დღით.

მას შემდეგ რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ გაათავისუფლა გიორგი უგულავა წინასწარი პატიმრობიდან, 2015 წლის 18 სექტემბერს ჩაინიშნული სხდომის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა, რადგანაც შესაძლებელი იყო ამ საქმეზე სასამართლოს გამამტყუენებელი განაჩენი გამოეცხადებინა და ერთ დღიანი თავისუფლების შემდეგ გიორგი უგულავა კვლავ დაეპატიმრებინათ.

დაცვის მხარემ პროცესზე მიუთითა საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წევრის განცხადებაზე, რომლის თანახმად გიორგი უგულავას სიხარული მხოლოდ რამდენიმე საათიან სიხარულად დარჩებოდა და იგი აუცილებლად მიიღებდა იმ სასჯელს რაც მას ეკუთვნოდა. დაცვის მხარის განმარტებით ამგვარი განცხადებები ერთგვარ ზეწოლას წარმოადგენს

სასამართლოზე და არღვევს ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციას. აქედან გამომდინარე, მხარემ მოითხოვა პროცესის ერთი კვირით გადადება, სანამ ამგვარი ფონი არ მოიხსნებოდა.

სასამართლოს მიერ დანიშნულმა სახაზინო ადვოკატმა ასევე განაცხადა, რომ მას მომზადებული აქვს დასკვნითი სიტყვა, თუმცა ის არ არის სრულყოფილი, რადგან 2 კვირაში ვერ მოახერხა საქმის მასალებს გაცნობოდა სრულად, ამიტომ დამატებით კიდევ ითხოვა დრო.

ბრალდების მხარის პოზიციით, პოლიტიკოსები თავისუფალი არიან საკუთარ განცხადებებში და მას არანაირი კავშირი არ აქვს განსახილველ საქმესთან. პროკურორებმა ასევე მიუთითეს, რომ მათ ჯერ კიდევ ივნისში წარმოადგინეს დასკვნითი სიტყვა, ხოლო დაცვის მხარე კი პროცესს განზრახ აჭიანურებდა.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა პროცესის გადადებასთან დაკავშირებით, შესაბამისად პროცესი გაგრძელდა დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვით. უშუალოდ ბრალდებულმა პროტესტის ნიშნად უარი თქვა დასკვნითი სიტყვით გამოსვლაზე. ამის შემდგომ, მოსამართლე გავიდა გადაწყვეტილების გამოსაცხადებლად და განაჩენი იმავე დღეს გახდა ცნობილი.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ე.წ. „რიყის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ეპიზოდის“ განხილვისას ვერ იქნა წარმოდგენილი უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისი იქნებოდა პირთა დამნაშავედ ცნობისათვის, შესაბამისად, აღნიშნულ ბრალდებებში გიორგი უგულავა და დავით კეზერაშვილი გამართლდნენ. რაც შეეხება, ე.წ. „თბილსერვის ჯგუფის ეპიზოდს“ სასამართლომ საქმეში წარმოდგენილ და სასამართლო სხდომებზე გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით გიორგი უგულავა დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში. განაჩენის მიხედვით, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გიორგი უგულავას საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით 6 თვით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება.

5. ჩენი დაკვირვება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად წინასწარი პატიმრობიდან გიორგი უგულავას გათავისუფლების შემდგომ, ამ საქმეზე სასამართლომ მეორე დღესვე მიიღო გამამტყუნებელი განაჩენი, რის საფუძველზეც გიორგი უგულავას თავისუფლება კვლავაც აღეკვეთა. დროში ამგვარი დამთხვევა და დაჩქარებული წესით განაჩენის გამოცხადება აჩენდა

განცდას, რომ მიზანი გიორგი უგულავას თავისუფლების დაუყოვნებლივი შეზღუდვა იყო, რისი საჭიროებაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად დადგა. აღნიშნულ ეჭვს ამყარებს მანამდე პროკურატურის მიერ განხორციელებული ქმედებების ქრონოლოგია. მათი ქმედებები აჩენდა განცდას, რომ პროკურატურის თვითმიზანს გიგი უგულავას პატიმრობაში ყოფნა წარმოადგენდა, რისთვისაც 9 თვიან წინასწარი პატიმრობის ვადას არაკონსტიტუციურად იყენებდნენ.

მედიას რაიმე კუთხით არ შეშლია ხელი გაემუქებინა პროცესი. სხდომები ძირითადად მიმდინარეობდა წესრიგის დაცვით და მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა საკუთარი საპროცესო უფლებამოსილებები განეხორციელებინათ.

გიგი (გიორგი) უგულავა, ალექსანდრე გოგობია

I. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ეპიზოდი

II. სითი-პარკის ეპიზოდი

III. მარნეულის ეპიზოდი

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიგი (გიორგი) უგულავა (ქალაქ თბილისის ყოფილი მერი) - იძულება, ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს (მარნეულის ეპიზოდი), განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზება და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ეპიზოდი), სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სითი-პარკის ეპიზოდი).

ალექსანდრე გოგობია (ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიის EXIMUS HOLDING-ის დირექტორი) - დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

გიორგი ღონიაშვილი (გიგი უგულავას ქვისლი) - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჯგუფურად, რასაც ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება, აგრეთვე ზეგავლენით ვაჭრობა.

შენიშვნა: ბრალდებულმა გიორგი ღონიაშვილმა აირჩია მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა

სასამართლოს განეხილა, შესაბამისად, მისი საქმე გამოეყო გიგი უგულავას და სხვა ბრალდებულების საქმეს. ბრალდებულ დავით ჭედიას მიმართ კი სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

2. რით გამოიხატა ქმედება

I. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია

გამოძიების თანახმად, გიორგი უგულავას დანაშაულში ჩართულ სხვა პირებთან ერთად, მათ შორის ამავე საქმეზე დაკავებულ მის ქვისლ გიორგი ღონიაშვილსა და ლატარიის კომპანიის ყოფილ დირექტორთან, დავით კეზერაშვილის ბიზნეს პარტნიორ, ალექსანდრე გოგობიასთან ერთად, ერთ-ერთი ოფშორული კომპანიიდან საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ე.წ. „შავი ფული“ მართლსაწინააღმდეგოდ შემოჰქონდა. აღნიშნული თანხა შემდგომში პოლიტიკური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას უნდა მოხმარებოდა. კერძოდ, ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული, დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული კომპანიიდან, „ექსიმუს ჰოლდინგიდან“, ფიქტიური ხელშეკრულების საფუძველზე თანხა ირიცხებოდა ასევე ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიის, „ბრუქთრეიდის“ ანგარიშზე, საიდანაც აღნიშნული თანხა უკვე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაში გიორგი ღვინიაშვილისა და გიგი უგულავას გამგებლობაში ხვდებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მიზნით.

საერთო ჯამში, ოფშორული კომპანიიდან საქართველოში ფიქტიური ხელშეკრულების საფუძველზე ფულის გათეთრების გზით უნდა გადმორიცხულიყო 1 500 000 აშშ დოლარი, ხოლო გატარებული ოპერატიულ - სამძებრო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ მათ მხოლოდ 760 000 აშშ დოლარის გადმორიცხვა შეძლეს. აღნიშნული თანხა გიორგი უგულავამ პარტიული მიზნებისთვის გამოიყენა.

II. მარნეულის ეპიზოდი

გიგი უგულავა ბრალდებულია მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ 2014 წლის 05 ივნისს განხორციელებული იძულებისა და ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისათვის, რომელიც მიმართული იყო მარნეულის

საოლქო საარჩევნო კომისიის კანონიერი საქმიანობის შეფერხებისაკენ. ბრალდების თანახმად, გიგი უგულავა და მისი პარტიის წევრები შეიჭრნენ მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში და მის თავმჯდომარეს მოსთხოვეს, გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ რატომ გაუუქმა მან პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გამგებლობის კანდიდატს, აკამამედ იმამყულიევს, რეგისტრაცია.

III. სითი-პარკის ეპიზოდი

“სი-თი პარკის” საქმესთან მიმართებით, გიგი უგულავას ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და ამით კერძო კომპანიისთვის უპირატესობის მინიჭებაში. კერძოდ, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად, კერძო კომპანიის („სი-თი პარკი“) მიერ ჯარიმების გამოწერის შედეგად მიღებული თანხები აღარ ნაწილდებოდა სახელმწიფო და თვითმმართველობის ბიუჯეტს შორის და შემოსავალი ექცეოდა შპს „სი-თი პარკის“ მფლობელობაში, შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს ზიანი მიაღდა, კომპანიამ კი ზედმეტად 1 086 718 ლარი მიიღო.

3. გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის წინა ანგარიშებში ასახული ძირითადი შეფასებები საქმესთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული გიგი უგულავა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს მაშინ, როდესაც რამდენიმე დღით ადრე სასამართლომ სხვა საქმეზე ბრალდების მხარის შუამდგომლობა პატიმრობის გამოყენების თაობაზე არ დააკმაყოფილა და თბილისის მერი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. ბრალდებულმა გიგი უგულავამ აღკვეთი ღონისძიების შეფარდების სხდომაზე განაცხადა, რომ მის მიმართ დაირღვა ადვოკატის ყოლის უფლება, ვინაიდან დაკავებიდან პირველი სამი საათის განმავლობაში ადვოკატებს მასთან შესვლის უფლება არ მისცეს. ამასთან, მისმა ადვოკატებმა პროცესზე განაცხადეს, რომ ბრალდებულს დაკავებისას არ განუმარტეს, თუ რა დანაშაულისთვის დააკავეს. დაცვის მხარემ, ასევე, განაცხადა, რომ დაირღვა შეჯიბრობითობის პრინციპი, ვინაიდან მათ შეეზღუდათ საქმის მასალებზე წვდომა. ბრალდების მხარემ აღნიშნულზე განაცხადა, რომ ადვოკატების ორდერზე არ იყო ხელმოწერა, საქმის ნომერიც არასწორად ეწერა და მათ ბრალდებულის ნახვის უფლება ამიტომ არ მისცეს. პროკურატურის განცხადებით, მტკიცებულების გადაცემისას, მათ გონივრული ვადა დაიცვეს და ადვოკატებს საქმის მასალები 10 საათში გადასცეს, თუმცა დაცვის მხარე მასალების წასაღებად არ გამოცხადდა. ბრალდების თქმით, აღნიშნულის შესახებ ოქმიც არსებობდა. ერთ-ერთმა ბრალდებულმა, დავით ჭედიამ, განაცხადა, რომ პროკურატურამ ამ საქმეზე განრიდება შესთავაზა. მოგვიანებით კი, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. გიორგი ღონიაშვილის ადვოკატმა განაცხადა, რომ მას მტკიცებულებები კანონით დადგენილ ვადაში გადაეცა, თუმცა თავად ბრალდებულს ციხეში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული მასალების გაცნობის შესაძლებლობა არ ჰქონდა. მან აღნიშნა, რომ პროკურატურაში გააგზავნეს წერილი, ხოლო პროკურატურამ სასჯელადსრულების დაწესებულებას მიმართა, რომ გიორგი ღონიაშვილისთვის მასალების გაცნობის ტექნიკური საშუალება მიეცათ. აღნიშნული პრობლემა იყო გიორგი უგულავას მიმართაც, თუმცა დაცვის მხარის განცხადებით, ეს პრობლემა

პროკურატურის დახმარებით აღმოიფხვრა. ბრალდების მხარემ ერთ-ერთ პროცესზე დაცვის მხარე საქმის გაჭიანურებაში დაადანაშაულა. მათი განცხადებით, დაცვის მხარისთვის ცნობილი იყო, რომ ციხეში მყარი დისკების ჩვენების ტექნიკური უზრუნველყოფა ვერ ხდებოდა. მიუხედავად ამისა, გიორგი ღონიაშვილს სწორედ მყარ დისკზე განთავსებული მასალები მიუტანეს, რომ პროცესი გაჭიანურებულიყო. ბრალდების მხარის მტკიცებით, ჩაფიქრებული იყო, შემდგომში ბრალდების მხარე დაედანაშაულებინათ პროცესის გაჭიანურებაში. მომდევნო პროცესებზე გაირკვა, რომ აღნიშნული პრობლემა მოგვარდა და ბრალდებულმა ყველა მასალა ნახა. გიგი უგულავამ უარი განაცხადა პროცესებზე დასწრებაზე. აღნიშნული განცხადების შემდგომ იგი პროცესებს აღარ დასწრებია.

4. საანგარიშო პერიოდში საქმეზე წარმართული პროცესის მიმოხილვა

4.1 მხარეთა მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა 2016 წლის 25 იანვარს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის წარმოთქმული სიტყვის მტკიცებულებად დართვასთან დაკავშირებით. დაცვის მხარის განმარტებით, ასამბლეის პრეზიდენტის სიტყვა შეეხებოდა უგულავას მიმართ პოლიტიკური მოტივით წარმართულ სისხლისამართლებრივ დევნას.

ბრალდების მხარის პოზიციით, დაცვის მხარის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას სუბიექტური შეფასებებისგან თავისუფალი უნდა იყოს. პროკურორის განმარტებით, განცხადებაში არსად არ ჩანს, რომ იგი ამ კონკრეტულ საქმეს ეხება.

მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან იგი არც უარყოფს და არც ადასტურებს ფაქტებს, რომლებიც გავლენას მოახდენენ სისხლისამართლის საქმეზე, არ წარმოადგენს ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებელს და არის პოლიტიკოსის მოსაზრება.

დაცვის მხარის მიერ ასევე დაყენებულ იქნა შუამდგომლობა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის მტკიცებულებად დართვასთან დაკავშირებით. დაცვის მხარის განმარტებით, რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საქართველოში წინა ხელისუფლების წევრებზე ხორციელდება ზეწოლა, ბოროტად არის გამოყენებული წინასწარი პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება.

ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განმარტა, რომ მტკიცებულება პიროვნებას პირდაპირ უნდა ახასიათებდეს დადებითად ან უარყოფითად. მოცემული დოკუმენტი კი არანაირ ფაქტობრივ გარემოებას არ მოიცავს. არაა ნახსენები ეპიზოდები, რომლებიც საქმეს

ეხება. რეზოლუციაში საუბარია მხოლოდ და მხოლოდ პატიმრობის ცხრა თვიან ვადაზე, რომლის შესახებაც საკონსტიტუციო სასამართლომაც გამოიტანა გადაწყვეტილება.

მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და განმარტა, რომ მტკიცებულება შეესაბამებოდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

დაცვის მხარემ ასევე დააყენა შუამდგომლობა საქმეს მტკიცებულებად ინტერპოლის მიერ ალექსანდრე გოგობიას წითელი ცირკულარიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილება დართვოდა.

ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობა რადგან, მათი აზრით დოკუმენტაცია სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი.

მოსამართლის მიერ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, სასამართლოს შეფასებით ინფორმაცია აკმაყოფილებდა მტკიცებულების სტანდარტებს და შემხებლობაში იყო საქმესთან.

დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, რომ საქმეს დართვოდა თბილისის მერიის წერილი, რომელიც “სი - თი პარკის” ეპიზოდზე ადასტურებდა გიგი უგულავას უდანაშაულობას. დაცვის მხარის განმარტებით, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე გიორგი უგულავას მიერ 2009 წლის 11 თებერვალს მიღებულ განკარგულებას ემყარება. დაცვის მხარემ მიუთითა, რომ თბილისის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის თავმჯდომარეს, ირაკლი აბესაძეს მოუვიდა საპასუხო წერილი მერიისგან, რომლის თანახმად 2009 წლის 11 თებერვლის განკარგულება წარმოდგენს „სი - თი პარკსა“ და მერიას შორის ფინანსური საკითხის მარეგულირებელ აქტს, რომელიც დღესაც ძალაშია. დაცვის მხარის შეფასებით ეს ადასტურებს იმას, რომ გიგი უგულავას არაფერი ჩაუდენია, ან დღეს ვინც მუშაობენ, ისინიც დანაშაულს სჩადიან.

ბრალდების მხარე არ დაეთანხმა მტკიცებულების დართვას. მათი აზრით, ჯერ უნდა დადასტურებულიყო მტკიცებულების ავთენტურობა, ასევე დოკუმენტიდან არ ჩანდა, თუ რა ინფორმაცია მოითხოვა ირაკლი აბესაძემ.

სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ეს მტკიცებულება მოპოვებულია სსსკ-ის 239-ე მუხლის დაცვით. ამასთან დასაკითხ პირთა სიაში იყო ირაკლი აბესაძე და მხარეებს ექნებოდათ შესაძლებლობა დაესვათ მისთვის შეკითხვები. მოსამართლის განმარტებით, შინაარსობრივად იგი მნიშვნელოვანი დოკუმენტია უგულავას მიმართ არსებულ საქმესთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე იქნა განხილული ბრალდებულ ალექსანდრე გოგობიასთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი, თუმცა იგი არ დაკმაყოფილდა, რადგანაც არ არსებობდა რაიმე ახალი გარემოებები, რაც გამოიწვევდა პატიმრობის გაუქმებას.

დაცვის მხარემ ასევე მოითხოვა საქმეს ასევე დართოდა ბრალდების მხარის მოწმის „რიჟას“ (გიორგი კაპანაძის) ინტერვიუ, სადაც მან განაცხადა, რომ უგულავა არის დამნაშავე ჩინოვნიკი და კანონის წინაშე აგებს პასუხს. დაცვის მხარის განმარტებით აღნიშნული მტკიცებულება მნიშვნელოვანია, რადგან იგი საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმეა. მისი ეს განცხადება 2015 წლის 16 ოქტომბერს 9 საათიან კურიერში გავრცელდა. დაცვის მხარის განმარტებით, ამ ტკიცებულებით მოწმის არაობიექტურობა დასტურდება.

ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია, თავისი შინაარსით, არ წარმოადგენს მტკიცებულებას. რადგან იგი ვერ ადასტურებს და ვერც უარყოფს ვერანაირ ფაქტობრივ გარემოებას. მოწმე უკვე დაიკითხა სასამართლოს წინაშე და დაცვის მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა მისთვის დაესვა ყველა შეკითხვა.

სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი პირდაპირ კავშირშია საქმესთან. იგი მისცემს შესაძლებლობას სასამართლოს, შეაფასოს მოწმის ჩვენების უტყუარობის საკითხი, აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვის მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

საანგარიშო პერიოდში პროცესზე დაკითხული მოწმეები

ბრალდების მოწმის სახით დაიკითხა ნოდარ ჩაგუნავა, რომელიც მუშაობს მარნეულის შს სამმართველოში უბნის ინსპექტორ - გამომძიებლად, მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობის წევრები საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისგან მოითხოვდნენ არ მოეწერა ხელი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის აკამედ იმამკულიევის არჩევნიდან მოხსნაზე. მოწმის განმარტებით, როცა ერთ-ერთმა პირმა ხელმოსაწერად შემოიტანა დოკუმენტი, ბრალდებულმა გიორგი უგულავამ გამოგლიჯა იგი ხელიდან, წაიკითხა და დახია. მოწმის ჩვენებით, გიორგი უგულავამ ამის შემდგომ განაცხადა, რომ მას 7 ბრალი აქვს მაინც წაყენებული და თუ მერვესაც წაუყენებდნენ ეს არ იქნებოდა პრობლემა.

პროცესზე ასევე დაიკითხა მარნეულის რაიონული სამმართველოს პოლიციის უფროსი ვახტანგ ჩარკვიანი. მოწმემ განაცხადა, რომ 2014 წლის 5 ივნისს პოლიციაში შემოვიდა შეტყობინება საარჩევნო კომისიის შენობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კობა ასანიძე ითხოვდა მისთვის მიეცათ საშუალება განკარგულებისთვის ხელის მოწერის, რისი შესაძლებლობასაც გიორგი უგულავა არ აძლევდა. მოწმის ჩვენების თანახმად საბოლოოდ უგულავამ განკარგულება დახია.

მსგავსი ჩვენებები მისცეს ასევე სუს-ის კონტრაქტდამკვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გელა კრაველიძემ, დავით შუბითიძემ და შსს-ს ქვემო ქართლის სამმართველოს რამდენიმე თანამშრომელმა.

5. ჩვენი დაკვირვება

პროცესის მიმდინარეობისას არ დაფიქსირებულა რაიმე ისეთი სერიოზული დარღვევა, რომელიც გავლენას მოახდენდა შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვაზე და მხარეთა პროცესიალური უფლებების რეალიზებაზე. მედიას ხელი არ შეშლია ეწარმოებინა პროცესების გაშუქება.

გიგი (გიორგი) უგულავა, ალექსი თაბუაშვილი და სხვები (თბილისის განვითარების ფონდის საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიგი (გიორგი) უგულავა (ქ.თბილისის ყოფილი მერი) – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა.

ალექსი თაბუაშვილი (ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის ყოფილი უფროსი) – დიდი ოდენობით სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

დავით ავალიანი (ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის ყოფილი გამგებელი) – სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა

დემეტრი ჩხეიძე (ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე) – თანამონაწილეობა სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვაში.

დავით ალავიძე (თბილისის მერის ყოფილი მოადგილე) – სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა. გიორგი საბანაძე („თბილისის განვითარების ფონდის“ ყოფილი ხელმძღვანელი) – სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების მხარის მტკიცებით, გიგი უგულავამ სხვა ბრალდებულებთან ერთად შეიმუშავა დანაშაულებრივი სქემა, რომლითაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად თბილისის რეაბილიტაციისათვის შექმნილი „თბილისის განვითარების ფონდის“ თანხები (48 180 460 ლარი) გაფლანგა. ბრალდების თანახმად, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს, პლასტიკურ ბარათებზე, ხელფასის სახით, 13 852 497 ლარი დაერიცხათ. ბრალდების მეორე ეპიზოდის მიხედვით, იმისთვის, რომ თანხა არ დაბეგრულიყო, ბრალდებულებს თანხა გამოჰქონდათ და შემდეგ აქტივისტებს ურიგებდნენ, ამის გამო ფონდმა 34 328 463 ლარით იზარალა.

3. გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის წინა ანგარიშებში ასახული ძირითადი შეფასებები საქმესთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 21 დეკემბერს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გიგი უგულავასთვის მერის უფლებამოსილება შეუჩერა. სასამართლომ მხარეთა დაუსწრებლად განიხილა შუამდგომლობა. ამის შემდგომ, გიორგი უგულავას კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული პირების თანამდებობიდან გადაყენებას და ამავე კოდექსის 160-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება, რომელიც უშვებდა ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ზეპირი მოსმენის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხალხის მიერ არჩეული თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეჩერება ან შეწყვეტა, იმავდროულად, გულისხმობს ხალხის მანდატის შეჩერებას ან შეწყვეტას და წარმოადგენს თვითმმართველობის ავტონომიაში ერთ-ერთ ყველაზე უხემ ჩარევას. საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე პირის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვა სამართლიანი სასამართლოსა და დაცვის კონსტიტუციური უფლებების არათანაზომიერ შეზღუდვას წარმოადგენს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ, დაცვის მხარეს მიეცა შესაძლებლობა, მოეთხოვა გიგი უგულავასთვის თბილისის მერის უფლებამოსილების აღდგენა. თუმცა, შუამდგომლობის განხილვა, პროკურატურის მიერ განხორციელებული ქმედებების გამო, ვერ მოხერხდა. პროკურატურის წარმომადგენლებმა ერთ შემთხვევაში პოზიციის ჩამოსაყალიბებლად დრო მოითხოვეს, ორ შემთხვევაში კი პროცესზე მივლინების გამო არ გამოცხადნენ. ისინი განხილვის გადადებას მოითხოვდნენ. სასამართლომ ერთ შემთხვევაში პროკურატურის მოთხოვნა სხდომის 10 დღით გადადებასთან დაკავშირებით არაგონივრულად მიიჩნია და 5 დღით გადადო სხდომა, მეორე შემთხვევაში კი - 10 დღით. მოგვიანებით, ბრალდებულმა შუამდგომლობა გაიხმო.

4. საანგარიშო პერიოდში საქმეზე წარმართული პროცესის მიმოხილვა

4.1 მხარეთა მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე განხილულ იქნა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი. დაცვის მხარე უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ამ საქმეზე ბრალდებულებს მინიჭებული აქვთ ევროკავშირის ქვეყნებში პოლიტიკური ნიშნით დევნილის სტატუსი და ისინი თავს არ არიდებენ გამოძიებას, არამედ იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

სასამართლომ იხელმძღვანელა იმ გარემოებით, რომ ბრალდებულებს შეფარდებული ჰქონდათ გირაო და ისინი ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს. ამის შემდგომ კი დაარღვიეს აღკვეთი ღონისძიების პირობები, რაც საფუძველი გახდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების. მოსამართლის განმარტებით, ეს რეალობა არ შეცვლილა და შესაბამისად აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა უნდა დარჩეს ძალაში.

დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით, გიგი უგულავას მიმართ აღკვეთის ღონისძიება გირაო 50 ათასი ლარის ოდენობით გაუქმდა, ხოლო ბინას ყადაღა მოეხსნა. სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის ის არგუმენტაცია, რომლის თანახმად, რადგანაც გიორგი უგულავა სხვა საქმეზე მიღებული გამამტყუნებელი განაჩენის გამო იხდიდა სასჯელს, არ არსებობდა ამ საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველები. აღსანიშნავია, რომ შუამდგომლობას არ ეთანხმებოდა ბრალდების მხარე და მიაჩნდა, რომ ქონება უნდა გადასულიყო სახელმწიფო საკუთრებაში, რადგანაც ბრალდებულის მიერ დარღვეულ იქნა გირაოს პირობები.

2017 წლის 6 იანვრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის შედეგად გიორგი უგულავას სასჯელის ვადა შეუმცირდა და იგი გათავისუფლდა პატიმრობიდან. მიუხედავად ამისა, იგი მაინც უარს აცხადებს ამ საქმეზე სასამართლო განხილვაში მონაწილეობაზე.

მისმა ადვოკატმა განმარტა, რომ იგი 9 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა პატიმრობაში ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა ვედარ შეეფარდება. ადვოკატის განმარტებით, სხდომაზე არ გამოცხადება ბრალდებულის უფლებაა და ეს არ შეიძლება გამოძიებისთვის თავის არიდებად ჩაითვალოს. დაცვის მხარემ იშუამდგომლა, რომ ბრალდებულის გარეშე გაგრძელდეს საქმის განხილვა. თუმცა ამავდროულად მოითხოვა საქმის გადადება, რადგანაც მას დამატებითი დრო ჰქირდებოდა მომზადებისთვის.

აღნიშნულს არ დაეთანხმა ბრალდების მხარე და განმარტა, რომ სასამართლოს წინაშე აუცილებლად უნდა იქნეს წარდგენილი ავთენტური დოკუმენტი, რომელიც ბრალდებულის პოზიციას გამოხატავს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განხილულ იქნეს შუამდგომლობის არსებითი მხარე.

პროცესის გადადების მიმართ ასევე პროტესტი გამოთქვა კიდევ ერთი ბრალდებულის ადვოკატმა, რომელმაც განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ცხადდება ყოველ პროცესზე, პროცესების ხშირი გადადება კი იწვევს პროცესის გაჭიანურებას რაც არღვევს სხვა ბრალდებულების უფლებებს.

მოსამართლის განმარტებით საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლის მიხედვით, ბრალდებულს აქვს უფლება დაესწროს სხდომას, თუმცა ეს გულისხმობს მის უფლებას რომ ასევე არ დაესწროს პროცესს.

2017 წლის 17 თებერვალს სხდომაზე არ გამოცხადდა ბრალდებულის ადვოკატი ბექა ბასილაია, ავადმყოფობის გამო. მოსამართლემ ადვოკატი დააჯარიმა. ამასთან, ადვოკატის სისტემატური გამოუცხადებლობის გამო, მოსამართლემ ბრალდებულს დაუნიშნა სახაზინო ადვოკატი.

პროცესი ასევე რამდენჯერმე გადაიდო ბრალდების მხარის მოთხოვნით. 2017 წლის 17 მარტს ჩანიშნული სხდომა პროკურორი გიორგი მუჯირის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიდო 2017 წლის 4 აპრილამდე. როგორც პროკურორმა განმარტა, მათ არ ჰყავდათ მოყვანილი მოწმე, იმ მიზეზით, რომ არ იცოდნენ დაცვის მხარე ბექა ბასილაია დაესწრებოდა თუ არა სხდომას, ამასთან სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი შეძლებდა თუ არა საქმის მასალების საფუძვლიანად გაცნობას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ადვოკატი ბექა ბასილაია გამოცხადდა სხდომაზე და სახაზინო ადვოკატი გაცნობილი იყო საქმის მასალებს.

4.2 საანგარიშო პერიოდში პროცესზე დაკითხული მოწმეები

პროცესზე ბრალდების მხარის მოწმის სახით დაიკითხა გიორგი დარჩია, რომელმაც განაცხადა, რომ 2011-2012 წლებში იყო თემქის გამგეობის უფროსის მოადგილე და ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თემქის კარდაკარის ხელმძღვანელი. მოწმის ჩვენებით, მას ეუბნებოდნენ, რომ პარტიის თანამშრომლებზე დაირიცხებოდა ხელფასები, შესაბამისად, იგი ვარაუდობდა, რომ თანხას პარტიული დაფინანსებიდან იღებდა. მას არ ქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან თბილისის განვითარების ფონდიდან ირიცხებოდა და ასევე იმის შესახებ, რომ ამ თანხებთან გიორგი უგულავას ჰქონდა კავშირი.

იდენტური ჩვენება მისცა ასევე მოწმე გიორგი ხახნელიძემ, რომელიც 2011-2013 წლებში ნაციონალური მოძრაობის სამგორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ მუშაობდა.

ასევე მოწმე გიორგი გოდაბრელიძემ, რომელიც 2011-2012 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და ნაციონალური მოძრაობის ვაკის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

5. ჩვენი დაკვირვება

ამ საქმეზე ხშირად ხდებოდა პროცესების გადადება. მართალია, პირს შეუძლია, უარი განაცხადოს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის, თუმცა, აღნიშნულ უფლებას აქვს საზღვრები. აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს სასამართლოს რესურსები და არ ხდებოდეს მისი არამიზნობრივი გამოყენება.

სხვა მხრივ, პროცესის მიმდინარეობისას არ დაფიქსირებულა რაიმე სერიოზული დარღვევა, რომელიც არსებით გავლენას იქონიებდა მხარეთა პროცესუალური უფლებების რეალიზებაზე.

მიხეილ სააკაშვილი (ვალერი გელაშვილის ცემის საქმე)

1. ბრალდებული და წაყენებული ბრალი

მიხეილ სააკაშვილი - სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, ძალადობით და იარაღის გამოყენებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზება.

2. რით გამოიხატა ქმედება

გამოძიების ვერსიით, 2005 წლის 29 ივნისს, გაზეთ „რეზონანსში“ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების შეურაცხმყოფელი სტატიის გამოქვეყნების შემდგომ, მიხეილ სააკაშვილმა სტატიის ავტორის, ვალერი გელაშვილის სამაგალითო დასჯის მიზნით, პირადი შურისძიების მოტივით, საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, რაზედაც უარი მიიღო. შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს, ივანე მერაბიშვილს, რომელმაც მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დახმარებით შეძლო დავალების შესრულება. დაბლოკეს ვალერი გელაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა. მიღებული ბრძანების ფარგლებში, გაანეიტრალეს ავტომანქანის მძღოლი, მგზავრები და

ავტომანქანიდან ამოიღეს დოკუმენტაცია. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გელაშვილმა მიიღო ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებები, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ნიშნით.

პროკურატურის განმარტებით, საქმეში ჩართული იყვნენ ძალოვანი სტრუქტურები. ისინი მოქმედებდნენ მიხეილ სააკაშვილის ბრძანების მიხედვით. პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილს მიხეილ სააკაშვილის ორგანიზებით დაესხნენ თავს. ბექდურ მედიაში გამოქვეყნდა ვალერი გელაშვილის ინტერვიუ, სადაც იგი უთითებდა, რომ მას წაართვეს ქონება. აქვე, ნახსენები იყო სააკაშვილის პირადი ცხოვრების დეტალები შეურაცხმყოფელი სახით. სწორედ ამის გამო, მიხეილ სააკაშვილმა დაავალა მაშინდელ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს, რომ გელაშვილი დაესაჯათ. მას სურდა ორგანიზება გაეწია დანაშაულისთვის და ყველაფერი შენიღბულად მომხდარიყო. პროკურატურის განმარტებით ოქრუაშვილმა უარი თქვა, შემდეგ სააკაშვილმა ივანე მერაბიშვილს დაავალა იგივე. დანაშაულის შედეგად დაზარალებულს სახის წარუშლელი დამახინჯება აღენიშნება.

2.1. აღკვეთის ღონისძიება

საქმეზე პროკურატურას აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თხოვნით სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

შენიშვნა: ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილს ე.წ 7 ნოემბრის საქმეზე შეფარდებული აქვს პატიმრობა და ის ძებნაშია. საანგარიშო პერიოდში საქმის არსებითი განხილვა არ დაწყებულა. ამასთან, ორგანიზაცია სრულად ვერ დაესწრო წინასასამართლო სხდომებს, ვინაიდან საქმის მასალები შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას, რაც სხდომის დახურვის საფუძველი იყო.

3. საანგარიშო პერიოდში საქმეზე წარმართული პროცესის მიმოხილვა

3.1 მხარეთა მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქმეების გაერთიანების შესახებ. პროკურორმა განმარტა, რომ სხვა მოსამართლესთან მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი საქმის განხილვა, რომელშიც ბრალდებულები არიან ვანო მერაბიშვილი, ერეკლე კოდუა და გია სირაძე, რომელთაც ბრალად ედებათ სსკ-ის 333 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, სადაც უკვე დაწყებულია არსებითი განხილვა და დაკითხულია მხოლოდ 4 მოწმე, ხოლო ამ საქმეზე ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა იგივე მუხლებზე დაყრდნობით მიმდინარეობს. პროკურორის განმარტებით, ამ ორივე საქმეში ერთსა და იმავე ფაქტზე მინდინარეობს საქმის განხილვა, ყველა მტკიცებულება და დასაკითხ მოწმეთა სია არის თითქმის იდენტური. ამიტომ, იმისათვის რომ არ გაჭიანურდეს პროცესი, პროკურორებმა იშუამდგომლეს ამ ორი საქმის გაერთიანებასთან დაკავშირებით.

შუამდგომლობას არ დაეთანხმა დაცვის მხარე და განმარტა, რომ თავდაპირველად მათი მოთხოვნის მიუხედავად ამ ორი საქმის გაერთიანებაზე ბრალდების მხარემ უარი განაცხადა. ახლა კი როდესაც უკვე არსებითი განხილვა იმ საქმის დაწყებულია, ამ საქმეების გაერთიანება არალეგანტურია და პირიქით ორივე პროცესის უფრო მეტ გაჭიანურებას გამოიწვევს.

სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგანაც იმ საქმესთან დაკავშირებით სადაც ბრალდებულები არიან ვანო მერაბიშვილი, ერეკლე კოდუა და გია სირაძე სასამართლო არსებითი განხილვა უკვე დაწყებულია, გამოკვლეულია მთელი რიგი მტკიცებულებები, ამიტომ ამ ეტაპზე მათი გაერთიანება გამოიწვევს ორივე საქმის განხილვის გაჭიანურებას და ვერ უზრუნველყოფს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის დაცვას.

3.2 საანგარიშო პერიოდში პროცესზე დაკითხული მოწმეები

პროცესზე დაიკითხა დაზარალებული ვალერი გელაშვილი. მისი განმარტებით, იგი იყო შპს „ერას“ დირექტორი და ეწეოდა სამშენებლო საქმიანობას. მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას, მოწმის ჩვენებით, შედგა შეთანხმება, რომ კომპანია ააშენებდა სახლს. მშენებლობისთვის კომპენსაცია უნდა ყოფილიყო დაახლოებით 4 მილიონ ლარზე მეტი, თუმცა 6 თვის გასვლის შემდეგაც მას თანხა არ მიუღია.

ამის შემდგომ, იგი გიგი უგულავას შეხვდა, რომელიც მას დაემუქრა და თან გააფრთხილა, რომ უნდა დაეთმო მისი მოთხოვნა. შემდეგ მოწმემ ინტერვიუ მისცა გაზეთ „რეზონანსს“, სადაც შეეხო მიხეილ სააკაშვილის მეუღლეს სანდრა რულოვსს და ალანა გაგლოევას. აღნიშნული ინტერვიუს შემდეგ მას დაემუქრნენ ტერაქტის მოწყობით. მოწმემ უშუალოდ აღწერა თავდასხმის ფაქტიც, მისი თქმით, მას 5-6 პირი კონდახებს ურტყამდა სახეში, ასევე წაართვეს ბრილიანტის ბეჭედი.

პროცესზე ასევე დაიკითხა შპს „ერას“ დირექტორი მეგი ლომიძე. იგი თან ახლდა ვალერი გელაშვილს თავდასხმის დროს. მისი თქმით, იგი გადაიყვანეს მანქანიდან და მოაშორეს იმ ადგილს სადაც შემდგომში დაზარალებული ცემეს.

პროცესზე ასევე დაიკითხა ბრალდების მხარის მოწმე ალექსანდრე ნაჭყებია, რომელიც ამჟამად მუშაობს თავდაცვის სამინისტროს ინსტრუქტორად. მოწმის ჩვენებით იგი 2005 წლის ივლისში მუშაობდა შსს სპეციალურ ოპერატიულ სამსახურში, რომლის ხელმძღვანელიც იყო ირაკლი კოდუა. მოწმემ აღწერა, რომ იგი მისი ხელმძღვანელის დავალებით მივიდა გია სირაძის კაბინეტში, სადაც მას აჩვენეს შავ-თეთრი სურათი მისთვის უცნობი პიროვნების. მოწმეს

განუმარტეს, რომ ამ პირზე უნდა განხორციელებულიყო თავდასხმა, რადგან იგი ქვეყნის მტერი იყო. უნდა ეცემათ და წამოეღოთ პირადი ნივთები.

მოწმემ აღწერა რომ მათ სცემეს მათთვის უცნობი პირი ფეხებით, ხელებით, კონდახებითაც. წამოიღეს მანქანაში არსებული ნივთები. მოწმის ჩვენებით, მათ ეკეთათ ნიღბები და ეცვათ სამოქალაქო ფორმა.

მსგავსი ჩვენება ასევე მისცა გიორგი ჩხეტიამ, რომელიც ახლა უმუშევარია ხოლო 2005 წლის ივლისში მუშაობდა სოლ-ის სპეციალური ღონისძიების განყოფილების რიგით თანამშრომლად. მოწმემ ასევე დაამატა, რომ თავდასხმის შემდეგ მათ შეხვდათ ირაკლი კოდუა, რომელმაც მადლობა გადაუხადა და უთხრა რომ არავისთან არ უნდა გვესაუბრა ამ თემაზე და გადასცა 500 დოლარი პრემიის სახით.

მოწმემ ასევე მიუთითა, რომ მან მხოლოდ საინფორმაციო საშუალებებით გაიგო, რომ სინამდვილეში პარლამენტის წევრს დაესხნენ თავს და არა ჯაშუშს, როგორც ამას მათ ეუბნებოდნენ.

ბრალდების მხარის მოწმეებთან დაკავშირებით დაცვის მხარე აღნიშნავდა, რომ ისინი არა თუ სანდოობით არ გამოირჩევიან, არამედ პირდაპირ დაინტერესებული პირები არიან ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. ბრალდების მხარე ამბობს, რომ სააკაშვილმა გასცა ბრძანება, თუმცა დაცვის მხარის მითითებით, ასეთს ვერაფერს ნახავთ საქმეში. ამ კუთხით საქმეში მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილის და ნინო ბურჯანაძის სიტყვებია, რომლებიც ვერ ჩაითვლებიან სანდო მოწმეებად ამ საქმეზე.

ჯერჯერობით საქმეზე განაჩენი არ დამდგარა.

5. ჩენი დაკვირვება

ამ საქმეზე რამდენიმე პროცესი ბრალდების მხარის მოთხოვნით დაიხურა და შესაბამისად ჩვენს მონიტორებს არ ქონდათ შესაძლებლობა პროცესს დასწრებოდნენ. სხვა შემთხვევაში პროცესი მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე მიმდინარეობდა და მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ თავიანთი საპროცესო უფლებები.

მედიას ხელი არ შეშლია პროცესის გაშუქებაში.

1. ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ივანე მერაბიშვილი - შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი. ერეკლე კოდუა - სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორი. გიორგი სირაძე - სპეციალური ოპერატიული სამმართველოს სამმართველოს უფროსი. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 25,117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, 2005 წლის 29 ივნისს, გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელი წევრის ვალერი გელაშვილის სტატია სათაურით „ვალერი გელაშვილი თავის სახლს სააკაშვილს დაუთმობს“. აღნიშნულ სტატიაში ვალერი გელაშვილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას მოქმედი პრეზიდენტის მიმართ, კერძოდ იმასთან დაკავშირებით, რომ მას წაართვეს ქონება, რომლის ღირებულებასაც არ უნაზღაურებდნენ. ამავე სტატიაში მან შეურაცხმყოფელი ფორმით ისაუბრა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პირადი ცხოვრების შესახებ.

აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის სამაგალითოდ დასჯის მიზნით, პირადი შურისძიების მოტივით, საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, რაზედაც ირაკლი ოქრუაშვილისგან მიიღო უარი. ამის გამო, მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს ივანე მერაბიშვილს.

დავალების მიღების შემდეგ, ივანე მერაბიშვილმა მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის ერეკლე კოდუას ორგანიზებით უზრუნველყო მიხეილ სააკაშვილის დავალების შესრულება, რომელიც განხორციელდა 2005 წლის 14 ივლისს. კერძოდ, სოდ-ის ოპერატიულმა თანამშრომლებმა და შეიარაღებული სპეციალური რაზმის მებრძოლებმა, ქ.თბილისში, მირცხულავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილებისას, დაბლოკეს ვალერი გელაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა, რის შემდეგაც თავს დაესხნენ ვალერი გელაშვილს და მის თანმხლებ პირებს. ერეკლე კოდუას დავალებითა და სოდ-ის სამმართველოს უფროსის გიორგი სირაძის ხელმძღვანელობით, მოქმედმა სპეციალური რაზმის მებრძოლებმა ძალის გამოყენებით და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით

ავტომანქანიდან თანმხლებ პირებთან ერთად გადმოიყვანეს ვალერი გელაშვილი, რომელიც დააწვინეს ასფალტზე და იარაღის კონდახებით სასტიკად ცემეს.

3. ბრალდებულების მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები.

ბრალდებულებს გასირაძეს და ირაკლი კოდუას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა. ისინი თავს არიდებდნენ გამოძიებას და მათ მიმართ გამოცხადდა ძებნა. ვანო მერაბიშვილს სხვა საქმეზე თავისუფლება ქონდა აღკვეთილი და პროკურატურას ამ საქმეზე არ მოუთხოვია დამატებითი ღონისძიების გამოყენება.

4. მხარეთა მიერ დაყენებული შუამდგომლობები

პროცესის მიმდინარეობისას რამდენჯერმე დადგა ირაკლი კოდუასთვის და გასირაძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი. პროკურატურის განმარტებით, კოდუა და სირაძე არაერთხელ იყვნენ დაბარებულები პროკურატურაში, თუმცა ისინი არცერთხელ არ გამოცხადებულან. პროკურორების განმარტებით, ბრალდებულები არ თანამშრომლობდნენ გამოძიებასთან. ასევე, არსებობდა მტკიცებულებათა განადგურების და მოწმეებზე ზემოქმედების საშიშროება.

სასამართლო იზიარებდა ბრალდების მხარის არგუმენტაციას და ძალაში ტოვებდა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ პატიმრობას.

დაცვის მხარემ მოითხოვა სტრასბურგის სასამართლოს მიერ, 2016 წლის 14 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილების “მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ” მტკიცებულებად დართვა. დაცვის მხარის მითითებით აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, ივანე მერაბიშვილის პატიმრობა არ იყო კანონიერი და იგი ატარებდა პოლიტიკური ზეწოლის ხასიათს.

აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ბრალდების მხარე მიუთითა, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ეს გადაწყვეტილება ეხება საქმეზე გამოყენებული წინასაწარი პატიმრობას. აღნიშნულ საქმეში კი, მერაბიშვილს აღკვეთის ღონისძიება საერთოდ არ აქვს შეფარდებული. სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან იგი არ მიიჩნია რელევანტურ ინფორმაციად.

დაცვის მხარემ მოითხოვა კოდუას მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლა, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მას სხვა საქმეზე მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განმარტა, რომ აღკვეთის ღონისძიება ძალაში უნდა დარჩეს, რადგან სხვა საქმეზე შესაძლებელია ამნისტია გამოცხადდეს და მას სასჯელი მოეხსნას.

მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რადგანაც განაჩენი კანონიერ ძალაში შევა ერთი თვის ვადაში, როცა გასაჩივრების ვადა გავა. იგი შეიძლება რომელიმე მხარემ გაასაჩივროს და შეიცვალოს. შესაბამისად, არსებობს საჭიროება ამ საქმეზე დარჩეს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა ძალაში.

5. პროცესზე დაკითხული მოწმეები

პროკურატურის მოწმემ, საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავჯდომარე ნინო ბურჯანაძემ, პროცესზე განაცხადა, რომ რადგანაც ვალერი გელაშვილი იყო პარლამენტის წევრი, მან მალევე გაიგო თავდასხმის შესახებ. მან ასევე აღნიშნა, რომ პირველი რამდენიმე საათი დაჟინებით უარყოფდა ხელისუფლების რაიმე მონაწილეობას ამ ფაქტთან და სჯეროდა კიდეც ამის, მაგრამ შემდგომში ყველა ფაქტიდან გამომდინარე გაჩნდა კითხვები. ბურჯანაძემ მიუთითა, რომ როცა მან მოინახულა ვალერი გელაშვილი, იგი უსასტიკესად იყო ნაცემი და აშკარაა, რომ თავდასხმას ჰქონდა ანგარიშსწორების ხასიათი. ვალერი გელაშვილმა პირისპირ საუბრისას მას უთხრა, რომ ეს იყო ხელისუფლების მოწყობილი ოპერაცია, ასევე არსებობდა მისი ლიკვიდაციის გეგმა.

ბურჯანაძემ ასევე განაცხადა, რომ ამ თემაზე ესაუბრა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. მოწმემ აღნიშნა, რომ როდესაც ის სააკაშვილთან მივიდა გამოთქვა ვარაუდი, რომ ხელისუფლების წევრები იყვნენ ვალერი გელაშვილის ცემაში ჩართულნი, რაზეც სააკაშვილმა უპასუხა: „რა, არ იყო საცემი?“ „რისი ღირსიც იყო, ის მიიღო“. აქედან გამომდინარე, მას გაუჩნდა ეჭვი, რომ თვითონ სააკაშვილი ყველაფრის საქმის კურსში იყო და თავდასხმის ორგანიზებაც მისი ბრძანებით მოხდა.

პროცესზე ასევე დაიკითხა ბრალდების მხარის მოწმე - ვახტანგ ზუხბაია, შსს-ს სტრუქტურული დაცვის დეპარტამენტის განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს უფროსი, რომელიც 2005 წელს განსაკუთრებულ დავალებათა ოპერატიული სამმართველოს უფროსი იყო. მან განაცხადა, რომ თავდასხმის წინა დღეს იგი ერეკლე კოდუამ დაიბარა სამსახურში და უთხრა, რომ იგეგმებოდა ღონისძიება და სჭირდებოდა გამოცდილი პირი ვინც უხელმძღვანელებდა მას. ამის შემდეგ შეირჩა 6 კაციანი ჯგუფი: ნაჭყებია, ჩხეტია, გეთია, ცინარიძე, წოწონავა, თუმცა მათ არ იცოდნენ თუ ვისზე უნდა განხორციელებულიყო თავდასხმა.

მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ პრეზიდენტის სასახლეში სხვა საკითხზე გამართულ მიღებაზე მან მერაბიშვილს სთხოვა საერთო ფოტო გადაეღოთ პრეზიდენტთან, რა დროსაც ვანო მერაბიშვილმა უთხრა სააკაშვილს, „ვახოს კაი ბიჭები ჰყავს, ამათმა მიიღეს მონაწილეობა

გელაშვილის ამბავში”. მოწმის განცხადებით, მას სააკაშვილმა უთხრა, რომ მადლობა ეთქვა ბიჭებისთვის.

პროცესზე ასევე დაიკითხნენ თავდასხმაში მონაწილე სხვა პირებიც. მოწმე მანუჩარ გეთიას განცხადებით, 2005 წლის 13 ივლისს განყოფილების უფროსმა უთხრა, რომ სამოქალაქო ფორმა ჩაეცვა, იარაღი აეღო, ბრონის ჟილეტიც ჩაეცვა და განკარგულებას დალოდებოდა. შემდეგ ალექსანდრე ნაჭყებამ დაუძახა და უთხრა, რომ ობიექტი მოძრაობდა მანქანით, იყო შეიარაღებული ერთ დაცვასთან ერთად. მათი დავალება იყო, რომ ეს მანქანა გაეჩერებინათ, ობიექტი ეცემათ და მასთან ერთად რა დოკუმენტებიც იქნებოდა წამოეღოთ. მოწმემ აღნიშნა, რომ 2 ჯგუფად გაიყვნენ, ცემა დაევალა სამ კაცს, დანარჩენ სამს კი დაცვის წევრის განიარაღება და დოკუმენტაციის აღება უნდა განეხორციელებინა.

ოპერაციის დასრულების შემდგომ, მას უთხრეს რომ ერეკლე კოდუას სურდა მათი ნახვა. მოწმის ჩვენებით, ერეკლე კოდუამ ისინი კაბინეტში მიიღო, მადლობა გადაუხადა დავალების წარმატებით შესრულებისათვის. ამასთან, ყველაფერი რაც მოხდა, საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო და არავისთვის არ უნდა ეთქვათ. შემდეგ გამოსვლისას მაგიდაზე იდო თანხა, რომელზეც უთხრეს, რომ ეს იყო მათი გასამრჯელო გაწეული სამსახურისათვის.

მოწმემ ასევე დაამატა, რომ როცა სახლში მივიდა საინფორმაციო საშუალებით გაიგო, რომ ნაცემი პირი მაშინდელი პარლამენტის წევრი ვალერი გელაშვილი იყო. მსგავსი ჩვენებები მისცეს ასევე თავდასხმაში მონაწილე სხვა პირებმა: მამუკა ცირაძემ, ალექსანდრე ნაჭყებამ, გიორგი ჩხეტიამ, მანუჩარ წოწონავამ და ლევან გერსამიამ.

6. საქმეზე დამდგარი განაჩენი

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 22 სექტემბერს ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე დამნაშავედ ცნო ვანო მერაბიშვილი, ერეკლე კოდუა და გია სირაძე.

შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, ვანო მერაბიშვილს 6 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს, ერეკლე კოდუას – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, და ამავე დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილი უფროსს, გია სირაძეს – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ერეკლე კოდუასა და გია სირაძეს „ამნისტიის შესახებ” საქართველოს კანონის, შთანთქმის პრინციპის გამოყენებითა და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ, ხოლო ივანე მერაბიშვილს, გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, „ამნისტიის შესახებ” საქართველოს კანონის შთანთქმის პრინციპის გამოყენებითა და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად 6 წლითა და 9 თვით

თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. სამივე მსჯავრდებულს შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ, ასევე ჩამოერთვათ თანამდებობის დაკავების უფლება 2 წლითა და 3 თვის ვადით. ამ დროის განმავლობაში მსჯავრდებულებს აკრძალათ დანიშნითი თანამდებობის დაკავების უფლება სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

5. ჩვენი დაკვირვება

ამ საქმეზე რამდენიმე სხდომა დაიხურა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მოტივით. ბრალდების მხარის მოთხოვნით, ასევე დაიხურა დასკვნითი სიტყვის სხდომა, მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარე ეწინააღმდეგებოდა ამ შუამდგომლობას. შესაბამისად, ჩვენს მონიტორებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ყველა სხდომის მიმდინარეობას დასწრებოდნენ.

სხვა მხრივ პროცესზე არ დაფიქსირებულა რაიმე სახის სერიოზული დარღვევა, რომელიც არსებით გავლენას მოახდენდა მხარეთა უფლებებზე.

მედიას ხელი არ შეშლია გაემუქებინა პროცესები.

გიორგი ონიანი

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიორგი ონიანი - შს მთავარი სამმართველოს გლდან-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე - მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია, ადამიანის დევნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, განზრახ უკანონო დაკავება (დავით შათირიშვილის ეპიზოდი). განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება, ადამიანის დევნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია (მდინარაძის ეპიზოდი).

2. რით გამოიხატა ქმედება

გამოძიების მტკიცებით, გიორგი ონიანმა ფაქტობრივი მტკიცებულებების გარეშე, უკანონოდ დააკავა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ლევან მდინარაძე (DJ რემბო). ლევან მდინარაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის ხელოვნურად შექმნისა და

მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის მიზნით, გიორგი ონიანმა საქმის გამომძიებელს წარუდგინა ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა და დაავალა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში აესახა ამ ნარკოტიკული საშუალების ლევან მდინარაძისაგან ამოღების ფაქტი, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. ლევან მდინარაძის მიმართ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით. გიორგი ონიანმა იდენტური სცენარით უკანონოდ დააკავა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურების დამზადებისთვის შპს „დაო-პრინტის“ მენეჯერი დავით შათირიშვილი.

3. გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის წინა ანგარიშებში ასახული ძირითადი ფაქტები და შეფასებები საქმესთან დაკავშირებით.

გიორგი ონიანის დაკავების დღეს განხორციელდა მისი პირადი და საცხოვრებლის ჩხრეკა სასამართლო განჩინების გარეშე. ორივე საპროცესო მოქმედება როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ ცნო, ვინაიდან არ დადგინდა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა.

ბრალდების მხარემ აღკვეთი ღონისძიების სახით მოითხოვა პატიმრობის გამოყენება. ვინაიდან არსებობდა ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე დაცვის მხარე ითხოვდა არც ერთი აღკვეთი ღონისძიების სახე არ გამოყენებულიყო, ალტერნატივის სახით კი სასამართლოს გირაო შესთავაზა, ასევე, ბრალდებულ გიორგი ონიანს პირად თავდებობაში 26 პარლამენტარი ჩაუდგა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ ბრალდებულს აქვს მუდმივისაცხოვრებელი ადგილი, ჰყავს ოჯახი, ამასთანავე გამომძიებლის პროცესში მას თავი არ აურიდებია სამართალდამცავ ორგანოში და სასამართლოში გამოცხადებისათვის და არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა წინასწარი პატიმრობის გამოყენების თაობაზე. ბრალდებულ გიორგი ონიანის აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო - 20 ათასი ლარის ოდენობით.

დაცვის მხარემ წარადგინა ვიდეო მასალა, სადაც მოწმე გიორგი შარიფაშვილი, რომელიც შესაძლო დანაშაულის ჩადენის დროს მუშაობდა გლდან- ნაძალადევის განყოფილებაში ინსპექტორ-გამომძიებლად, ამბობდა, რომ პროკურატურაში მას თანამდებობის სანაცვლოდ ტელევიზიაში მისვლას და გიორგი ონიანის წინააღმდეგ საუბარს სთავაზობდნენ. აღნიშნული მტკიცებულება საქმეს არ დაერთო, ვინაიდან არ დასტურდებოდა მისი ავთენტურობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს ფაქტი მოწმის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს. ეჭვებს ისიც ამყარებს, რომ მოწმე თავდაპირველად ბრალდებული იყო გიორგი ონიანთან ერთად საქმეში, თუმცა მოგვიანებით მას განრიდება გაუფორმდა.

3. საანგარიშო პერიოდში საქმეზე წარმართული პროცესის მიმოხილვა

3.1 პროცესზე დაკითხული მოწმეები

გიორგი ონიანმა სასამართლოზე დაკითხვისას განაცხადა, რომ მას დავით შათირიშვილის შესახებ ინფორმაცია გურამ მირცხულავამ მიაწოდა. რის შემდეგაც ის სხვა თანამშრომლებთან ერთად „თბილისი ცენტრალში“ წავიდა, სადაც უნდა მომხდარიყო ნარკოტიკის გადაცემა. ონიანი უთითებს, რომ როცა შათირიშვილი დაინახეს, განუმარტეს, რომ უნდა ჩატარებულიყო მისი ჩხრეკა. გიორგი ონიანის განმარტებით, პირს ბევრი ფურცელი ედო, ერთი ჰქონდა დაკუჭული, სადაც მწვანე ბალახის მასა იდო.

ამის შემდეგ პირი გადაიყვანეს განყოფილებაში, რის შემდეგაც მხოლოდ ერთხელ შეხვდა მას. ეს პირი წარსულშიც იყო ნასამართლევნი და ონიანის აზრით, დღეს ამას იყენებს პროკურატურა მის წინააღმდეგ.

ონიანის განმარტებით, მის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა მიმდინარეობს მხოლოდ იმიტომ რომ ყოფილ მაღალჩინოსანთა ე.წ. გახმაურებულ საქმეებზე ადვოკატი იყო და იმ პერიოდში არაერთი გამამართლებელი განაჩენი დადგა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ. მან ასევე აღნიშნა, რომ მისი პარტიული საქმიანობა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს დაიწყო. ხელისუფლების ცვლილების შემდგომ მისი და და მეუღლე გამოუშვეს სამსაურებიდან ასევე მასაც მოუწია შსს-ს ორგანოებიდან წასვლა.

მდინარაძის ეპიზოდთან დაკავშირებით გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ ამ საქმეზეც ინფორმაცია მირცხულავამ მიაწოდა. მათ მიიღეს პროკურატურისგან თანხმობა ამ პირის დაკავებაზე. დაკავებისას მდინარაძემ მათ უთხრა, რომ იყო ბერას ძმაცა და ასევე იცნობდა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მეუღლეს, თავო სალაყაიას.

ონიანმა პროკურატურის მოწმე შარიფაშვილზე განაცხადა, რომ იგი მისი რეკომენდაციით მიიღეს სამსახურში და ძალიან გაბრაზებული იყო მის მიერ მიცემული ჩვენებებით. თუმცა შემდგომში შარიფაშვილი თავისი ინიციატივით შეხვდა მას და აუხსნა, რომ მას არ მიუცია ისეთი ჩვენება თითქოს ონიანის დავალებით პირების დაკავება მხოლოდ იმიტომ მოხდა რომ ისინი „ქართული ოცნების“ წევრები იყვნენ. შარიფაშვილმა ასევე უთხრა, რომ პროკურატურის დავალებით იგი უნდა მისულიყო თეა სიჭინავას და ინგა გრიგოლიას გადაცემებში და უარყოფითად ელაპარაკა გიორგი ონიანზე.

მოწმე სოსო თოდუას განცხადებით, ბრალდების მხარის მოწმე შარიფაშვილმა მას უთხრა, რომ პროკურატურის მხრიდან ხორციელდებოდა ზეწოლა, რათა გიორგი ონიანის წინააღმდეგ მიეცა ჩვენება, თუმცა იგი წინააღმდეგობას უწევდა და არ ეთანხმებოდა მოთხოვნას.

სასამართლოზე ასევე დაიკითხა გურამ მირცხულავა. გიორგი ონიანის განმარტებით, მირცხულავამ მიაწოდა მას ინფორმაცია შათირიშვილის და მდინარაძის მიერ ნარკოტიკის ფლობის ფაქტზე.

მოწმემ განაცხადა, რომ გიორგი ონიანი გაიცნო 2006 წელს, როცა ერთ-ერთ ისეთ საქმეზე დააკავეს რაზეც არანაირი შეხება არ ჰქონდა. მოწმის განმარტებით ერთი, ვინც ნორმალურად გაიგო საქმის ვითარება, გიორგი ონიანი იყო. ამ ინციდენტის შემდგომ ონიანმა მას თავისი ნომერი მისცა და უთხრა, რომ თუ რამე სახის დანაშაული იქნებოდა მისთვის ცნობილი, მიეწოდებინა ინფორმაცია. მოწმის განმარტებით, იგი გიორგი ონიანს 6-7 წლის განმავლობაში ატყობინებდა სხვადასხვა ინფორმაციებს დანაშაულის შესახებ. ეს არ იყო მისი ვალდებულება და არც რაიმე მატერიალურ სარგებელს იღებდა ამ საქმიდან, არამედ პირადი სურვილით აკეთებდა ამ სამუშაოს, რადგანაც ბევრი მისი მეგობარი შეიწირა კრიმინალმა და ნარკომანიამ და პირადი დამოკიდებულება ჰქონდა ამ საკითხისადმი.

მოწმემ განაცხადა, რომ იგი 2011 წლის შემოდგომაზე შეესწრო ერთი პირის და შათირიშვილის საუბარს, სადაც საუბარი იყო ცენტრალში ნარკოტიკის გადაცემაზე. აღნიშნული ინფორმაცია მან შემდგომში მიაწოდა გიორგი ონიანს.

მოწმემ ასევე აღწერა მდინარაძის ეპიზოდთან დაკავშირებული გარემოებები. კერძოდ, წინა შემთხვევიდან 2-3 დღეში მდინარაძესგანაც გაიგო, რომ მას ნარკოტიკები ჰქონდა რის შესახებაც ასევე შეატყობინა გიორგი ონიანს. მოწმის განმარტებით მისთვის უცნობი იყო შათირიშვილის და მდინარაძის პოლიტიკური შეხედულებები.

პროცესზე ასევე დაიკითხა მოწმე ლევან კოპალიანი, გლდანი-ნამალაძევის უბნის ყოფილი უფროსი ინსპექტორი. მისი განცხადებით, 2011 წლის 15 ოქტომბერს ის გიორგი ონიანმა დაიბარა კაბინეტში და მიაწოდა დავით შათირიშვილის შესახებ ინფორმაცია და ფოტოსურათი. მოწმის ჩვენებით, შათირიშვილის „თბილისი ცენტრალში“ ჩხრეკისას ორმა პოლიციელმა ამოიღო საფულე, ქაღალდები. ერთი მათგანი იყო თეთრი ფერის ქაღალდი, დაკუჭულივით, რომელიც ონიანმა ჩაიდო ჯიბეში.

მოწმემ განმარტა, რომ დაკავებისას მას არ უნახავს ნარკოტიკული საშუალება, შემდგომ კი ონიანის სამუშაო ოთახში, მაგიდაზე ნახა, ფურცელში გახვეული ნივთი, რომელიც ჰგავდა ნარკოტიკს.

მოწმეს დაცვის მხარემ დაუსვა კითხვა, მის მიმართ წარმოებული სისხლისამართლებრივი დევნა შეიცვალა თუ არა განრიდებით და ვისი ინიციატივით მოხდა განრიდების შეთავაზება, რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ განრიდება მის საქმეზე იქნა გამოყენებული პროკურატურის შეთავაზებით.

პროცესზე ასევე დაიკითხა გურამ ქადეიშვილი, გლდანი-ნაძალადევის ინსპექტორ-გამომძიებელი. მოწმემ აღნიშნა, რომ შათირიშვილს დაკავებისას არაფერი არ ჰქონდა საფულეში რაღაც ფურცლები ედო და ის ფურცლებიც არაფერი არ იყო. მოწმის ჩვენებით, დაკავებაში და გაჩხრეკაში მონაწილე პოლიციელებმა ონიანს გადასცეს ამოღებული ნივთები. მოწმემ მიუთითა, რომ მის მიერ ამოღებულ ნივთებში კანონსაწინააღმდეგო არაფერი უნახავს და არც სხვა პოლიციელებს უთქვამთ რამე მასეთი ამოვიღეო. განყოფილებაში მისვლის შემდგომ, მოწმემ განმარტა, რომ ონიანის ოთახში მაგიდაზე დაინახა შათირიშვილის ნივთები ეწყო, სადაც ასევე იყო დაჭმუჭნული დიდი ფურცელიც, რომლიდანაც მწვანე მცენარე მოჩანდა. ეს ფურცელი მოწმის ჩვენებით არ იყო დაკავებისას ამოღებული.

მდინარაძის ეპიზოდთან დაკავშირებით მოწმემ აღნიშნა, რომ მას დაევალა ეს პირი გადაეყვანა ნარკოლოგიურში შემოწმებაზე, შემოწმებისას კი ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნა არ დადგინდა.

პროცესზე ასევე დაიკითხა მოწმე გიორგი ჩხეტია, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში მუშაობდა გლდანი-ნაძალადევის განყოფილებაში უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად. მოწმემ აღწერა, რომ 2011 წლის ოქტომბერში იგი გააგზავნეს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოში გიორგი ონიანთან. ონიანმა მას კაბინეტში უთხრა, რომ ინფორმაციის საფუძველზე ჰყავდათ პირი დაკავებული ნარკოტიკებზე, რომელსაც DJ REMBO (მდინარაძე) ერქვა. მოწმემ ასევე მიუთითა, რომ შემდეგ ამოიყვანეს დაკავებული, ონიანის მაგიდიდან ერთ მეტრში დასვეს და ონიანმა უთხრა მოყევი თუ რამე გაქვს სათქმელიო, რამდენიმე ხანი პაუზა იყო და შემდეგ ბრალდებულმა დაკეცილი ქალაქი ამოიღო ჯიბიდან, ქალაქში მწვანე ფერის ბალახი იყო საკმაოდ რაოდენობით, მარიხუანას ჰგავდა. მოწმის ჩვენებით ონიანმა გაბრაზებული ხმით დაუძახა შარიფაშვილს და ჰკითხა, თუ ვინ გაჩხრიკა ეს კაცი, ასევე დაავალა, სასწრაფოდ დაერეკა პროკურორისათვის, აეხსნა სიტუაცია და მოეგვარებინა ეს საქმე. შარიფაშვილმა შემდეგ დაკეცა ეს ფურცელი და წავიდა.

პროცესზე ასევე დაიკითხა უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი. რომელმაც ასევე აღწერა თბილისის ცენტრალში შათირიშვილის დაკავების და გაჩხრეკვის ეპიზოდი. მან ასევე მიუთითა, რომ მისთვის ცხადი იყო, რომ ეს დაკავება პოლიტიკური დაპირისპირებების გამო ხდებოდა და არა დანაშაულის გამო. მისი განმარტებით პირის დაკავების ინიციატივა ონიანისგან მოდიოდა. მიუხედავად იმისა, იცოდა საქმის გარემოებები თუ არა, იძულებული იყო შიშის გამო შეესრულებინა ონიანის მითითებები. მოწმემ ასევე მიუთითა, რომ იგი იყო ბრალდებული ერთ-ერთ სხვა საქმეზე და აღიარების, ჯარიმის ფონზე მოხდა მისი გათავისუფლება.

3.2 მხარეთა მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

მოსამართლემ პროცესზე განცხადა, რომ 23 თებერვალს, კანცელარიის მეშვეობით სასამართლოს მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ. განცხადების თანახმად, გიორგი ონიანის კანდიდატურა განიხილება, ისანი-სამგორის რაიონის დეპუტატობის კანდიდატად. ამასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს შესაბამისი საქმიანობები და თუ იქნება შესაძლებელი, მარტი-აპრილის პერიოდში სასამართლოში არ ჩაინიშნოს სხდომები.

ბრალდებულამ ასევე დაამატა, რომ თუ სასამართლო ამას არ გაითვალისწინებს, მას ფაქტობრივად მოუწევს უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე.

შუამდგომლობას არ დაეთანხმა ბრალდების მხარე და მიუთითა, რომ პროცესისთვის თვეში რამდენიმე საათის გამოყოფა ხელს არ შეუშლიდა წინასაარჩევნო საქმიანობას.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო დაცვის მხარის პოზიცია და პროცესი აპრილამდე გადადო.

დაცვის მხარემ მოითხოვა, საქმეს დართვოდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან გიორგი ონიანისათვის გადმოგზავნილი წერილი, მასალებთან ერთად. ამ დოკუმენტებში ასახულია ინფორმაცია ონიანის თანაბრალდებულ პირთა მიმართ განრიდების განხორციელების თაობაზე.

მხარემ ასევე მოითხოვა ვაზისუბნის მე-4 მიკრორაიონში სარეკლამო პლაკატების, მასზე დართული ფოტომასალების საქმისთვის დართვა, სადაც ონიანის მიმართ უარყოფითი ინფორმაცია იყო დატანილი. დაცვის მხარემ ასევე მოითხოვა საქმეს დართვოდა ზურაბ ქადაგიძის ფეისბუქ გვერდისა და „რუსთავი 2“-ს საიტის დათვალეერების ოქმიც.

სასამართლოს გადაწყვეტილებით შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. კერძოდ, დაკმაყოფილდა მოთხოვნა პირველ ნაწილში. მოსამართლე აღნიშნავს, რომ სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია, საქმეს დაერთოს ყველა ის მტკიცებულება და დოკუმენტი, რომელშიც შეიძლება ჩანდეს დისკრიმინაცია ბრალდებულის მიმართ. დანარჩენ ორ ნაწილში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს განმარტებით, მეორე ნაწილში დაცვის მხარე ვერ ადასტურებს საიდან მოვიდა დოკუმენტები, ვის მიერ იქნა პლაკატები გაკრული. რაც შეეხება მესამე ნაწილს, მოსამართლის განმარტებით, ეს განცხადებები არის სამოქალაქო სამართლებრივი დავის საკითხი.

დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქმეს დართვოდა დაცვის მხარის მოწმის შოთა შეყილაძის საჩივარი სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. დაცვის მხარის განმარტებით, შეყილაძე მისი სამსახურიდან გათავისუფლებას ამ პროცესს და ბრალდებულთან საუბარს უკავშირებს. მხარემ ასევე მიუთითა, რომ ის იყო ერთადერთი დაცვის მხარის მოწმე, რომელიც დღემდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და ახლა ისიც გაათავისუფლეს.

დაცვის მხარემ ასევე დააყენა შუამდგომლობა საქმეს დართვოდა ევრო საბჭოს რეზოლუცია, სადაც საუბარია იმაზე, რომ საქართველოში გაუარესდა ადვოკატთა უფლებები და ის ადვოკატები, რომლებიც სენსიტიურ საქმეებს განიხილავენ, არიან შევიწროების მსხვერპლნი. აღსანიშნავია, რომ ამ რეზოლუციაში საუბარია გიორგი ონიანზეც.

ბრალდების მხარე არ დაეთანხმა დაცვის მხარის შუამდგომლობების დაკმაყოფილებას. პროკურორებმა მიუთითეს, რომ შოთა შეყილაძის საჩივარი არ უნდა დაერთოს საქმეს, რადგან მას არანაირი შემხებლობა არ აქვს საქმესთან, იგი უბრალოდ გადაიყვანეს სხვა თანამდებობაზე, იგი არ გათავისუფლებულა სამსახურიდან. ამასთან, ამ პირის მიმართ ანაგარიშწორება რომ ყოფილიყო განზრახვა, თავის დროზე გაუშვებდნენ თანამდებობიდან, როცა ბრალდების მხარისათვის საწინააღმდეგო ჩვენება მისცა. რაც შეეხება მეორე შუამდგომლობას, იგი არ უნდა იქნეს დაშვებული, რადგან მისი წარმოადგენა აქამდეც შესაძლებელი იყო.

სასამართლოს გადაწყვეტილებით დაცვის მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საქმეს არ დაერთო ევროსაბჭოს რეზოლუციაში ასახული ინფორმაცია, რადგან მისი წარდგენა დღევანდელ პროცესამდე შეიძლებოდა, ასევე იგი არ შეეხება კონკრეტულად ამ საქმეს. რეზოლუციაში საუბარია იმ პერიოდზე, როდესაც გიორგი ონიანი ადვოკატი იყო.

რაც შეეხება შოთა შეყილაძის საჩივარს, სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი უნდა დაერთოს საქმეში მტკიცებულებად, რადგან სასამართლოს ფაქტობრივად მოწმეთა ჩვენებების მიხედვით უწევს განაჩენის გამოტანა. საქმეში წერილობითი მტკიცებულებები ფაქტობრივად არ არსებობს, ამიტომ ეს დოკუმენტი საინტერესო იქნება მოწმის სანდოობის კუთხით.

დაცვის მხარემ მოითხოვა საქმეს დართვოდა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობა- საქართველოს“ ანგარიში. დაცვის მხარის მითითებით, ანაგარიშში ორგანიზაცია ეჭვქვეშ აყენებს მოწმეთა სანდოობას.

ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განმარტა, რომ მხოლოდ მოსამართლე წყვეტს მტკიცებულებათა და მოწმეთა სანდოობის საკითხს, შესაბამისად ეს ანაგარიში რელევანტური ვერ იქნება საქმისთვის.

მოსამართლემ განაცხადა, რომ თვითონაც იცნობდა ანგარიშს და მიუთითა რომ ანგარიშში დაუსაბუთებლად იყო მითითებული საქმის გაჭიანურებაზე, რაც მიაჩნებდა იმას, რომ ორგანიზაციის მიერ საქმის შესწავლა კომპლექსურად არ მომხდარა. მოსამართლის აზრით, რადგან ეს ნაწილი ანგარიშში არ არის ობიექტურად წარმოდგენილი, არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ანგარიშის სხვა ნაწილიც არ არის სრულყოფილად შესწავლილი, ამიტომაც არ მიიჩნია საჭიროდ შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

საქმეზე განაჩენი ჯერ არ დამდგარა მიმდინარეობს საქმის განხილვა.

4. ჩვენი დაკვირვება

პროცესები ხშირად მიმდინარეობდა დაძაბულ რეჟიმში, ჰქონდა ადგილი მოწმეების და მხარეების მიმართ წამოძახილებს დარბაზიდან, რისთვისაც მოსამართლემ რამდენჯერმე გამოიყენა გაფრთხილების მექანიზმი.

პროცესის დაკვირვებისას, ხშირად იყო ტექნიკური ხარვეზები მიკროფონებთან დაკავშირებით, რაც ართულებდა დამსწრეებისთვის მოწმეთა ჩვენებების სრულყოფილად გაგებას.

პროცესზე გადაღების კუთხით რაიმე სახის შეფერხებას ადგილი არ ქონია. ასევე დაკითხვამდე უზრუნველყოფილი იყო მოწმეთა განცალკევება.

მნიშვნელოვანია, რომ ამ საქმეზე რამდენიმე მნიშვნელოვანი მოწმე თავდაპირველად ბრალდებული იყო გიორგი ონიანთან ერთად საქმეში, თუმცა მოგვიანებით მას განრიდება გაუფორმდა, რის შემდგომაც მათ გიორგი ონიანის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება.

ნიკანორ მელია, ზურაბ ადგიშვილი და სხვები (ბანკი ქართუს გაკოტრების საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ნიკანორ მელია, აღსრულების ეროვნული ბიუროს ყოფილი თავმჯდომარე – დახმარება საწარმოში და სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ქონების გადამალვაში მოჩვენებითი გარიგებით, ჩადენილი მოსალოდნელი ქონებრივი ვალდებულებისათვის თავის არიდებით, დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ; სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

ზურაბ ადგიშვილი, საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება; სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება; საწარმოში და სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ დიდი ოდენობით ქონების გადამალვის ორგანიზება მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებით, მოსალოდნელი და უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებებისათვის თავის არიდების მიზნით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ცეზარ ჩოჩელი, მცხეთა-მთიანეთის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი – ქონების გადამალვა მოჩვენებითი გარიგებით, ჩადენილი მოსალოდნელი ქონებრივი ვალდებულებისათვის თავის არიდებით, დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, უფლების დამდგენი დოკუმენტის ჯგუფურად გაყალბება. სხვა ბრალდებულები: ჯამბულ ებანოიძე, დავით გიორგაძე, გრიგოლ მორჩილაძე, გოჩა ცხენოსანიძე, ნუგზარ საჯაია, დავით კოდუა, ვასილ ჩიგოგიძე, ლევან საყვარელიძე, ილია ანთაძე, ლაურა დაჭავა, ნიკა ყუბანეიშვილი, ირაკლი თაქთაქიშვილი.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, ბრალდებულებმა 2011 წლის მიწურულს და 2012 წლის დასაწყისში „ბანკი ქართუს“ წინააღმდეგ სხვადასხვა უკანონო ქმედება განახორციელეს. კერძოდ, ისინი უკავშირდებოდნენ იმ ორგანიზაციათა მმართველებს, რომლებსაც „ქართუსთან“ სესხის ხელშეკრულებები ჰქონდათ გაფორმებული და აიძულებდნენ, ორგანიზაციების ძველ დეკლარაციებში ყალბი მონაცემები შეეტანათ, ისე, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს სახელმწიფოს წინაშე დიდი ოდენობის დავალიანება წარმოშობოდათ. დეკლარაციებში ყალბი მონაცემების შეტანის შემდეგ, სასამართლო განხილვისას ხსენებულ ორგანიზაციათა მმართველები აღიარებდნენ სახელმწიფოს წინაშე არსებულ დავალიანებას, რის შედეგადაც ამ ორგანიზაციების ბალანსზე

არსებული უძრავი ქონების მიმართ აღსრულება იწყებოდა: იმართებოდა ფიქტიური ინტერნეტაუქციონები, რომლებზედაც დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ წინასწარ

განსაზღვრული იურიდიული პირი იმარჯვებდა. გამარჯვების შემდეგ, აღნიშნული იურიდიული პირი უარს აცხადებდა აუქციონით დადგენილი თანხის გადახდაზე. ამდენად, უძრავი ქონება სახელმწიფო ბალანსზე ხვდებოდა. სახელმწიფო ბალანსიდან ეს უძრავი ქონება ასევე ფიქტიურად, საბაზრო ფასთან შედარებით დაბალ ფასად, მხარეთა მიერ წინასწარ განსაზღვრულ იურიდიულ პირებზე იყიდებოდა. ამის პარალელურად, მევალე ორგანიზაციები წყვეტდნენ „ქართუს“ მიმართ არსებული სესხის დაფარვას, ბანკს კი აღარ შეეძლო სესხით დატვირთული უძრავი ქონების აღსასრულებლად მიქცევა, რადგან ეს ქონება ყოველგვარი უფლებრივი ნაკლის გარეშე სრულიად სხვა ორგანიზაციის საკუთრებად იყო რეგისტრირებული. სქემა რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. მისი საბოლოო მიზანი ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ბანკის, „ქართუს“ გაკოტრება იყო. იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იურიდიული პირისთვის საგადასახადო დავალიანების აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფოს მისი ქონების აუქციონზე გატანა შეეძლო იმის მიუხედავად, დატვირთული იყო თუ არა ეს ქონება იპოთეკით. ბრალდების მხარის მტკიცებით, ყოფილმა მაღალჩინოსნებმა შესაბამისი კანონი პარლამენტს საგანგებოდ შეაცვლევინეს.

3. გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის წინა ანგარიშებში ასახული ძირითადი ფაქტები და შეფასებები საქმესთან დაკავშირებით.

ხშირი იყო ბრალდებულების ან დამცველების პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევები. მოსამართლემ საქმის განხილვისას განაცხადა, რომ სისტემატიურად ხდებოდა დაცვის მხარის ბრალით პროცესის გადადება, რაც მიუთითებდა, რომ მათ არ სურდათ სწრაფი მართლმსაჯულების უფლებით სარგებლობა და ხდებოდა უამრავი რესურსის არამიზნობრივი ხარჯვა.

პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა ზურაბ ადეიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე. ჯამბულ ებანოიძის, რომან ჩხენკელის, მამუკა ლაშხიას, ოთარ აგლაძის და ნიკანორ მელიას მიმართ კი გირაოს გამოყენების თაობაზე. სასამართლოს განჩინებით, ჯამბულ ებანოიძეს გირაოს თანხად 30 000 ლარი განესაზღვრა, რომან ჩხენკელს – 15 000, მამუკა ლაშხიას და ოთარ აგლაძეს – თითოეულს 8 000 ლარი, ხოლო ნიკანორ მელიას – 25 000 ლარი, ზურაბ ადეიშვილს კი პატიმრობა შეეფარდა.

3. საანგარიშო პერიოდში საქმეზე წარმართული პროცესის მიმოხილვა

3.1 პროცესზე დაკითხული მოწმეები

პროცესზე დაიკითხა მოწმე გიორგი ადეიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ რამდენიმე მილიონის სესხი ჰქონდა აღებული ბანკი ქართუდან. მისი განცხადებით, 2011 წელს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ბანკი ქართუსთან კავშირში მყოფ პირებს იბარებდნენ და უკეთებდნენ გარკვეულ შეთავაზებებს, თუმცა დეტალები არ იყო მისთვის ცნობილი. რადგანაც სესხი ჰქონდა ქართუ ბანკში, შემდგომში მას შესთავაზეს, რომ ჩადებულ ქონებას გადაიტანდნენ სხვა ანგარიშზე ანუ მოხდებოდა სახელმწიფოს წინაშე ვალის აღიარება სანაცვლოდ კი მათ გადაუხდიდა სესხის ნახევარს. ამის შედეგად კი „ბანკი ქართუ“ ვეღარ დაიკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნას იპოთეკით დატვირთული ქონებიდან.

პროცესზე ასევე დაიკითხა გიორგი ადეიშვილის კომპანიის ბუღალტერი, რომელმაც განაცხადა, რომ გიორგი ადეიშვილმა მას იმ სქემის შესახებ უამბო, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენლები მას სთავაზობდნენ „ბანკი ქართუს“ დასაზარალებლად.

პროცესზე ასევე დაიკითხა სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს თანამშრომელი ქეთევან აბაშიძე, რომელმაც განაცხადა, რომ კორესპონდენციების რეგისტრირების დადგენილი წესის დარღვევა მინისტრის მითითებით რამდენჯერმე დაავალეს.

პროცესზე დაიკითხა ბრალდებული ირაკლი გულბათაშვილი, რომელიც არის შპს. „ევორდ ბილდი“-ის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი. მოწმის განმარტებით, 2011 წლის ბოლოსათვის შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი დაუკავშირდა და დაიბარა შემოსავლების სამსახურში. იგი მივიდა თავის ბიზნეს პარტნიორ ლევან საყვარელიძესთან ერთად. ოთახში იყვნენ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები მამუკა ლაშხია და ოთარ აგლაძე. მამუკა ლაშხიამ მათ გააცნო ცვლილებების პაკეტი, რომელიც კანონში უნდა შესულიყო. ცვლილებები შეეხებოდა იპოთეკით დატვირთული ქონების პირველადი დაკმაყოფილების წესს. კერძოდ, თუ კომპანიას ჰქონდა ბანკის ვალი და უზრუნველყოფის გარანტიად იპოთეკაში ჰქონდა ქონება ჩადებული და ამავე დროს ვიდრე ამ ბანკისგან ვალს აიღებდა მანამდე სახელმწიფოსგანაც ჰქონდა ვალი, მაშინ დაკმაყოფილებისას უპირატესი დაკმაყოფილების უფლება ექნებოდა სახელმწიფოს და არა ბანკს. საუბრიდან გამომდინარე, მოწმის განმარტებით მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ ეს იყო ერთგვარი სახელმწიფოს დაკვეთა „ბანკი ქართუს“ წინაარმდეგ მიმართული.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა მათ განუმარტეს, რომ უნდა ეღიარებინათ საგადასახადო ორგანოების მიმართ დავალიანება, ოღონდ დავალიანების ამღიარებელი უნდა ყოფილიყო ისეთი კომპანია, რომელიც იქამდე არსებობდა ვიდრე „ბანკი ქართუსთან“ დაიწყებდა მათი კომპანია თანამშრომლობას. შემდგომში ამ კომპანიაზე უნდა გადასულიყო ყველა ქონება რაც მათ კომპანიას ჰქონდა და რაც „ბანკი ქართუს“ მიერ იპოთეკით იყო დატვირთული. ამის შემდეგ აუქციონის მეშვეობით ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში დროებით გადავიდოდა მანამ

სანამ სახელმწიფო სიმბოლურ ფასად არ დაუბრუნებდა მესაკუთრეებს. ამ სქემის შედეგად კი „ბანკი ქართუ“ ვეღარ შეძლებდა საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

მოწმის განმარტებით, შეთავაზებისას მუქარას არ ჰქონია ადგილი, თუმცა მიხვდნენ, რომ ეს სახელმწიფო პოლიტიკა იყო და მის წინააღმდეგ წასვლის სურვილი არ უნდა გაჩენოდათ. მათთვის ასევე არ უთქვამთ, რომ ზურაბ ადგიშვილის ბრძანებით ხდებოდა ამ სქემის განხორციელება

მსგავსი ჩვენება მისცა ასევე კიდევ ერთმა მოწმემ ლევან საყვარელიძემ.

პროცესზე ასევე დაიკითხა მოწმე გოჩა ცხენოსანიძე, სს „ოკამის“ გენერალური დირექტორი. მან განაცხადა, რომ „ბანკი ქართუდან“ გამოტანილი ჰქონდა სესხი 2 400 000 ლარის ოდენობით, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად კი იპოთეკით იყო დატვირთული სს „ოკამის“ ქონება და შპს „ვაზი 2002“-ის მიწები.

მოწმის განმარტებით, 2012 წლის იანვარში, მის პარტნიორს დაუკავშირდნენ შემოსავლების სამსახურიდან და უთხრეს რომ ბანკის გაკოტრების სქემაში უნდა მოელო მონაწილეობა. გეგმა შემდეგნაირად უნდა განხორციელებულიყო: „ვაზს“ და „ოკამს“ შემოსავლების სამსახური დაუდგენდა ვალს სახელმწიფოს მიმართ, რასაც ვერ გადაიხდიდნენ. შემდგომ ფიქტიურად მოხდებოდა მათი ქონების რეალიზება აუქციონზე, სადაც ქონება არ გაიყიდებოდა, რის შემდგომაც იგი ისევ მათ დაუბრუნდებოდა, ისე რომ „ბანკი ქართუს“ იპოთეკა საკუთრებაზე აღარ იქნებოდა რეგისტრირებული.

მოწმემ განაცხადა, რომ მისთვის არავის უთქვამს რომ ამ სქემის შესახებ იცოდა ნიკა მელიამ.

მსგავსი ჩვენება მისცა ასევე მოწმე ვასილ ჩიგოგიძემ.

სასამართლო პროცესზე დაიკითხა ტარიელ გუგავა, აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელი 2010-2013 წლებში. მისი განცხადებით მას ევალუბოდა ფინანსთა სამინისტროს საიტზე განეთავსებინა აუქციონისთვის განკუთვნილი ქონება. ამ დროისათვის აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე იყო ნიკანორ მელია. მოწმის განცხადებით მისთვის ნიკანორ მელიას რაიმე უკანონო არასდროს დაუვალებია.

მსგავსი ჩვენება მისცა ასევე აღსრულების ბიუროს ყოფილმა თანამშრომელმა დიმიტრი გუგუნავამ.

ერთ-ერთ სხდომაზე ბრალდებულ ნიკანორ მელიას მოსამართლემ წინა პროცესებზე გამოუცხადებლობის მიზეზები ჰკითხა, რაზედაც ბრალდებულმა განაცხადა, რომ ვერ ივლის და

არც ივლის პროცესებზე ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე და ასევე დაამატა, რომ მისი ყოფნა პარლამენტში არის ძალიან საჭირო. ამასთან, ბრალდებულმა სასამართლოს მიმართ უნდობლობა გამოხატა და განაგრძო პოლიტიკური განცხადებების გაკეთება. საბოლოოდ, მოსამართლემ გამოიყენა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

3.2 მხარეთა მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

დაცვის მხარემ იშუამდგომლა საქმეში დამატებითი მტკიცებულებების დართვის თაობაზე, კერძოდ დისკისა და გამოკითხვის ოქმის, რომელიც შეეხებოდა ყოფილი პრემიერ მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებას. აღნიშნული განცხადება პრემიერმა ერთ-ერთი ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში გააკეთა, სადაც განაცხადა, რომ „ბანკი ქართუს“ გაკოტრების საქმეზე დადგენილ იქნა გიორგი ქადაგიძის ბრალეულობა, თუმცა მისი თხოვნით პროკურატურამ იგი არ დააკავა. დაცვის მხარის განმარტებით, ეს კომენტარი პირდაპირ მიუთითებს ზურაბ ადეიშვილის მიმართ პოლიტიკური დევნის არსებობის ფაქტს, ეს ინფორმაცია რელევანტურია და შემხებლობაშია აღნიშნულ საქმესთან, და რადგან ეს კომენტარი ყოფილმა პრემიერმა 2015 წლის მაისში გააკეთა მის წარმოდგენას წინა სასამართლო სხდომაზე ვერ შეძლებდნენ.

პროკურატურის განმარტებით შუამდგომლობა აბსოლუტურად დაუსაბუთებელია და საქმესთან შემხებლობა არ აქვს. პროკურატურის განმარტებით, გიორგი ქადაგიძე საერთოდ არ არის წარმოდგენილი საქმეში, ხოლო პოლიტიკური დევნა ამ კომენტარით ადეიშვილის მიმართ საერთოდ არ დასტურდება.

მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, მიუთითა საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 25 ნაწილზე და განმარტა, რომ კონკრეტული მტკიცებულება კავშირში უნდა იყოს საკუთარი წარმოშობითა და კვალით სისხლის სამართლის განსახილველ საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან. მოსამართლის განმარტებით, დაცვის მხარემ ვერ დაასაბუთა საკუთარ შუამდგომლობაში თუ რა კავშირი აქვს განცხადებას აღნიშნულ საქმესთან.

საქმეზე განაჩენი ჯერ არ დამდგარა, მიმდინარეობს საქმის განხილვა.

4. ჩვენი დაკვირვება

პროცესი რამდენჯემე გადაიდო დაცვის მხარის ბრალით. ხშირად ბრალდებულები ან მათი დამცველები არ ცხადდებოდნენ სასამართლო პროცესებზე. დაცვის მხარე თავისი ქმედებებით, ფაქტობრივად, უარს ამბობდა სწრაფი მართლმსაჯულების უფლების გამოყენებაზე. მართალია, პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სწრაფ მართლმსაჯულების უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის, თუმცა მნიშვნელოვანია,

გათვალისწინებულ იქნეს სასამართლოს რესურსები და არ ხდებოდეს მისი არამიზნობრივი გამოყენება. პროცესის მიმდინარეობისას რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობას ხელყოფდა, არ გამოვლენილა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა ეძლეოდათ, წარმოედგინათ არგუმენტები და მტკიცებულებები, განეხორციელებინათ საპროცესო მოქმედებები და დაეცვათ საკუთარი ინტერესები.

რიგ შემთხვევებში პროცესი ტარდებოდა საკმაოდ პატარა სხდომათა დარბაზში, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი ბრალდებული არის ამ საქმეში. იყო შემთხვევები, როცა ერთ-ერთი ბრალდებული მოწმეების ჩვენების მოსმენის დროს აკეთებდა სხვადასხვა რეპლიკებს, ზოგჯერ ეს ართულებდა მოწმის დაკითხვის მოსმენას. მოსამართლე შენიშვნას აძლევდა, თუმცა მაინც გრძელდებოდა წამოძახილები.

ხშირად სხდომები იწყებოდა ჩანიშნულ დროზე გვიან და არ იყო უზრუნველყოფილი მიკროფონის გამართული ფუნქციონირება, ამას ასევე ემატებოდა რიგ შემთხვევებში დარბაზში ხმაური, რაც ფაქტობრივად, სხდომის საჯაროობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზებას ხელს უშლიდა, ასევე ართულებდა ჩვენი მონიტორების მხრიდან მოწმეთა და სხვა პირების განცხადებების სრულყოფილად მოსმენას.

„კაბელების საქმე“

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიზო ღლონტი- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი (გიზო ღლონტმა უწყება პირადი განცხადების საფუძველზე, 2014 წლის 1 იანვარს დატოვა.);

ნუგზარ კაიშაური- საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;

გიორგი ლობჯანიძე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;

არჩილ ალაგიძე-საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

დავით წიფურია - საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი.

ბრალდებულებმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სს „სილქნეტის“ სასარგებლოდ გაფლანგეს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872.6 ლარი.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის მიმდინარეობისას პრივილეგირებულ მდგომარეობაში ხელოვნურად ჩააყენეს კომპანია „სილქნეტი“, რის შედეგადაც „სილქნეტმა“ საიდუმლო სახელმწიფო ტენდერში გაიმარჯვა. როგორც პროკურატურა ბრალდებულებს ედავება, მათ არ დაიცვეს ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი და „სილქნეტის“ სასარგებლოდ 4 მილიონ ლარზე მეტი გაფლანგეს.

ბრალდების თანახმად, ბრალდებულებმა დანაშაულის შესანიღბად გამოაცხადეს საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვა, სადაც მონაწილეობის მისაღებად სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტმა მოწვევა სს „სილქნეტთან“ ერთად გაუგზავნა 9 სხვა კომპანიას. ბრალდებულებმა საბუთების წარმოსადგენად განსაზღვრეს მცირე ვადა, 27 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე, ამიტომ მხოლოდ 4-მა კომპანიამ შეძლო მხოლოდ ზოგადი ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა. პროკურატურის მტკიცებით, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის მიმდინარეობისას მათ მიიღეს ყველა ზომა, რომ სს „სილქნეტისთვის“ უპირატესობის მიენიჭებინათ და პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ, რაც გამოიხატებოდა სხვა კომპანიებისათვის ქონებაზე და მომსახურებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში, ამ უკანასკნელს გაემარჯვა გამოცხადებულ საიდუმლო შესყიდვაში.

3. საქმის პოლიტიკური კონტექსტი

პირებისთვის ბრალის წაყენებამდე პოლიტიკური მოვლენები იმდაგვარად განვითარდა, რომ საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი საქმის პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით.

2013 წლის იანვარში პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანია ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან გადააყენა. მისი თქმით, ალასანიამ „პატარა შეცდომა დაუშვა“, როდესაც საკუთარი საპრეზიდენტო ამბიციების განხილვა ვიწრო წრეში დაიწყო.

2013 წლის თებერვალში პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა ირაკლი ალასანია ფაქტობრივად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ „ერთიანი

ნაციონალური მოძრაობა” კოალიციიდან ირაკლი ალასანიას გადაბირების მცდელობაზე საუბრობს.

2013 წლის ნოემბრიდან პრემიერ-მინისტრის პოსტი ირაკლი ღარიბაშვილმა დაიკავა. დაპირისპირება ღარიბაშვილსა და ალასანიას შორისაც გაგრძელდა.²

თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებისთვის ბრალის წაყენების შემდგომ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ პროკურატურის ქმედებებში შეინიშნება პოლიტიკური სარჩული და ასევე საფრთხის ქვეშაა ქვეყნის ევროატლანტიკური არჩევანი. მოგვიანებით პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება მისი თავდაცვის მინისტრობიდან გადაყენების შესახებ.

4. გამოყენებული აღკვეთი ღონისძიება და საქმის დახურული განხილვა

თბილისის საქალაქო სასამართლომ 30 ოქტომბერს დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

სასამართლო სხდომა დახურული იყო, ვინაიდან საქმეს საიდუმლო გრიფი ადევდა.

დაცვის მხარის მიუთითებდნენ მათი უფლებების დარღვევებზე, რადგანაც მათ ბრალდების მხარემ უარი უთხრა სასამართლო მოსმენამდე საქმის მასალების ასლების გადაცემაზე.

საქმეში არსებული სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მტკიცებულებების გამო წინასასამართლო სხდომები, სადაც მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხები წყდებოდა, დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა. სახალხო დამცველმა მოუწოდა მთავარ პროკურატურას მომხდარიყო საქმის განსაიდუმლოება, რაც მოგვიანებით საქმის არსებითი განხილვის დროს განხორციელდა.

2014 წლის 25 ნოემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრაზვერვის დეპარტამენტმა, როგორც ერთადერთმა კომპეტენტურმა ორგანომ, საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, თავდაცვის სამინისტროს და პროკურატურის მიმართვის შემდეგ, შეისწავლა ხსენებული საქმის მასალები და დასაშვებად მიიჩნია საქმის მასალებისთვის გრიფის მოხსნა, გარდა იმ ნაწილისა, რომლებიც შეიცავს ქვეყნის სამხედრო

². იხ. <http://netgazeti.ge/news/36323/>

უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საიდუმლო ინფორმაციას. შესაბამისად საქმის არსებითი განხილვის დროსაც, გარკვეულ შემთხვევებში კვლავაც იხურებოდა საქმის განხილვა.

5. მხარეთა მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

2015 წლის 5 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ბრალდების მხარის გარკვეული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე. მტკიცებულებები შეეხებოდა სასაქონლო და საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნას. გადაწყვეტილება ბრალდების მხარემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, 8 ივნისს, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ საჯაროდ განაცხადა მოსამართლეებსა და ყოფილ პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს შორის შეხვედრისა და შესაძლო გარიგების თაობაზე. მისი განცხადების თანახმად, დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილება „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში, რომლის მიხედვითაც 25 რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ვადამდე უნდა გათავისუფლებულიყო არ განხორციელდებოდა, სანაცვლოდ კი ბიძინა ივანიშვილი მოსამართლეებისგან ითხოვდა კაბელების საქმესთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გარკვეული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოში შეცვლილიყო.³ 16 ივნისს სააპელაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის საჩივარი და დასაშვებად მიიჩნია პროკურატურის მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარემ სააპელაციო საჩივარი საიდუმლო წესით შეიტანა, მოგვიანებით კი მას გრიფი საიდუმლო მოეხსნა და პროკურატურამ სააპელაციო საჩივარი გაასაჯაროვა.

2015 წლის 18 ივნისს, პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ე.წ კაბელების საქმეზე ბრალდებულების მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახის პატიმრობის გირაოთი შეცვლა. პროკურატურა აცხადებს, რომ გადალახულია მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის განხილვის ეტაპი, პროკურატურის მიერ სასამართლოში წარდგენილი ყველა მტკიცებულება ცნობილია დასაშვებად, შესაბამისად შემცირებულია ბრალდებულების მხრიდან მოწმეებზე გავლენის მოხდენის და მტკიცებულებების განადგურების რისკები, ამიტომ მიმართეს სასამართლოს აღკვეთი ღონისძიების პატიმრობის გირაოთი შეცვლის მოთხოვნით. ამასთან 2015 წლის 28 ივლისს იწურებოდა პატიმრობის საერთო 9 თვიანი ვადა, განხილვის დასრულება კი ვერ მოესწრებოდა.

დაცვის მხარე არ დაეთანხმა ბრალდების მხარის შუამდგომლობას, გირაოს სახით 10 000 ლარის გადახდას და მოითხოვა ბრალდებულების აღკვეთი ღონისძიების გარეშე დატოვება, ვინაიდან

³ იხ. <http://netgazeti.ge/news/41543/>

მიიჩნევა, რომ არ არსებობს მისი გამოყენების საფუძვლები, ალტერნატივის სახით კი სასამართლოს შესთავაზა პირადი თავდებობის გამოყენება.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ბრალდებულები პირადი თავდებობის სანაცვლოდ სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა. სასამართლომ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკით და მიიჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე აღარ არსებობდა რელევანტური საფუძვლები ბრალდებულთა პატიმრობაში დატოვებისათვის. სასამართლომ ბრალდებულებს პირად თავდებად საქართველოს პარლამენტის ხუთი წევრი: ნინო გოგუაძე, ვიქტორ დოლიძე, ზურაბ აბაშიძე, შალვა შავგულიძე და ირაკლი ჩიქოვანი დაუნიშნა. ბრალდებულებს პირად თავდებთა სიაში იყო საქართველოს იმდროინდელი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელიც.

ბრალდების მხარემ საქმის არსებითი განხილვის დროს დააყენა შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულების დართვის თაობაზე.

ბრალდების განმარტებით, 2015 წლის პირველ აპრილს წინასასამართლო სხდომაზე დაინიშნა საინჟინრო და სასაქონლო ექსპერტიზა, რომელთან დაკავშირებითაც ექსპერტები მომართავენ პროკურატურას გარკვეული მასალების მიწოდებისა და გარკვეული სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტების კვლევაზე ჩართვის შესახებ. ბრალდების მხარე სწორედ ამ წერილების დართვას ითხოვს საქმეში, რომლებიც უშუალოდ იმ საინჟინრო და სასაქონლო ექსპერტიზიდან გამომდინარე არის გამოწვეული. ამ წერილებთან ერთად მხარე ითხოვს მოწმედ გამოძახებას იმ პირების, რომელთაც ამ საპროცესო მოქმედებებში მიიღეს მონაწილეობა, რადგან ეს ყველა წარმოშობილი მტკიცებულებები ექსპერტიზის მიმდინარეობის შედეგია, ბრალდების განმარტებით კი წინასასამართლო სხდომამდე მათი წარდგენის არანაირი შესაძლებლობა არ არსებობდა.

ამასთან ბრალდების მხარემ განმარტა, რომ წინა დღით სასამართლო სხდომამდე დაუკავშირდნენ დაცვის მხარეს და სთოხვეს მისულიყვნენ პროკურატურაში, რათა გაცნობოდნენ ამ მტკიცებულებებს, რომ დრო აღარ დახარჯულიყო მის გაცნობაში და დაცვის მხარის პოზიციის ჩამოყალიბებაში. თუმცა ადვოკატმა უარი განაცხადა პროკურატურაში მოსვლაზე.

დაცვის მხარემ მოითხოვა გონივრული ვადა მტკიცებულებების გაცნობისა და საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებისათვის. აქვე განაცხადა, რომ მტკიცებულებების წარდგენა არ უნდა იყოს მუდმივი პროცესი ადრე დანიშნული ექსპერტიზის საფარქვეშ და არ უნდა მიეცეს ბრალდებას საშუალება მუდმივად შეეძლოს არსებითი განხილვისას ახალი მტკიცებულებების წარდგენა და ახალ მოწმეთა გამოძახება.

ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ დაცვის მხარე ცდილობს დროის გააჭიანურებას, რათა გაიწელოს სასამართლო განხილვა.

მოსამართლემ განმარტა, რომ ვერ დაეთანხმება იმ პოზიციას, რომ დაცვა ცდილობს პროცესის მიმდინარეობის გაჭიანურებას. დაცვის მხარეს აქვს უფლება, მოითხოვოს გონივრული ვადა საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. შესაბამისად, მოსამართლის გადაწყვეტილებით, შემდეგ პროცესამდე მათ მიეცემათ ვადა რათა წარმოადგინონ საკუთარი დასაბუთებული პოზიციის შუამდგომლობაზე. რაც შეეხება საიდუმლო დოკუმენტებს, მოსამართლემ განაცხადა, რომ მისი სხდომის მდივანს არ აქვს უფლება საიდუმლო დოკუმენტების გაცნობას დაესწროს, ხოლო სასამართლოში არის ისეთი სხდომის მდივანი, რომელსაც აქვს უფლება დაესწროს ასეთი დოკუმენტების გაცნობას, ამიტომ მოსამართლემ 15 წთ. შესვენება გამოაცხადა, რათა დაკავშირებოდნენ ამ სხდომის მდივანს და მოემზადებინათ ტექნიკურად პროცესი საიდუმლო დოკუმენტის გაცნობისთვის.

ბრალდების მხარის ერთ-ერთი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე, რადგანაც მათ ეჭვი ეპარებოდათ მის ობიექტურობაში.

ბრალდების მხარის განმარტებით, რადგან მათი პოზიცია არ იქნა გაზიარებული ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლის აცილება უნდა მოითხოვონ, აქამდე იყო არაერთი შემთხვევა როცა მოსამართლეს სწორედ მათი პოზიცია გაუზიარებია.

სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან გარდა იმ მიზეზისა, რომ მათი პოზიცია არ იქნა გაზიარებული სხვა რაიმე ობიექტური გარემოება არ არსებობს, რომელიც საეჭვოს გახდიდა მოსამართლის ობიექტურობას.

ბრალდების მხარე საქმის არსებით განხილვაზე დააყენა შუამდგომლობა საქმეში დამატებითი მტკიცებულების დართვის თაობაზე, რომელიც წარმოადგენს გეოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას დანიშნული ექსპერტიზის ფარგლებში.

დაცვის მხარემ მოითხოვა ერთი საათი დრო, რომ გაცნობოდა ამ დასკვნას და საკუთარი პოზიცია ჩამოეყალიბებინა.

მოსამართლემ განაცხადა, რომ არ აპირებდა დროში შეეზღუდა დაცვის მხარე, მაგრამ ბევრი გაცნობა არ სჭირდებოდა ამ დოკუმენტს.

შესვენების შემდგომ დაცვის მხარემ განაცხადა, რომ არც სასაქონლო და არც ფინანსური, საინჟინრო-სასაქონლო და ტექნიკური ექსპერტიზის ფარგლებში დასმული კითხვების პასუხი არ არის პროკურატურის მიერ დაყენებული ექსპირტიზა, არამედ ეს არის ახალი, დამოუკიდებელი ექსპერტიზა, რომელიც აქამდე არავის დაუნიშნავს.

სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და განმარტა რომ ეს ექსპერტიზა დაკავშირებული იყო სხვა უკვე ჩატარებულ ექსპერტიზებთან.

ამის შემდგომ დაცვის მხარემ კვლავ დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე. დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ როდესაც ბრალდების მხარემ წარმოადგინა შუამდგომლობა, სანამ მოსაფიქრებელ დროს განსაზღვრავდა, მოსამართლემ უკვე გამოხატა თავისი პოზიცია: „რა არის ამაზე ამდენი სამსჯელო, როცა წინა სხდომაზე დავუშვით საქმეში წერილი“, შემდეგ მოსამართლემ ასევე განაცხადა, რომ „თქვენ რომ ჩემ პოზიციას იზიარებდეთ ბრალდების მხარეს დაეთანხმებოდით“, ეს ყოველივე დაცვის მხარეს უჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ მოსამართლე არ არის ობიექტური.

ბრალდების მხარის განმარტებით ეს არის დაცვის მხარის მიერ არჩეული ტაქტიკა, მოსამართლემ აბსოლუტურად სწორი და არგუმენტირებული გადაწყვეტილება მიიღო, შესაბამისად, შუამდგომლობა არ არის საფუძვლიანი და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ ადგილზე იმსჯელა და გადაწყვიტა რომ არ დააკმაყოფილოს დაცვის მხარის შუამდგომლობა და განმარტა, რომ დაცვის მხარეს სურს მოსამართლის აცილება, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი პოზიცია არ გაიზიარა. არავითარი სხვა დასაბუთებული ეჭვი მის არაობიექტურობაზე არ არსებობს.

დაცვის მხარემ შუამდგომლობით მოითხოვა მოსამართლემ საკუთარი უფლებამოსილებიდან გამომდინარე მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს სსსკ-ის 239 მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით და დადგინდეს თუ რამდენად შესაბამისია ეს მუხლი კონსტიტუციასთან. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულია შუამდგომლობის დაყენების და გადაწყვეტის წესი, რომელიც დაცვის მხარის განმარტებით შესაძლებელია არაკონსტიტუციურად განიმარტებოდეს

სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და მიუთითა, რომ არ არსებობს ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განმარტების საჭიროება.

2016 წლის 9 თებერვლის სხდომაზე მოსამართლემ წაიკითხა ბრალდებულ არჩილ ალავიძის შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც ბრალდებული წერდა, რომ იყო ავად, ამიტომ ვერ შეძლებდა პროცესზე გამოცხადებას და ითხოვდა პროცესის გადადებას, რადგან თავად სურდა

დასწრებოდა საქმის განხილვას. ბრალდებულმა შუამდგომლობას თან დაურთო 2 თებერვლის ოჯახის ექიმის ცნობა, რომელიც ადასტურებდა, რომ იგი ნამდვილად ავად იყო .

ბრალდების მხარის განმარტებით საპროცესო კოდექსი ასეთ შემთხვევაში ადგენს, რომ პირი ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა, რომელშიც ზუსტად ეწერება მის მიერ პროცესზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობა, ბრალდებულის მიერ წარმოდგენილ ცნობაში კი ასეთი არ წერია, წერია მხოლოდ ის, რომ მკურნალობს, მაგრამ მას რომ პროცესზე გამოცხადება არ შეუძლია ამის შესახებ არაა აღნიშნული. შესაბამისად, მისი გამოუცხადებლობა არის არასაპატიო და ასეთ შემთხვევაში კანონის შესაბამისად უნდა მოხდეს ამ პირის დაჯარიმება, ამიტომ ბრალდების მხარემ იშუამდგომლა ბრალდებული დაჯარიმებულიყო და სხდომა გაგრძელებულიყო.

მოსამართლის განმარტებით, ცნობაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ის, რომ პირს არ შეუძლია პროცესზე გამოცხადება, რაც ამ ცნობაში არ არის მითითებული. სასამართლო რესურსი იხარჯება ფუჭად, როცა ზედიზედ მესამე პროცესი იდება. მოსამართლემ განაცხადა, რომ ამჯერად იგი გადადებდა სხდომას, თუმცა ორივე მხარეს მოუწოდებდა, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ მართლმსაჯულებას და ფუჭად არ გაეფლანგათ სასამართლოს რესურსი.

6. მხარეთა მიერ დაკითხული მოწმეები

საქმის არსებითი განხილვისას დაიკითხა ბრალდების მოწმე ავთანდილ ჭოლოკავა, რომელიც შპს "სპეცკავშირშენის" წარმომადგენელია. აქვს კავშირგაბმულობის სფეროში მუშაობის გამოცდილება.

მოწმემ განმარტა, რომ 2013 წლის დასაწყისში იმჟამინდელ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას შეხვდა და გააცნო იდეა, რომლის მიხედვითაც, თავდაცვის სამინისტროს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საკომუნიკაციო ქსელი სრულიად უსასყიდლოდ ექნებოდა. კერძოდ, დაგეგმილი ჰქონდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის გაკეთება და თავდაცვის სამინისტროსთვის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, სრულიად უსასყიდლოდ მისთვის საჭირო ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის წვერების მიცემა. აღნიშნული შეთანხმება როგორც თავდაცვის სამინისტროსთვის, ასევე შპს "სპეცკავშირშენისთვის" მომგებიანი იყო. მოწმის განმარტებით, თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრს ირაკლი ალასანიასაც მოეწონა იდეა და ავთანდილ ჭოლოკავას შეპირდა, რომ საკონტაქტო პირს გამოყოფდა, რომელთანაც დეტალების დაზუსტება მოხდებოდა. მიუხედავად დაპირებისა, თითქმის ერთი თვის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროდან ავთანდილ ჭოლოკავას არავინ შეხმიანებია, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი გენერალური შტაბის უფროსს და j-6 კავშირგაბმულობის დეპარტამენტის უფროსს, ბრალდებულ ნუგზარ კაიმაურს შეხვდა,

რომლებსაც ასევე გააცნო მისი გეგმის შესახებ. ამის შემდეგ, ავთანდილ ჭოლოკავა სისტემატურად უკავშირდებოდა ნუგზარ კაიმაურს, თუმცა მისგან გამუდმებით ისმენდა, რომ ხელმძღვანელობას ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიუღია.

საქმის არსებითი განხილვისას ასევე დაიკითხა გურია შენგელია შპს „სპეცკავშირშენის“ საპროექტო ბიუროს დირექტორი.

გურია შენგელიას განცხადებით, 2013 წელს მათ დაუკავშირდა ყოფილი “აიეტის”, ამჟამად „სუპერ ტვ“-ის წარმომადგენელი გოჩა ვაშაძე, რომელსაც სურდა საქართველოს ტერიტორიის ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალით დაქსელვა.

ამის შემდეგ, შენგელიას განმარტებით, მისი უფროსი, „სპეცკავშირშენის“ ხელმძღვანელი ავთანდილ ჭოლოკავა შეხვდა თავდაცვის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელ ირაკლი სესიაშვილს და თავისი იდეა გააცნო, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: თუ თავდაცვის სამინისტროს დახმარებით საჭირო ტერიტორიაზე მაგისტრალის გაყვანის ნებართვებს მოიპოვებდნენ, სუპერ ტვ მზად იყო ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალიდან თავდაცვის უწყებისთვის სრულიად უსასყიდლოდ იმდენი წვერი დაეთმო, რამდენიც ამ უკანასკნელს დასჭირდებოდა. თუმცა, მოწმის განმარტებით, მას „სუპერ ტვ“-სთან წვერების კონკრეტულ რაოდენობასა და დეტალებზე არ უსაუბრია.

ამის შემდეგ, მოწმის ჩვენებით, ავთანდილ ჭოლოკავამ მას უთხრა, რომ სესიაშვილთან ერთად თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას შეხვდა და ეს ინიციატივა პირადად გააცნო, ასევე იდეა დაუტოვა წერილობითი ფორმითაც. მისივე თქმით, ჭოლოკავამ უთხრა, რომ იგი გაერთიანებული შტაბის კავშირგაბმულობის დეპარტამენტის ხელმძღვანელ კაიმაურსაც შეხვდა.

მოწმემ სასამართლოზე განაცხადა, რომ ჭოლოკავას ზემოხსენებულ საკითხზე შეხვედრა ჰქონდა გენშტაბის ხელმძღვანელ ვახტანგ კაპანაძესთანაც.

შენგელიას განცხადებით, ზემოხსენებულ შეხვედრებზე საუბრებიდან გამომდინარე მათ ჰქონდათ მოლოდინი, რომ თავდაცვის უწყება ზემოხსენებულ იდეას მოიწონებდა და ეს “ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი” საქმე განხორციელდებოდა, თუმცა სამინისტროდან გამოხმაურება იგვიანებდა და ბოლოს მიუვიდათ საიდუმლო წერილი იმის შესახებ, რომ სამინისტრო 8-წვრიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის შექმნისთვის აცხადებდა კონკურსს და მასში მონაწილეობის მიღების მიზნით “სპეცკავშირშენსაც” იწვევდა.

შენგელიას თქმით, საიდუმლო საკონკურსო წინადადება პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის წარდგენისთვის ძალიან ცოტა დროს აწესებდა, თუმცა მან თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე მაინც მოასწრო პროექტის შედგენა. ამასთან, ამბობს, რომ ჭოლოკავას პოზიციით, ეს იყო ფარსი და კონკურსში მონაწილეობას აზრი არ ჰქონდა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ

თავდაცვის სამინისტროსთან არსებული კარგი ურთიერთობების გაფუჭება არ უნდოდათ, კონკურსში მონაწილეობა მაინც გადაწყვიტეს.

პროცესზე დაიკითხა ლევან ბუჩუკური (კომპანია „სილქნეტის“ გენერალური დირექტორი). მოწმემ განაცხადა რომ მის კომპანიასა და სამინისტროს შორის არანაირი უკანონო გარიგება არ მიმდინარეობდა, ასევე არ ქონია დაუმსახურებელი უპირატესობის მინიჭებას ადგილი.

პროცესზე ასევე დაიკითხა ალექსი ბატიაშვილიც, რომელიც 2013 წლის 22 ნოემბრიდან 2014 წლის 4 ნოემბრამდე თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო. მოწმემ განმარტა, რომ „სილქნეტთან“ შეთანხმებული პროექტი შეიარაღებული ძალებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ამასთან მან იცოდა, რომ ფასთა გამოკითხვა იყო გაკეთებული და თანხმდებოდა ხელშეკრულების პირობები „სილქნეტსა“ და სამინისტროს შორის. მოწმის განმარტებით, ხელშეკრულების ხელმოწერამდე ის გაეცნო იმ დოკუმენტებს, რომელიც საფუძვლად ედო ხელშეკრულებას და საჭიროდ მიიჩნია რომ ეს ხელშეკრულება დადებულიყო.

7. სასამართლოს გადაწყვეტილება

2016 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ხუთივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით ვადით, მათ ასევე 2 წლის ვადით ჩამოერთვათ საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება.

2017 წლის 26 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულებისთვის წარდგენილი მუხლი - გაფლანგვა სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად გადააკვალიფიცირა, რითაც სასჯელის ოდენობა შემცირდა. გადააკვალიფიცირებული მუხლით თავდაცვის ყოფილ მაღალჩინოსნებს 1 წლითა და 6 თვით პატიმრობა განესაზღვრათ.

2017 წლის 27 იანვარს მსჯავრდებულები საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა.

8. ჩვენი დაკვირვება

ამ საქმესთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ იგი არასამთავრობო სექტორის მიერ შეფასდა, არამარტო ფორმალური კუთხით, არამედ ასევე მხედველობაში იქნა მიღებული მისი გარკვეული შინაარსობრივი ასპექტებიც.

აღნიშნული საქმის განვითარებას საზოგადოება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აკვირდებოდა და უნდა ითქვას, რომ როგორც ბრალის წარდგენის ეტაპი, ასევე პროცესის მიმდინარეობისას განვითარებული მოვლენები საზოგადოებაში აჩენდა კითხვებს ბრალის დასაბუთების, აღკვეთის ღონისძიების საფუძვლიანობის, საქმეში უტყუარი მტკიცებულებების არსებობისა და საქმის სამართლიანი განხილვის შესახებ. საერთო ჯამში, ამ გარემოებებმა შექმნა არასრულფასოვანი მართლმსაჯულების განხორციელებისა და პროცესის პოლიტიზირების განცდა.

ხსენებულ ეჭვებს საწყისი ეტაპიდანვე აძლიერებდა საქმის განვითარების პარალელურად არსებული კონტექსტი და ვითარება. ბრალის წარდგენას წინ უსწრებდა ღია დაპირისპირება მაშინდელ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასა და ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს შორის, რაც საბოლოოდ ირაკლი ალასანიას გადადგომით დასრულდა. პროცესის მიმართ უნდობლობა ასევე გაზარდა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების განცხადებებმაც. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ყოფილი პრემიერ მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ინფორმირებულობა საქმის დეტალების შესახებ, მაშინ როდესაც საქმის ნაწილს იმ მომენტისთვის გრიფი საიდუმლო ედო. საზოგადოებისთვის გაუკრვეველი დარჩა რატომ და რა გზებით ფლობდნენ ინფორმაციას საქმის დეტალების შესახებ პირები, რომლებიც გამოძიებაში არ იყვნენ ჩართულები და საქმის მასალებზე წვდომა არ უნდა ჰქონოდათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველად “კაბელების საქმეს” პროკურატურის გადაწყვეტილებით სრულად მიენიჭა გრიფით საიდუმლოს სტატუსი, რის შედეგადაც დაცვის მხარეს სისხლის სამართლის მასალებზე დაშვება გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეფერხებული ჰქონდა. აღნიშნულს სახალხო დამცველიც გამოეხმაურა და მოუწოდა პროკურატურას მოეხდინა საქმის მხოლოდ იმ მასალის გასაიდუმლოება, რომელიც შეიცავდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას, სხვა დანარჩენი კი საჯარო უნდა ყოფილიყო, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო დაცვის მხარისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა.

მნიშვნელოვანია, რომ შემდგომში მოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალის ნაწილს მოეხსნა გრიფი საიდუმლო, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გრიფი საიდუმლო მოიხსნა 2014 წლის 25 ნოემბერს, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულების მიმართ დაიწყო 2014 წლის 28 ოქტომბერს და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დაცვის მხარე არ იცნობდა საქმის მასალებს. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ

მოცემულ პერიოდში დაცვის მხარეს არ ჰქონდა კანონმდებლობით გარანტირებული დაცვის უფლების სრულად რეალიზაციის შესაძლებლობა.

რაც შეეხება წარდგენილ ბრალდებას, პროკურატურა თავდაცვის სამინისტროს მოხელეებს ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხების გაფლანგვას ედავება. ამასთან მიმართებით კითხვებს ბადებდა რამდენიმე გარემოება:

- მსჯავრდებულების თანამდებობები და მათი სამსახურებრივი სტატუსი მიუთითებს, რომ ისინი არ წარმოადგენენ თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი რანგის თანამდებობის პირებს, ამდენად მათ უშუალო მფლობელობასა და გამგებლობაში ვერ იქნებოდა ის ქონებრივი სიკეთე, რომლის გაფლანგვაზეც პროკურატურა აპელირებდა.
- მსჯავრდებულების თანამდებობების მიხედვით ისინი ასევე მოკლებული იქნებოდნენ შესაძლებლობას საბოლოო გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიეღოთ. ამდენად გაურკვეველია რა საფუძვლით გამორიცხა ამ საქმეში პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაშინდელი მაღალი თანამდებობის პირების შესაძლო ჩართულობა და რატომ არ დაუსვა არც ერთი შეკითხვა ყოფილ თავდაცვის მინისტრს.
- როგორც ცნობილია, „კაბელების პროექტი“ საქართველოს მთავრობის მიერ იქნა განხილული და დამტკიცებული, თანხა კი გადაირიცხა ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ საქმეში მსჯავრდებული პირების ჩართულობის ხასიათზე და ხარისხზე და ასუსტებს პროკურატურის არგუმენტაციას.
- წარდგენილი ბრალი სათანადო ხარისხითა და დამაჯერებლობით ვერ ასაბუთებს მსჯავრდებულების ანგარებით მოტივებს და განზრახვებს, რაც ამ ტიპის დანაშაულის ბრალად შერაცხვისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ხსენებული სამართლებრივი გარემოებები და წარდგენილ ბრალთან დაკავშირებული კითხვები, ასევე მსჯავრდებულების დაკავების წინაპირობები და საქმის განვითარების დროს არსებული კონტექსტი, საქმის განხილვის პერიოდში გამოვლენილ ცალკეულ ხარვეზებთან ერთად ერთობლიობაში ქმნის განცდას, რომ „კაბელების საქმეში“ მართლმსაჯულება არასათანადოდ და მიკერძოებულად განხორციელდა, რაც შესაძლოა პოლიტიკური გავლენებით ყოფილიყო განპირობებული.

მნიშვნელოვანია რომ ამ პრობლემური საკითხების ნაწილი შემდგომში მხედველობაში იქნა მიღებული სააპელაციო სასამართლოს მიერ, რომელმაც შეცვალა ქმედების კვალიფიკაცია და შესაბამისად შეუმცირა სასჯელი მსჯავრდებულებს.

რაც შეეხება პროცესის წარმართვის პროცედურულ მხარეს გამომდინარე იქიდან, რომ თავდაპირველად საქმეს ედო გრიფით საიდუმლო, დამკვირვებლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, დასწრებოდნენ პროცესის მიმდინარეობას, ამასთან გამომდინარე იქიდან, რომ სრულად არ მოეხსნა საქმეს გრიფით საიდუმლოს სტატუსი, არსებითი განხილვის დროსაც ხშირი იყო შემთხვევები, როცა საქმის განხილვა იხურებოდა. სხვა შემთხვევებში მედიას არ შექმნია პრობლემა პროცესების გაშუქებაზე, ასევე ძირითადად უზრუნველყოფილი იყო წესრიგი დარბაზში.

მიხეილ სააკაშვილი (სახელმწიფო კუთვნილი ქონების გაფლანგვის საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

მიხეილ სააკაშვილი - საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი

თეიმურაზ ჯანაშია - სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი

სამსახურობრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვა.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, 2009 წლის თებერვალში, მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოში მოწვეული იქნა მასაჟისტი რომელმაც მიხეილ სააკაშვილს გაუწია შესაბამისი მომსახურება. სამომავლოდ პრეზიდენტის ხარჯების შესახებ მსგავსი ინფორმაციის საზოგადოებაში გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, 2009 წლის აპრილში, მიხეილ სააკაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, მისი პირადი მიზნებისათვის საჭირო თანხების გასაიდუმლოებული ფორმით ხარჯვის თაობაზე. მაშინ როდესაც მანამდე პრეზიდენტის ხარჯები იყო საჯარო და იგი ფინანსდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სსიპ „სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ სახსრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე მიხეილ სააკაშვილი ბიუჯეტიდან საჭირო თანხების მობილიზებას მოახდინა მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, საიდანაც საიდუმლო რეჟიმში განხორციელდებოდა მიხეილ სააკაშვილის პირადი მიზნებისათვის განკუთვნილი ხარჯების დაფინანსება.

პროკურატურის მტკიცებით, დანაშაულებრივი გეგმის განხორციელება დაევალა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელს თეიმურაზ ჯანაშიას. თეიმურაზ ჯანაშიას

მეშვეობით, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით, მიხეილ სააკაშვილის მიერ პირადი მიზნებისათვის ბიუჯეტის კუთვნილი თანხების ხარჯვა შეინიღბა როგორც ფარული ხარჯები. „საიდუმლო“ პატაკებით ახორციელებდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი. ხსენებულ პატაკებს გრიფი „საიდუმლო“ ენიჭებოდა „სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის“ მოთხოვნათა დარღვევით, ვინაიდან არცერთი ზემოაღნიშნული პატაკი და მასზე თანდართული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შეიცავდა სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას.

პროკურატურის მითითებით, მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას შორის შეთანხმებისა და პრეზიდენტის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად, 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ მისთვის და სხვადასხვა ფიზიკური პირებისათვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გაწეული მომსახურებისთვის, საიდუმლო ფორმით, გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 837 461 ლარი.

3. გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების წინა ანგარიშებში მოცემული მნიშვნელოვანი ფაქტები და შეფასებები

2014 წლის 3 სექტემბერს სააპელაციო სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეცვალა პირველი ინსტანციის 29 აგვისტოს განჩინება. ყადაღა დაადო არა მხოლოდ ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის, არამედ მასთან დაკავშირებული პირების ქონებას და ბრალდებულის საბანკო ანგარიშებს.

პროკურატურა მოითხოვდა ყადაღა დადებოდა როგორც ბრალდებულის, ასევე მასთან დაკავშირებული პირების ქონებასა და საბანკო ანგარიშებს. პირველმა ინსტანციამ საბანკო ანგარიშების დაყადაღების ნაწილში შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ პროკურატურას არ წარმოუდგენია რაიმე სახის დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა, საერთოდ ჰქონდა თუ არა ბრალდებულს ფულადი თანხები ან სხვა ფასეულობები მითითებულ ბანკებში. შესაბამისად ის აბსტრაქტულ საბანკო ანგარიშებზე ყადაღას ვერ დაადებდა. თუმცა, ამის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოში მოსამართლემ აღნიშნული არგუმენტი არ გაიზიარა და დამატებით ბრალდებულის საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაადო.

პირველმა ინსტანციამ პროკურორის არგუმენტაცია ბრალდებულთან დაკავშირებული პირების ქონების დაყადაღების შესახებ დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ გაიზიარა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „მხოლოდ ბრალდებულთან დაკავშირებული პირების და მათი ქონების არსებობა არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მოცემულ ქონებაზე ყადაღის დასადებად“. ამისთვის

აუცილებელი იყო კონკრეტული მტკიცებულებების წარდგენა. პირველი ინსტანციის მოსამართლემ, ასევე, აღნიშნა, რომ ბრალდების მხარის მტკიცება, თითქოს ბრალდებულის ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული ქონება არ შეესაბამება და მნიშვნელოვნად აღემატება მათ მიერ მიღებულ კანონიერ შემოსავალს, ვერ დასტურდება, რადგან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებით არ იქნა წარმოდგენილი. ასევე, არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე ინფორმაცია ხსენებული პირების კანონიერი შემოსავლის ოდენობისა და მათი სტატუსის თაობაზე, რათა სასამართლოს აღნიშნულის საფუძველზე ჰქონოდა შესაძლებლობა დაესკვნა, რომ აღნიშნული ქონება შესაძლებელია მოპოვებული ყოფილიყო დანაშაულებრივი გზით. საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ ყადაღა დაადო მხოლოდ ბრალდებულის ქონებას და უარი თქვა ბრალდებულის საბანკო ანგარიშების და მასთან დაკავშირებული პირების ქონებაზე ყადაღის დადებაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლომ კი დააყადაღა როგორც მიხეილ სააკაშვილის საბანკო ანგარიშები, ასევე მისი მეუღლის, შვილების, დედის, მამის და ბების ქონებაც (თუმცა, პროკურატურის შუამდგომლობა სრულად არც სააპელაციო სასამართლოს დაუკმაყოფილებია).

არცერთმა ინსტანციამ არ გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა იმ ნაწილში, რომელშიც მოთხოვნილი იყო მემკვიდრეობით მიღებული ან 2009 წლის სექტემბრამდე შეძენილი ქონების დაყადაღება, რადგან წარდგენილ საქმეში გამოძიება ბრალდებულს ედავებოდა 2009 წლის სექტემბერიდან 2013 წლის 25 თებერვლამდე ჩადენილ ქმედებებში.

მიხეილ სააკაშვილის მიმართ პროკურატურას აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თხოვნით სასამართლოსთვის არ მიუმართავს, ხოლო თეიმურაზ ჯანაშიას 20 000 ლარიანი გირაო შეეფარდა.

აღნიშნულ საქმეში, რიგ შემთხვევებში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ იზიარებდა პირველი ინსტანციის პოზიციას და აღნიშნავდა, რომ ბრალდებულთან დაკავშირებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების ფაქტობრივი (მტკიცებულებები) საფუძველები არ იყო საკმარისი მათ ქონებაზე ყადაღის დასადებად. დამკვირვებლის თვალით არგუმენტირებულობა აკლდა იმ გარემოების დასაბუთებას, რომ ბრალდებული ან მასთან დაკავშირებული პირები გადამალავდნენ/დახარჯავდნენ ქონებას ან ქონება დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული. მხოლოდ ბრალდებულთან დაკავშირებული პირების მიერ გარკვეული ქონების მესაკუთრეობა არ წარმოადგენდა საკმარის საფუძველს მოცემულ ქონებაზე ყადაღის დასადებად.

3. საანგარიშო პერიოდში საქმეზე წარმართული პროცესის მიმოხილვა

3.1 პროცესზე დაკითხული მოწმეები

პროცესზე დაიკითხა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მოქმედი და ყოფილი რამდენიმე თანამშრომელი. მოწმეებმა აღწერეს თუ როგორ და ვისი დავალებით ხდებოდა ფონდიდან თანხის დახარჯვა. მოწმეთა განმარტებით მათ იცოდნენ რომ დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია საიდუმლო იყო, შესაბამისად იცავდნენ ამ წესს და ასრულებდნენ მითითებებს.

ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ მაგალითად, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ სტილისტთან იჭრიდა თმას პრეზიდენტი შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული მის უსაფრთხოებასთან და შესაბამისად რაციონალური იყო მისი გასაიდუმლოება, თუმცა ასეთი ინტერესი შეიძლება არ ყოფილიყო სხვა ზოგიერთ ხარჯთან დაკავშირებით, როგორც იყო მაგალითად სხვადასხვა საჩუქრების ყიდვა კონკრეტული პირებისთვის.

3.2 მხარეთა მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის განხილვისას ბრალდების მხარემ მოითხოვა დაუშვებლად იქნეს ცნობილი დაცვის მხარის მიერ მოპოვებული გარკვეული დოკუმენტები, წერილები იმ მოტივით, რომ ისინი არ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული.

ბრალდების მხარე ასევე ითხოვდა დათვალიერების ოქმის დაუშვებლად ცნობას, რადგან იგი არ იყო კანონის წესების დაცვის შედეგნილი. ბრალდებამ ასევე მოითხოვა მოწმეთა სიიდან ამოღება, რადგან პროკურატურას დაცვის მხარემ არ გადასცა გამოკითხვის ოქმები.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა წერილების დაუშვებლად ცნობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ დაცვის მხარეს შეუძლია საკუთარი ხარჯებით მოიპოვოს მტკიცებულებები. წერილის თარგმნასთან დაკავშირებით არსებობდა უზუსტობები, მაგრამ სასამართლოს შეფასებით, ეს არ ქმნიდა ამ ეტაპზე მათი დაუშვებლად გამოცხადების საფუძველს. ამასთან დოკუმენტები რელევანტური იყო საქმესთან და ეხმარებოდა დაცვის მხარეს თავის სტრატეგიის განხორციელებაში.

სასამართლომ ასევე დასაშვებ მტკიცებულებად ცნო ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც შეფასებული იყო ხარჯების მიზნობრიობა, ასევე აუდიტის სამსახურის დასკვნა ამავე საკითხზე.

დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სრულად გაუქმების შესახებ, დაცვის მხარის განმარტებით არ არსებობს ის საფუძველი, რომლის გამოც თეიმურაზ ჯანაშიას დაეკისრა 20 000 ლარი გირაო, ასევე დამატებითი ღონისძიებები, რომელშიც იგულისხმებოდა გამოძიების დასრულებამდე ყოველ 10 დღეში დაფიქსირება შესაბამის ორგანოში, ქვეყნის არ

დატოვება და არსებული პასპორტების ჩაბარება. დაცვის მხარის მითითებით, გამოძიება დასრულდა და ყველა მისთვის დაკისრებული მოქმედებები შეასრულა ბრალდებულმა.

დაცვის მხარემ ასევე დააყენა შუამდგომლობა ყადაღა მოეხსნოდა მიხეილ სააკშვილისა და სხვა მის ახლობელი პირების ქონებას. დაცვის მხარის განმარტებით, მიხეილ სააკშვილი ბრალდებულია გაფლანგვისთვის და არა მითვისებისთვის, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანი სხვაობაა. დაცვის მხარის განმარტებით, შეუძლებელია გაფლანგული ქონებით შეეძინა ბრალდებულს დაყადაღებული ქონებები.

დაცვის მხარის განმარტებით, სახეზე გვაქვს გადაწყვეტილება, რომლითაც იზღუდება ბრალდებულის უფლება. შესაბამისად მხარეს შეუძლია შუამდგომლობის დაყენება.

ბრალდების მხარემ ყადაღის მოხსნასთან დაკავშირებით ორივე ბრალდებულთან მიმართებით აღნიშნა, რომ არ არსებობს არანაირი სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც ბრალდებულებისა და მათთან დაკავშირებული პირების ქონებას ყადაღა უნდა მოეხსნას. ბრალდების მხარემ მიუთითა, რომ თავის დროზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყადაღის დადების თაობაზე მათ გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში და მოსამართლემ დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღო, თუ რატომ უნდა დაედოს ამ ქონებებს ყადაღა. მას შემდეგ არ დამდგარა რაიმე ახალი გარემოება.

რაც შეეხება ბრალდებულ თეიმურაზ ჯანაშიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გირაოსა და მასთან ერთად არსებული დამატებითი ღონისძიებების გაუქმების საკითხს, ბრალდების მხარემ აღნიშნა, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, შეცვლის ან გაუქმების საკითხებს ამომწურავად ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, აღკვეთი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების საფუძველია თვისობრივად ახალი გარემოების არსებობა. დაცვის მიერ დასახელებული არგუმენტები, რომ მტკიცებულებები უკვე საქმეშია დართული და მისი შეცვლის საფრთხე არ არსებობს ასეთად ვერ იქნება მიჩნეული. ამასთან ბრალდების მითითებით, კვლავაც არსებობდა მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის რისკი და აუცილებელი იყო აღკვეთის ღონისძიება ძალაში დარჩენილიყო.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ყადაღის მოხსნის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს ეს საკითხი ამ ეტაპზე.

სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა გირაოს გაუქმების შესახებ შუამდგომლობა რადგან თვისებრივად არანაირ ახალ გარემოებას არ ჰქონია ადგილი, რომელიც სასამართლოს მისცემდა საშუალებას გაეუქმებინა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება.

წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარე არ დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის შესახებ და განმარტა, რომ არ არსებობდა ურთიერთშეთავსებული და დამაჯერებელი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით დაადასტურებდა ბრალდებულების მიერ დანაშაულის ჩადენას.

დაცვის მხარის მტკიცებით, პრეზიდენტის ფონდში იყო გამოყოფილი თანხები და პრეზიდენტს შეეძლო კანონის საფუძველზე განეკარგა ისინი. დღევანდელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებიც ცხადია, ასევე ხარჯავენ გარკვეულ თანხებს მივლინებების დროს, თუმცა არცერთი მათგანის მიმართ ამის გამო სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებული. დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ ყოფილი პრეზიდენტის მიმართ მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა.

ბრალდებული საჯაიას ადვოკატმა განაცხადა, რომ ქმედება, რომლის ჩადენასაც ედავებიან მისი დაცვის ქვეშ მყოფს, საერთოდ არ წარმოადგენს დანაშაულს, რადგან იგი მოქმედებდა პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად და არ ჰქონდა უფლება გადაეხედა პრეზიდენტის განკარგულება.

სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და მიიჩნია, რომ საკმარისი მტკიცებულებებია იმისთვის, რომ საქმე გადაცეს არსებითი განხილვისთვის.

აღსანიშნავია, რომ 2016 18 აპრილის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა თეიმურაზ ჯანაშიას და გიული ალასანიას კონსტიტუციური სარჩელი.

მოსარჩელებს მიაჩნდათ, რომ სადავო ნორმით დადგენილი ქონებაზე ყადაღის დადების წესი იყო ბუნდოვანი, არ ახდენდა იმის ზუსტ განსაზღვრას, ვისი ქონება, რა გარემოებების არსებობისას და რა მიზნით შეიძლება დაყადაღებულიყო.

სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა ითვალისწინებს მხოლოდ იმ ქონებაზე ყადაღის დადების შესაძლებლობას, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით შეიძლება დაექვემდებაროს ჩამორთმევას. გახარჯვის ან გადამალვის საფრთხესთან ერთად, კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში აუცილებელია კუმულაციურად იმის მტკიცებაც, რომ იგი შესაძლოა დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. სასამართლოს განმარტებით ქონების გახარჯვის ან გადამალვის საფრთხის პარალელურად ქონებაზე ყადაღის დადებისთვის აუცილებელია მისი შესაძლო დანაშაულებრივი გზით მოპოვების მტკიცება, მაგრამ არა პირიქით.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტისას თანაბრად გაიყო გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეთა ხმები, შესაბამისად სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ჯანაშიას და მისი ვაჟების სახელზე გაფორმებულ ქონებაზე ყადაღის მოხსნის თაობაზე. დაცვის მხარის განმარტებით, ყადაღის გადასინჯვის მიზანშეწონილობის საკითხს ხაზი გაესვა საკონსტიტუციო სასამართლოს 18 აპრილის გადაწყვეტილებით. ყადაღის პერიოდულად გადახედვის შეზღუდვაში საკონსტიტუციო სასამართლომ დაინახა ნორმების არაკონსტიტუციურობა. ასევე, განსხვავებულ აზრში საკონსტიტუციო სასამართლოს 2-მა მოსამართლემ მიუთითა სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობაზე.

პროკურატურა არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განმარტა, რომ მოსარჩელის კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა შესაბამისად, გაუგებარი იყო რის საფუძველზე ითხოვდა იგი გამოყენებული ყადაღის გაუქმებას.

მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ შუამდგომლობა დასაბუთებულია და არ იქნა პროცესუალურად სწორ დროს დაყენებული. მოსამართლის განმარტებით, ამგვარი შუამდგომლობა შეიძლება დადგეს დასკვნითი სიტყვის ეტაპზე.

დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქმეს დაერთოს დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ თეიმურაზ ჯანაშიას წინამორბედი და შემდეგ მყოფი იგივე თანამდებობის პირებიც იგივე სტილით აგრძელებენ საქმიანობას. აღნიშნულით, დაცვის მხარის მტკიცებით, დასტურდება, რომ საქმე გვაქვს შერჩევით მართლმსაჯულებასთან და თეიმურაზ ჯანაშია იდევნება პოლიტიკური ან სხვა მოტივაციით.

პროკურატურა არ დაეთანხმა შუამდგომლობას, რადგან ამ მტკიცებულებას კონკრეტულ საქმესთან არ აქვს შემხებლობა.

სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და განმარტა, რომ მართალია სასამართლო იხილავს კონკრეტული პირის მიერ კონკრეტულ დროის მონაკვეთში არსებულ საქმეს, თუმცა არსებული სინამდვილის გასარკვევად, ეს ინფორმაცია დაეხმარება სასამართლოს.

დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე. მხარის განმარტებით, არსებობს გარემოებები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის ობიექტურობას. დაცვის მხარის მითითებით, დაცვის მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტების (საკაკაშვილის და კუხერაშვილის ინტერესების სასარგებლოდ გამოტანილი ინტერპოლის გადაწყვეტილება და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დადგენილება პოლიტიკურ დევნაზე) მტკიცებულებად არ დართვა, მიუთითებს მოსამართლის მიკერძოებულობაზე. მხარის განმარტებით, მოსამართლეს არც კი უმსჯელია მტკიცებულებათა მოპოვების კანონიერებასა და ავთენტურობაზე ისე მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება.

პროკურატურა არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განმარტა, რომ მოსამართლის აცილების მოთხოვნა იმის გამო, რომ მისი გადაწყვეტილება მხარეს არ მოეწონა, დაუშვებელია.

მოსამართლის გადაწყვეტილებით შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, მოსამართლის შეფასებით, წარდგენილი მტკიცებულებები საქმეს არ დაერთო, რადგან არ იყო რელევანტური საქმისთვის, შესაბამისად მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერ გახდებოდა საკმარისი საფუძველი მისი მიკერძოებულობის სამტკიცებლად.

საქმის განხილვის მიმდინარეობისას თეიმურაზ ჯანაშიას ინტერესების დამცველი ადვოკატი, ბექა ბასილაია კენჭს იყრიდა საპარლამენტო არჩევნებში, შესაბამისად ვერ მონაწილეობდა სასამართლო განხილვაში, საქმეში ჩაერთო ახალი ადვოკატი - შოთა კახიძე. ახლად ჩართულმა ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა განსაზღვრულიყო გონივრული ვადა იმისთვის, რომ გაცნობოდა საქმის მასალებს. მისი განმარტებით, მას ამისთვის რამდენიმე თვე მაინც დასჭირდებოდა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ საქმე მოცულობითია, განხილვა რამდენიმე თვით ვერ გადაიდება, რადგან ეს გამოიწვევს პროცესის გაჭიანურებას, შესაბამისად სხდომა გადაიდო ერთი თვით.

4. ჩვენი დაკვირვება

ჩვენი შეფასებით ბრალდებულთან დაკავშირებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების ფაქტობრივი (მტკიცებულებები) საფუძველები არ იყო საკმარისი მათ ქონებაზე ყადაღის დასადებად. დამკვირვებლის თვალთ არგუმენტირებულობა აკლდა იმ გარემოების დასაბუთებას, რომ ბრალდებული ან მასთან დაკავშირებული პირები გადამალავდნენ/დახარჯავდნენ ქონებას ან ქონება დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული. მხოლოდ ბრალდებულთან დაკავშირებული პირების მიერ გარკვეული ქონების მესაკუთრეობა არ წარმოადგენდა საკმარის საფუძველს მოცემულ ქონებაზე ყადაღის დასადებად. ამასთან კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა განსაზღვრულ პროცედურას ყადაღის გადასახედად, თუ არსებობს რაიმე ახალ აღმოჩენილი გარემოება.

სხვა მხრივ, პროცესი მიმდინარეობდა ჩვეულ რეჟიმში და რაიმე ისეთ დარღვევას არ ჰქონია ადგილი, რაც მხარეთა თანასწორობაზე არსებით გავლენას იქონიებდა.

მედიას ეძლეოდა შესაძლებლობა გადაეღო პროცესის მიმდინარეობა.

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

მიხეილ სააკაშვილი - სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, მოხდა სანდრო გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, გამოძიების გაყალბება, დანაშაულში ჩართული მაღალი თანამდებობის პირებისთვის ხელის დაფარება და მათთვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდება. 2006 წლის 27 იანვარს, ქ. თბილისში, კაფე-ბარ „შარდენბარში“, ალექსანდრე გირგვლიანს სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდა შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის მეუღლის თამარ მერაბიშვილის (სალაყიას) და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დავით ახალაიას სუფრის წევრ თ.მ.-სთან, რის გამოც, დავით ახალაიას დავალებით, ადგილზე გამოძახებულმა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სანდრო გირგვლიანი და მისი მეგობარი ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომანქანაში, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და გაიტაცეს ქალაქგარეთ, ოქროყანის სასაფლაოზე. გამტაცებლებმა ალექსანდრე გირგვლიანი და მისი მეგობარი გააშიშვლეს ძლიერ ყინვაში და სასტიკად ცემეს. ნაწამები ალექსანდრე გირგვლიანის გვამი ნანახი იქნა ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

3. საანგარიშო პერიოდში საქმეზე წარმართული პროცესის მიმოხილვა

3.1 პროცესზე დაკითხული მოწმეები

პროცესზე დაკითხა კუდის უფროსის ყოფილი მოადგილე ოლეგ მელნიკოვი. მოწმემ აღწერა სანდრო გირგვლიანი მკვლელობამდე „შარდენ ბარში“ განვითარებული მოვლენები. მოწმის ჩვენების თანახმად, ვანო მერაბიშვილის მეუღლემ თავო სალაყიამ დათა ახალაიას უთხრა, რომ მის მეგობარს აწუხებდნენ და დახმარებოდა. ამის შემდეგ მელნიკოვს დათა ახალაიამ აჩვენა გვერდით მაგიდასთან მჯდომი 2 პიროვნება და დაავალა, როცა გავიდოდნენ გაყოლოდა და მათ შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა სპეციალურად დაბარებული პირებისთვის. როცა გარეთ გავიდნენ ვერცხლისფერი ML გამოჩნდა, საიდანაც გადმოვიდა 2 პიროვნება, რომლებსაც

დავალებისამებრ აჩვენა ბარიდან გამოსული პირები. ამის შემდეგ ის ბარში დაბრუნდა და რამდენიმე დღეში გაიგო ერთ-ერთი პიროვნების სიკვდილის შესახებ.

მოწმის ჩვენების თანახმად, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ, ამ საქმეში ვანო მერაბიშვილი აქტიურად ჩაერთო, რომელსაც დათა ახალაია აიძულებდა, რომ ყველაფერს მოაგვარებდა.

მოწმემ ასევე აღწერა, რომ დათა ახალაია შეხვდა ზურაბ ადეიშვილს, რომელმაც მას უთხრა, რომ მკვლელობაში მონაწილე ერთ-ერთი პირი გია ალანია ციხეში უნდა წასულიყო, ამის შემდეგ დათა ახალაია ამშვიდებდა ალანიას, რომ ციხეში კარგი პირობები იქნებოდა და ასევე სააკაშვილი მას მალე შეიწყალებდა. მოწმის ჩვენებით, გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებული პირები დაპირებისამებრ ციხეში კარგ პირობებში იმყოფებოდნენ. მათ ასევე მიიღეს 100 000 ლარი დუმილისთვის.

ჯვარედინი დაკითხვისას მელნიკოვმა კითხვაზე, თუ რატომ მისცა თავის დროზე ცრუ ჩვენება, უპასუხა, რომ სიმართლის თქმის შემთხვევაში მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა. მას ეშინოდა ახალაიების.

პროცესზე ასევე დაიკითხა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი ავთანდილ აფციაური. მოწმის ჩვენების თანახმად, მკვლელობიდან მე-2 დღეს მას გია ალანია დახვდა სამსახურში, რომელმაც უთხრა რომ ნაპოვნი გვამი გირგვლიანის იყო, რომელმაც გაქცევა დააპირა და გადავარდა თვითონ ხრამში. ამის შემდგომ დათა ახალაიამ მისცა პირობა რომ მათ არავინ შეეხებოდა, თუმცა საზოგადოებაში საქმის დეტალების გახმაურების შემდგომ ეს პირობა შეიცვალა და მათ უთხრეს რომ ერთი წლით მოუწევდათ ციხეში წასვლა. მათ ასევე ახალაისგან მიიღეს პირობა, რომ მალევე გამოვიდოდნენ ციხიდან შეწყალებით, ასევე ისინი საჩუქრად მიიღებდნენ 100 000 ლარს.

მოწმის განმარტებით დაპატიმრების შემდგომ იგი ორი დღე იზოლატორში იყო, ამ პერიოდში წაიყვანეს ორთაჭალის მიმართულებით, სადაც სუფრა გაიშლა, მათ დასახვედრად. თუმცა იმისა გამო, რომ ღამით ჟურნალისტებმა ჰქონდათ გარკვეული ინფორმაცია, სასწრაფოდ უკან დააბრუნეს. მოწმის ჩვენებით, ისინი მოთავსებული იყვნენ მე-7 იზოლატორის ბოლო სართულზე, სადაც საკნები არც იხურებოდა და მნახველების შემოსვლაც არ იყო შეზღუდული.

პროცესზე ასევე დაიკითხა შეწყალების კომისიის ყოფილი წევრი გიორგი ცაგარეიშვილი. მოწმემ განაცხადა, რომ პრეზიდენტის მიერ გირგვლიანის მკვლელების შეწყალების გამო მან პროტესტის ნიშნად დატოვა კომისია. მოწმემ განმარტა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა კომისიის გვერდის ავლით შეიწყალა აღნიშნული პირები. კომისიაზე არც კი განხილულა ეს

საკითხი, რადგან წინასწარვე ცნობილი იყო, რომ კომისიის წევრები ამ გადაწყვეტილებას მხარს არ დაუჭერდნენ.

პროცესზე ასევე დაიკითხა მოწმე რამაზ ჭოხონელიძე (სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულების სოციალური მუშაკი). მოწმის ჩვენებით, გირგვლიანის საქმეში მსჯავრდებული პირების სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადმოყვანამდე გამოყვეს წინასწარ 4 ოთახი, გაარემონტეს და სათანადოდ აღჭურვეს. 4 ოთახიდან 1 იყო სამზარეულო, დანარენი 3 საძინებელი იყო, კონდენციონერით, ორადგილიანი საწოლით. ასევე მათთან დაუბრკოლებლად შედიოდა ყველა მნახველი. მათ შეეძლოთ ტელეფონებით და კომპიუტერებით სარგებლობაც, რაც ზოგადად აკრძალული იყო.

მსგავსი ჩვენება მისცა ასევე მე-9 დაწესებულების დირექტორის პირველმა მოადგილემ მოწმე შოთა მახარაშვილმა.

3.2 მხარეთა მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქმეს დართვოდა ინტერპოლის გადაწყვეტილება, რომლითაც მიხეილ სააკაშვილზე ძებნის გამოცხადებაზე უარი იქნა ნათქვამი.

სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ ინტერპოლის ამ გადაწყვეტილებას შემხებლობა არ აქვს საქმესთან, გამომდინარე იქიდან, რომ ამ საქმეზე მიხეილ სააკაშვილს აღკვეთის ღონისძიება არ აქვს შეფარდებული.

დაცვის მხარე არ დაეთანხმა ბრალდების მხარის შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემაზე და წინასასამართლო სხდომაზე დააყენა შუამდგომლობას დევნის შეწყვეტის თაობაზე. დაცვის მხარის განმარტებით, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ მიხეილ სააკაშვილმა ჩაიდინა დანაშაული, არ კმაყოფილდება ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი, მის მიმართ მიმდინარეობს პოლიტიკურად მოტივირებული დევნა. წარმოდგენილ საქმეში არის მხოლოდ რამდენიმე მტკიცებულება, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტსაც ვერ აკმაყოფილებს. ეს საქმე მიზნად ისახავს, მიხეილ სააკაშვილის, როგორც დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტის განადგურებას.

ბრალდების მხარემ მიუთითა, რომ მხარე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა და მას საერთო არაფერი ჰქონდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან.

რის შემდგომაც მოსამართლემ მოუწოდა ადვოკატს, საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით ესაუბრა.

ადვოკატის განმარტებით, ცივილიზებული მსოფლიო აღიარებს, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა. მხარის განმარტებით, პრეზიდენტს შეწყალებაზე არ აქვს რაიმე სახის შეზღუდვა, მით უმეტეს, გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდებული პირები მიხეილ სააკაშვილს სრულად არც გაუთავისუფლებია და მათ სასჯელი გაუნახვერდათ. არც ერთი მსჯავრდებული (ბიბილურიძე, ალანია, ლაჭავა, აფციაური), არ მიუთითებს, რომ მათ პირადი შეხება ჰქონდათ მიხეილ სააკაშვილთან. მხოლოდ სხვებისგან იცოდნენ მიხეილ სააკაშვილის მიერ განხორციელებული მოქმედებების შესახებ.

არც ნინო ბურჯანაძისა და ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენებებიდან ირკვევა მიხეილ სააკაშვილის მიერ დანაშაულის ჩადენა, ამასთან ბურჯანაძე და ოქრუაშვილი მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტები არიან, შესაბამისად, დაცვის მხარეს დაუშვებლად მიაჩნია მათი ჩვენებების საფუძველზე მოხდეს ბრალის დამტკიცება.

ბრალდების მხარის პოზიციით დაცვის მხარის შუამდგომლობის უდიდესი ნაწილი გაჯერებული იყო პოლიტიკური განცხადებებით და მას სამართალთან შეხება არ ჰქონია. ამ საქმეზე არსებობს არაერთი განაჩენი: ახალაიას, ქოქიაშვილის მიმართ დ ა.შ, რომლებიც მიუთითებენ, რომ ეს წინასწარ შეპირებული სისტემური დანაშაული იყო. ბრალდების მხარემ ასევე მიუთითა, რომ აღნიშნულ საქმეზე არსებობს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილია საკმარისი, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი, ამიტომ სისხლისსამართლის დევნის შეწყვეტის საფუძველი არ არსებობს და საქმე გადაეცა არსებითად განსახილველად.

საქმეზე განაჩენი ჯერ არ დამდგარა, მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა

4. ჩენი დაკვირვება

პროცესის მიმდინარეობისას რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობას ხელყოფდა, არ გამოვლენილა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა ეძლეოდათ, წარმოედგინათ არგუმენტები და მტკიცებულებები, განხორციელებინათ საპროცესო მოქმედებები და დაეცვათ საკუთარი ინტერესები.

ზურაბ ადეიშვილი (კობა დავითაშვილის ცემის საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე დავით ქარსელაძე - თავისუფლების უკანონო აღკვეთის ორგანიზება და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის, კობა დავითაშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ნაცემ მდგომარეობაში გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანა, განხორციელდა სპეცდანიშნულების რაზმის წევრების მიერ, საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის, დავით ქარსელაძის დანაშაულებრივი გეგმითა და ორგანიზებით.

კერძოდ, 2007 წლის ნოემბერში, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობდა ოპოზიციის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციები. ბრალდების თანახმად, საქართველოს იმჟამინდელმა გენერალურმა პროკურორმა, ზურაბ ადეიშვილმა, თავისთან კაბინეტში დაიბარა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე დავით ქარსელაძე და დაავალა, რომ მისდამი დაქვემდებარებულ სპეცდანიშნულების რაზმსა და ოპერატიულ დანაყოფებს გაეკონტროლებინათ ისეთი ხალხმრავალი ადგილები, როგორც იყო ე.წ. „ელიავას“, „ვაგზლის“ და „ლილოს“ ბაზრობები და ადგილზე ოპოზიციის ლიდერების გამოჩენისთანავე აღეკვეთათ მათი მხრიდან ბაზრობის ტერიტორიაზე აგიტაციისა და მიტინგზე წასასვლელად ხალხის მობილიზების ფაქტები.

ზურაბ ადეიშვილისგან მიღებული დავალების შესაბამისად, დავით ქარსელაძემ, 2007 წლის 07 ნოემბერს, დილის საათებიდან შემოსავლების სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის სპეცდანიშნულების რაზმის წევრები „ელიავას ბაზრობის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გადაანაწილა, სადაც მალევე აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი კობა დავითაშვილი მხარდამჭერებთან ერთად ელექტროგენერატორის შესაძენად მივიდა, რომელიც აქციის ორგანიზებისთვის

ესაჭიროებოდათ.

მას შემდეგ, რაც სამართალდამცავებმა კობა დავითაშვილი შენიშნეს, ძალადობის გამოყენებით იგი იძულებით ჩასვეს იქვე მდგარ თეთრი ფერის „ფორდი“-ს მარკის ავტომობილში, რის შემდეგაც გაერიდნენ ბაზრობის ტერიტორიას. ვინაიდან, კობა დავითაშვილს თავისუფლების

აღკვეთისას, თავის არეში მიღებული ჰქონდა დაზიანებები და მოსდიოდა სისხლი, ნაცვლად საგამომიებო სამსახურისა, გადაიყვანეს გორის ჰოსპიტალში.

3. საანგარიშო პერიოდში საქმეზე წარმართული პროცესის მიმოხილვა

3.1 პროცესზე დაკითხული მოწმეები

პროცესზე დაკითხა ბრალდებული დავით ქარსელაძე, რომელიც 2007 წელს შემოსავლების სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. მოწმემ აღნიშნა, რომ 2007 წლის ნოემბერში იმართებოდა ხელისუფლების საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები, ამის გამო ზურაბ ადეიშვილმა დაავალა, რომ ჯგუფები გაეგზავნა ვაგზლის მოედანზე და სხვა მსგავს, ხალხმრავალ ადგილებში. დავალების თანახმად, თუ ლიდერები გამოჩნდებოდნენ და ხალხს აქციაზე წასვლისკენ მოუწოდებდნენ, ამისთვის ხელი უნდა შეეშალათ.

მოწმის განმარტებით, მან დაავალა თავის თანამშრომელს ედიშერ კობახიძეს სამოქალაქო ფორმებში გაეშვა ხალხი და თუ ოპოზიციის ლიდერები გამოჩნდებოდნენ, შეეტყობინებინათ მისთვის. მან დაურეკა ედიშერ კობახიძეს და დაავალა დავითაშვილის დაკავება, თუმცა ასევე შეიტყო რომ დაკავებისას დაზიანებები მიიღო, რის შემდეგაც მის მიერ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ გორის ჰოსპიტალში გადაეყვანათ.

პროცესზე ასევე დაკითხნენ “ელიავას ბაზრობაზე” მომუშავე პირები, რომლებმაც აღწერს დავითაშვილზე თავდასხმის ფაქტი.

პროცესზე ასევე დაკითხა ედიშერ კობახიძე. მოწმის განმარტებით, როცა კობა დავითაშვილი შენიშნა, მიიღო დავალება, გაეყვანა ტეროტორიიდან, რადგან ძალიან აქტიურობდა, თუმცა მათ გაუწიეს წინააღმდეგო და გართულდა დაკავების პროცესი. მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ დაკავების თაობაზე არანაირი დოკუმენტი არ შეუდგენიათ და არ გადაუციათ დავითაშვილისთვის. მოწმემ აღნიშნა, რომ მას ქარსელიძემ დაავალა დავითაშვილის როგორც დაკავება, ასევე გორის ჰოსპიტალში გადაყვანა.

3.2 მხარეთა მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი შუამდგომლობები

ბრალდების მხარის მიერ შესავალი სიტყვის დასრულების შემდგომ დაცვის მხარემ განაცხადა, რომ მათ ჯერ სურდათ მოესმინათ ბრალდების მხარის შესავალი სიტყვა და შემდეგ

მომზადებდნენ მასზე დაყრდნობით თავის შესავალ სიტყვას, რისთვისაც ჭირდებოდათ გონივრული დრო. აქედან გამომდინარე, მხარემ მოითხოვა სხდომის გადადება, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა.

საქმის არსებითი განხილვა ჯერ არ დაწყებულა.

4. ჩვენი დაკვირვება

პროცესის მიმდინარეობისას რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობას ხელყოფდა, არ გამოვლენილა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა ეძლეოდათ, წარმოედგინათ არგუმენტები და მტკიცებულებები, განეხორციელებინათ საპროცესო მოქმედებები და დაეცვათ საკუთარი ინტერესები.

მედიას ხელი არ შეშლია პროცესების გადაღებაში.

ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმე

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები ირაკლი ფირცხალავა, გურგენ დონაძე, ზურაბ მიქაძე, ალექსანდრე გვაზავა, ლევან გვაზავა, დავით იაშვილი, ზაზა ბაქრაძე - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, 2004 წლის 24 ნოემბერს, პატრულის თანამშრომელმა გიორგი ბაშალეიშვილმა, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა ბუტა რობაქიძე, ხოლო ბუტა რობაქიძის თანმხლები ახალგაზრდები ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა-ტარების ყალბი ბრალდებით მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

პროკურატურის თანახმად, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბუტა რობაქიძის მკვლელობისთანავე შემთხვევის ადგილზე მივიდნენ: თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი

სამმართველოს საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ზურაბ მიქაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - გურამ დონაძე, თბილისის ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი - დავით იაშვილი, დიდუბე-ჩუღურეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი - ირაკლი ფირცხალავა, ამავე პოლიციის მე-3 განყოფილების უფროსი - ალექსანდრე გვაზავა, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი - ლევან გვაზავა და თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი - ზაზა ბაქრაძე.

მას შემდეგ რაც აღმოაჩინეს, რომ დაკავებულებს არ გააჩნდათ არანაირი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, ზურაბ მიქაძემ, ზაზა ბაქრაძემ, გურამ დონაძემ, ირაკლი ფირცხალავამ, დავით იაშვილმა და ალექსანდრე გვაზავამ გადაწყვიტეს ცეცხლსასროლი იარაღების შემთხვევის ადგილზე მიტანა და ჩალაგება, რათა საზოგადოებისათვის მიეწოდებინათ ცრუ ინფორმაცია, თითქოს ბუტა რობაქიძის მკვლელობა კრიმინალური ჯგუფის გასანეიტრალებლად მოხდა. სწორედ ამიტომ, ბუტა რობაქიძის მკვლელობა მის ლიკვიდაციად მოინათლა. ზურაბ მიქაძემ და ზაზა ბაქრაძემ შემთხვევის ადგილზე მიიტანეს ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალები გადაუნაწილეს გარდაცვლილ ბუტა რობაქიძეს და მის მეგობრებს. ამის შემდეგ, გურამ დონაძის მითითებით და ინსტრუქტაჟით, წინასწარ მომზადებული შემთხვევის ადგილი გადაიღეს დონაძეს დაქვემდებარებული სამსახურის ოპერატორის ვიდეოკამერით და ამგვარად მოპოვებული მასალა გაავრცელეს მედიით.

3. საანგარიშო პერიოდში საქმეზე წარმართული პროცესის მიმოხილვა

3.1 პროცესზე დაკითხული მოწმეები

პოცესზე დაიკითხა მოწმე აკაკი ბართაია, რომელიც ბუტა რობაქიძის მეგობარი იყო. მოწმემ განმარტა, რომ შემთხვევის დღეს მეგობრებთან ერთად აღნიშნავდნენ გიორგობას. დაახლოებით ღამის 12 საათზე გადაწყვიტეს, სახლებში ერთად წასულიყვნენ მანქანით. დაახლოებით ორის ნახევარზე, წერეთელის გამზირზე პატრულმა გააჩერათ.

როცა მანქანიდან გადმოვიდნენ, მოწმის ჩვენებით, პატრული გაურკვევლობაში იყო და იარაღი მიუშვირა მათ, ასევე დამხმარე ეკიპაჟი გამოიძახეს. დამხმარე ეკიპაჟი გინებით, აგრესიით გადმოვიდა მანქანიდან, ერთ-ერთმა ამირანზე (ბუტაზე) თქვა, რომ დაეწვინათ. შემდეგ მოხდა გასროლა და მიუხედავად იმისა, რომ ბუტა დაჭრილი იყო ყურადღებას არ აქცევდნენ. ხელბორკილების დადების მომენტში შეამჩნიეს მხოლოდ რომ დაჭრილი იყო, რის მერეც გამოიძახეს სასწრაფო. სასწრაფო დაახლოებით 5-10 წიუთში მოვიდა, თუმცა ბუტა უკვე გარდაცვლილი იყო.

მოწმის ჩვენებით, ამის შემდგომ უფორმო თანამშრომლები მოვიდნენ, მათთან ერთად იყო დონაძე, ხოლო თვითონ ტროტუარზე გადაიყვანეს და ზაზა ბაქრაძემ მას უბეში ხელყუმბარა ჩაუდო. მოწმის ჩვენებით დონაძე აძლედა თანამშრომლებს მითითებებს, „ახლა ჩართე კამერა, ახლა ჩაუდე” და ა.შ.

მოწმის ჩვენებით ისინი არ იყვნენ არც ნასვამები და არც ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, მიუხედავად ამისა ნარკოლოგიურში გადაიყვანეს.

ამის შემდგომ, პოლიციის განყოფილებაში ფირცხალავამ მოსთხოვა, რომ ელიარებინათ ცეცხლის გახსნა და წინააღმდეგობის გაწევა პოლიციისთვის.

შინაარსობრივად მსგავსი ჩვენება მისცეს ასევე დაზარალებულებმა - გიორგი ქურდაძემ, ლევან დანგაძემ და აკაკი ბართაიამ.

პროცესზე ასევე დაიკითხა მოწმე გიორგი სარიშვილი, რომელიც 2004 წელს ვაკე-საბურთალოს პოლიციაში, დაკავების ჯგუფის ინსპექტორი იყო. მოწმემ აღწერა, რომ დაახლოებით ღამის 2 საათი იქნებოდა, როცა განყოფილებაში მოვიდა მიქაძე, ნახევარ საათში გააღეს თანამშრომლის მანქანის საბარგული და ჩააწყვეს ავტომატები. მოწმემ ასევე დაინახა შემთხვევის ადგილიც, სადაც იყო ეს ავტომატები წაღებული.

მოწმემ ასევე ისაუბრა, რომ 2010 წელს შემთხვევით შეხვდა ბუტა რობაქიძის მამას და უთხრა, რომ მისი შვილის მკვლელობასთან დაკავშირებით ფლობდა ინფორმაციას. მან ასევე ტელევიზიებთანაც გააკეთა კომენტარი.

პროცესზე ასევე დაიკითხა მოწმე შალვა ნიქაბაძე, რომელიც 2004 წელს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების პროკურატურის გამომძიებელი იყო. მოწმის განმარტებით 2004 წლის 23 ნოემბერს იგი განზრახვის გარეშე მოხვდა შემთხვევის ადგილას. მან პატრულის თანამშრომლებს ჰკითხა საქმის ვითარება, თუმცა დავით იაშვილმა მას უთხრა, რომ ჯერჯერობით იქ საჭირო არ იყო და რომ შეეძლო წასულიყო. მოწმემ აღნიშნა, რომ მან მოისმინა თუ როგორ უთხრა დონაძემ პატრულის თანამშრომელს, ბორდიურთან იარაღები ჩაედოთ წინა სავარძლის ქვეშ და ესე გადაედოთ.

მას ირაკლი ფიცხალავამ ასევე უთხრა, რომ პოლიციელს შემთხვევით შემოაკვდა ეს ბიჭი და იარაღი უნდა ჩაედოთ, რომ გაემართლებინათ ეს ქმედება. თუმცა ოფიციალური ვერსიით იყო ის, რომ ბაშალეიშვილის მიმართულებით უკანა კარიდან გადმოსულმა პირმა გაისროლა, რასაც საპასუხო სროლო მოყვა მისი მხრიდან, თუმცა ექსპერტიზის დასკვნა გამორიცხავდა იმ ფაქტს, რომ მოკლულს ხელში სჭერებოდა ავტომატი და ასევე იმასაც, რომ იგი მჯდარიყო უკანა სკამზე. მოწმემ აღნიშნა, რომ მას დაევალა ექსპერტიზის დასკვნის შეცვლა.

მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ 2006 წელს დაიკითხა, თუმცა მაშინ სხვა ჩვენება მისცა, რადგან დაკითხვამდე დაურეკეს და უთხრეს, რომ არ უნდა ეხსენებინა დონამე.

3.2 მხარეთა მიერ დაყენებული შუამდგომლობები

სასამართლომ განიხილა ნინო ხვიტიას განცხადება, რომელიც ითხოვდა მის მიერ გირაოს სახით გადახდილი 15 000 ლარის დაბრუნებას იმ საფუძველით, რომ ირაკლი ფირცხალავა პატიმრობაში იმყოფება სხვა საქმეზე და შესაბამისად აღარ არსებობს გირაოს გამოყენების საჭიროება.

შუამდგომლობას არ დაეთანხმა ბრალდების მხარე და განმარტა, რომ არ არსებობს პროცესუალური საფუძველი ამ განცხადების დაკმაყოფილების, 2015 წლის თებერვლის მერე პატიმრობაში იმყოფებოდა ირაკლი ფირცხალავა და გაუგებარია, რატომ აქამდე არ დააყენა ამ საფუძველით ამ პირმა ეს მოთხოვნა.

მოსამართლის გადაწყვეტლებით განცხადება საფუძველიანია და დაკმაყოფილდა, სასამართლოს შეფასებით, აღარ არსებობდა გირაოს გამოყენების წინაპირობები.

მოსამართლის მიერ წინა სხდომებზე გაძევებულ იქნა სამი პირი, რომლებმაც განცხადება დაწერეს მოსამართლის სახელზე და თხოვეს, კვლავაც შეძლებოდათ პროცესზე დასწრება, ამასთან ისინი აღიარებდნენ იმას, რომ ნამდვილად შეუშალეს ხელი წესრიგს პროცესზე ემოციური ფონიდან გამომდინარე.

ბრალდების მხარე დაეთანხმა აღნიშნულ განცხადებას და თავადაც იშუამდგომლა მოსამართლესთან.

დაცვის მხარემ განაცხადა, რომ თუ არ არის რაიმე ახალი გარემოება შუამდგომლობა უნდა იყოს მხარის მიერ წერილობით წარმოდგენილი და რადგანაც ბრალდების მხარემ არ წარმოადგინა ეს შუამდგომლობა წერილობით, იგი არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, შესაბამისად დაუშვა პირები პროცესზე დასასწრებად.

ანალოგიური შინაარსის შუამდგომლობა დააყენა დაცვის მხარემ და ითხოვდა პროცესიდან გაძევებული პირს, კერძოდ კი ირაკლი ფირცხალავას შვილს პროცესზე დასწრების შესაძლებლობის მისცემოდა.

სასამართლომ ანალოგიურად დართო პირს უფლება დასწრებოდა პროცესს. გურამ დონაძემ ასევე დააყენა შუამდგომლობა გირაოს თანხის დაბრუნებაზე, კერძოდ კი ჩადებული თანხის სანაცვლოდ მხარე სთავაზობს სასამართლოს უძრავ ქონებას დაედოს ყადაღა.

ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განმარტა, რომ კანონმდებლობა არ იცნობს გირაოს ჩანაცვლების შესაძლებლობას.

მოსამართლის შეფასებით ადვოკატის შუამდგომლობა არის კანონიერი და უნდა დაკმაყოფილდეს. შესაძლებელია, გირაოს თანხა შეიცვალოს უძრავი ქონებით და ამით არაფერი არ ირღვევა

4. ჩვენი დაკვირვება

ჩვენი დაკვირვებით პროცესი მიმდინარეობდა დაძაბულ და ხმაურიან რეჟიმში. პროცესის მიმდინარეობისას რამდენიმე ბრალდებულმა დააყენა შუამდგომლობა პროცესის დახურვის შესახებ, რადგან ხელი ეშვებოდა საქმის სამართლიან განხილვას. სასამართლოს მიერ რამდენიმე სხდომა დაიხურა. ასევე მოსამართლემ გააძევა რამდენიმე პირი სასამართლო დარბაზიდან, თუმცა ყველა შემთხვევაში არ ხდებოდა წესრიგის დარღვევაზე დროული და ეფექტური რეაგირება.